



**ციბეხანი**

№ 42 / აგვისტო / 2010

„კავკასიური სხლი“ უსახლოდ გვ. 08

ბაბრატის ტაძარი მინც აღდგება გვ. 09

გვინდა სააკაშვილი პრემიერ-მინისტრად? გვ. 10

ახალი კონსტიტუცია გვ. 20

რატომ უნდა ვინაღმთ გადასახადები გვ. 23

პრეზიდენტის „სიგოლური“ საჩუქრები გვ. 25

სამხედრო კავითანი საქართველოს წინააღმდეგ გვ. 29

თვითმმართველობასთან ხელშეკრული ტელევიზიები გვ. 34

ქართველი ხალხი სიყალბის წინააღმდეგ! გვ. 48

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

# მეჯანიხუხი ფოხთოსანი

საქველმოქმედო ექსპერიმენტი  
მოზარდების ტვინებზე

გვ. 12



**FM**  
**სენტი**  
**98.0**





ფოტო: თემო პაპინაძე


ტყვე დათვი სოფელ ნატახტართან

**„ლიბერალის“ უმჯობესი ნომერი გამოვა 2010 წლის 6 სექტემბერს.**

**ნომერში:**

- 02 ფოსტა
- 04 მოკლედ
- 06 **ფოტო**  
გამოსახლება
- 07 ვრცლად
- 10 **ორი აზრი**  
მისაღება თუ არა ქვეყნისთვის საპრეზიდენტო ვადის ამონაწერის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდეს? *მაია ორჯონიკიძე VS დავით ზურაბიშვილი*
- 12 **მთავარი თემა**  
მექანიკური ფორთოხალი
- 15 **თვალსაზრისი**  
გრძელვადიანი პროექტები და რკინიგზა *მარკ მალენი*  
**მეზობლები**
- 16 „პუტინიუგენდის“ ფორუმი **კონფლიქტები**
- 18 პატრიოტული საზოგადოება **პოლიტიკა**

- 20 ახალი კონსტიტუცია **საუბრები ლიბერალიზმზე**
- 23 რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადები **ჟურნალისტური გამოძიება**
- 25 პრეზიდენტის „სიმბოლური“ საჩუქრები
- 29 სამხედრო კაპიტანი საქართველოს წინააღმდეგ **ეკონომიკა**
- 32 ვინ არის გადამხდელი? **საზოგადოება**
- 34 თვითმმართველობასთან ხელშეკრული ტელევიზიები **განათლება**
- 37 სამ დღეში ნასწავლი პატრიოტიზმი **განათლება**
- 39 ნაკლები საგანი + მეტი გამოცდა + ნაკლები მოსწავლე = უკეთესი განათლების სისტემა? **ცხოველთა უფლებები**
- 41 ბალუ და სხვა ტყვე დათვები

- მედიაკრიტიკა**
- 44 „ქართული გამონათქვამების“ მიღმა **კულტურა**
- 46 შუალამის პარიზში, კარლა ბრუნისთან ერთად
- 47 ელტონ ჯონი „ცხოველების ფერმაში“
- 48 **თვალსაზრისი**  
ქართველი ხალხი სიყალბის წინააღმდეგ!  
*გიორგი გვაზარია*
- 49 **თვალსაზრისი**  
ბავშვობის აგარაკი რატი ამაღლობელი
- 50 **თვალსაზრისი**  
მიყვარს – არ მიყვარს *ლაშა ბუღაძე*  
**სპორტი**
- 51 მარადონაც ნავიდა გიო ახვლედიანი **ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 52 |  TBILISI

**ბარეკანაზა:**

მექანიკური ფორთოხალი საქველმოქმედო ექსპერიმენტი მოზარდების ტვინებზე



ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

**კოვტაჯი და თალიხანი**

ვეთანხმები ლაშას მკაცრ კრიტიკას. ბოლოს და ბოლოს უნდა გავიდე სდრო ამ ნაფტალინიანი კუჭაზი-ზომბი-ნაციონალისტური რომანტიკის. გაახილეთ თვალები და შეისუნთქეთ უსასრულობის სუფთა ჰაერი. მოდი გავცდეთ ამ პოსტმოდერნულ სასონარკვეთას. „ქართული თავისებურებების წვენი“ არ არსებობს, ეს არის მარტო ბუდე, რომელსაც ჩვენ ვიშენებთ ჩვენივე უსუსურობის გამო... თავისუფლება ნარსული უარყოფა და მუდმივი ანტაგონიზმია. ვაშა ლაშა!

**Voider, ივლისი 28, 2010  
www.liberali.ge**

ლაშას ვეთანხმები მაგრამ მხოლოდ ბოლო ნაწილში – ეს ყველაფერი უსექსობის და კომპლექსების შედეგია, მაგრამ რატომ უნდა განვიკითხოთ ასე მკაცრად განსაკუთრებით ლაშასნაირმა „მნარედ ენამოსწრებულმა“ საზოგადოების დანარჩენმა წევრებმა ადამიანები, რომლებიც ამის კომპენსირებას თუ ამაზე ჩივილს ან კიდევ უფრო ზუსტად – სამედიცინო თხონას ლექსებით ცდილობენ (ცდილობენ აქ განმსაზღვრელი სიტყვაა) – არ მესმის.

**თეო, ივლისი 29, 2010  
www.liberali.ge**

აბსოლუტურად ვეთანხმები. ყველა ქართველი პოეტი ჩაიკეტა ამ სამი პოეტის წრეში და აქედან გამოსვლა არ უნდათ. ასათიანის ურა-პატრიოტიზმი, გრანელის „ფილოსოფია“,

გალაკტიონის დრამა. ამ ჯადოსნურ წრეში ტრიალებს ქართველი პოეტი, ვინც არ უნდა იყოს ის. „თავს არ მოიკლავს ქართველი არა“ – ეს არის ქართველი პოეტის მოტო.

**ირაკლი კიკნაველიძე**

ლაშას წერილი მართლა ძალიან მომეწონა და გამიხარდა, რომ ეს აზრი საჯაროდ გამოთქვა. თან ეს ტრიადაც ძალიან ზუსტადაა აქვს დანახული. ეს სამი პოეტი, მათი უაზრო მიბაძვითა



და სრულიად პერვერტირებულ სიმბოლოებად ქცევით, საშინელ კიჩადა ქცეული. თან ეს არაა სახელმწიფოს მიერ შექმნილი ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიური კიჩი, არამედ თავად „პოეტების“ მიერ წარმოსახული და მათ მიერ გაგებულ პოეტის სახე.

**გიორგი მაისურაძე**

**მამონ, როსა რუკა ვირ ხლმა ტარიტორია**

სკოლაში იმ პერიოდშიც ვსწავლობდი,

რა დროსაც „ახალი“ სისტემით დაიწყეს ჩვენი განათლება, მაგრამ არაფერი შეცვლილა. პედაგოგები, იმის მაგივრად, რომ ახალ სისტემას მორგებოდნენ და გაკვეთილები ჩაეთარებინათ მოსწავლესთან თავისუფალი კონტაქტის მეშვეობით, პირიქით, სულ დაიბნენ და მივიღეთ ერთმანეთში შერწყმული უაზრო 1 საათი, როცა არც მოსწავლემ და არც მასწავლებელმა რა უნდა აკეთოს არ იცის.

**ქეთი ბახტაძე**

**ბასწორება:**

19-25 ივლისის „ლიბერალში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ქართული ანიმაცია „შრეკის“ ეპოქაში“. წერილში შეცდომით იყო ნათქვამი, რომ ანიმაციური ფილმი „ვაკუში“ ეროვნულმა კინოცენტრმა დააფინანსა 100 ათასი ლარით. უნდა ყოფილიყო – 14 ათასი ლარი.

**ბასწორება:**


19-25 ივლისის „ლიბერალში“ გამოქვეყნდა სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება სათაურით „რეკეტი თბილისის ქუჩებში“ (ავტორი: გიორგი მგელაძე). ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით და არა „ეროკავშირის“ მხარდაჭერით, როგორც ეს სტატიის ბოლოს შეცდომით იყო მითითებული.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბექიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი შურნაღისძე: მათი ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ქითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვარული, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე, ნინო რობაქიძე, იავო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუხრიკიძე  
პრინტირება: მარე მალენი, გიორგი ცხადაია, კახა თოლორაძე, გიო ახვლედიანი, ლაშა ბულაძე, სანდრო ნავერიანი  
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე  
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სხვა გამომცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavourite.ge  
გამოცემის კვირებში ერთხელ ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
www.liberali.ge



**გიორგი ცხადაიას გლოზი  
ანა ჩეპმენის დაპარბული  
ღირსება**

ანა ჩეპმენი ის გოგოა, ამერიკაში რუსეთისთვის ჯაშუშობის ბრალდებით რომ დააკავეს. ამ ბოლო დროს „ფეისბუქზე“ მის შესახებ ახალ ამბებს აქტიურად „ვაშეარებდი“ და სპეციალურ ჯგუფშიც კი გავწევრიანდი: **Russian Spy Anna Chapman** (რუსი აგენტი ანა ჩეპმენი). „ლიბერალის“ ერთი ჟურნალისტი გადაამეკიდა: „გიყვარს, ხო?“ მეც დავეთანხმე, კი-მეთქი. ხომ იცით ეს როგორ არის: სიტყვები არის სიყვარული და სიყვარული არის სიტყვები, ანუ რადგან დავეთანხმე, ამაში უკვე მეასედი სიმართლეა.




**მულტიმედია  
ხალხის აზრი პრეზიდენტის  
განცხადებაზე**

**მულტიმედია**

**„პრეზიდენტო, ნუ ხარ აპი“**

„ვუთხრათ არა რასიზმს“, „ჩვენ არ გვყავს ზანგები, ჩვენ გვყავს აფრო-ამერიკელები“... – ასე მიმართავდა მწერალი ირაკლი კაკაბაძე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტის რეზიდენციის წინ მოწყობილ აქცია-პერფორმანსზე. აქციის მონაწილეები მიხეილ სააკაშვილისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ ფინანსთა სამინისტროში წარმოთქმული ფრაზისათვის – „...ჩვენ ზანგები ვართ, თუ რატომ ვიქცევით ასე ველურებით, გამაგებინეთ?“



**ნიმო გაქიჟვილის გლოზი**

**ჩალით დახურული ქვეყანა**

პრეზიდენტის ბრძანებულება იუნყება, რომ „კავკასიური სახლის“ ბაზაზე უნდა შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სმირნოვების მუზეუმი და მუზეუმი არის საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის – კავკასიური სახლის უფლებამონაცვლე“. სად უნდა წავიდეს „კავკასიური სახლი“, ამაზე ბრძანებულება არაფერს ამბობს.



**მაია ნიკლაურის გლოზი  
ფორმალური საჯარო  
განხილვა**

ჟურნალისტებს სხდომის დაწყებამდე დარბაზში არ უშვებენ. „უფ, კარგია. ნეტა დახურული იყოს“, – ამბობს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტი. დანარჩენები ეთანხმებიან. მათთვის უმჯობესია საჯარო სხდომა დახურულ კარს მიღმა გაიმართოს. მომბეზრებელ განხილვაზე დასწრებას, ურჩევნიათ მოგვიანებით პარლამენტარებისა და მიწვეული სტუმრებისგან მოისმინონ ის, რაზეც განხილვაზე ისაუბრებენ. სხდომაზე მიწვეული 30-მდე სტუმარი განხილვის დაწყებამდე კომენტარების გაკეთებისგან თავს იკავებს. არც იმ შენიშვნებზე საუბრობენ, რაც საკონსტიტუციო პროექტის წაკითხვის შემდეგ შეიძლება გასჩენოდათ და რაზე სასაუბროდაც მოიწვიეს პარლამენტში. მათ უმრავლესობას ერთი მიზეზი აქვს – საკონსტიტუციო პროექტი არ წაუკითხავთ და მის გაცნობას განხილვის დაწყებამდე სპეციალურად მათთვის დარიგებული დოკუმენტებით აპირებენ.



## უშედეგო მე-12 ხაუნდი

ყენევის მოლაპარაკებების მეთორმეტე რაუნდს ისევ მხოლოდ ერთი კონკრეტული შედეგი ჰქონდა – მე-13 რაუნდი 14 ოქტომბერს გაიმართება. მხარეების დაპირისპირების მთავარი თემა – ძალის გამოყენებლობის შესახებ შეთანხმება კვლავ მიუღწეველი რჩება. უშედეგო იყო ქართული მხარის მოთხოვნა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ცხინვალში დაკავებული 8 ქართველის გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ ვერ შეთანხმდნენ იმ დოკუმენტზე, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა „უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას“ და სხვა ჰუმანიტარულ საკითხებს ეხება, რადგან მოსკოვი, სოხუმში და ცხინვალში კვლავ ეჭვქვეშ აყენებენ დევნილთა უფლებას დაბრუნებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში მე-12 რაუნდის ბოიკოტით იმუქრებოდნენ, ყენევაში დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლები მაინც ჩავიდნენ. სოხუმმა მეთორმეტე რაუნდში მონაწილეობას „ტექნიკური დასწრება“ უწოდა.

ყენევაში არ ჩასულა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი. მის ნაცვლად, რუსეთის დელეგაციას საგარეო უწყების წარმომადგენელი ალექსეი დვინიატინი ხელმძღვანელობდა. მან განმარტა, რომ კარასინის არყოფნა „დროებითი მოვლენაა“ და არა „პოლიტიკური სიგნალი“.

მე-12 რაუნდის აშშ-ს დელეგაციას, ფილიპ გორდონის ნაცვლად, მისი მოადგილე, თინა ქეიდენაუ ხელმძღვანელობდა.

## ეცა ჰამფილოვა ბადაბუა

დმიტრი მედვედევის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში ელა ჰამფილოვა საკუთარი სურვილით გადადგა. მიუხედავად რუსი უფლებადამცველების საპირისპირო მოლოდინისა, მედვედევმა მის განაცხადს თანხმობით უპასუხა. რუსი უფლებადამცველები აცხადებენ,

რომ ჰამფილოვას გადადგომა ოფიციალური პირების ზეწოლამ განაპირობა. თუმცა, თავად გადამდგარი უფლებადამცველი ამ გადაწყვეტილების მიზეზებზე არ საუბრობს. ჰამფილოვამ თავის შემცვლელად ალექსანდრ აუზანი დაასახელა.

### ხანძარი ხსნაოთი

ცენტრალური რუსეთისა და პოვოლჟიის რეგიონებში ტყის მასივებს ხანძარი გაუჩნდათ. ცეცხლი ცენტრალური რუსეთის 14 რაიონში მძვინვარებს. ხანძრების შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა; უსახლკაროდ დარჩა 2000-ზე მეტი ადამიანი; დაიწვა 1000-ზე მეტი სახლი. ნიჟეგოროდის, ვორონეჟის, რიაზანის და მოსკოვის ოლქებში 30-ზე მეტი მასშტაბური ხანძარია. ინვის ტყეც და მთელი სოფლებიც. მოსახლეობის ევაკუაცია გრძელდება. კვამლმა მოსკოვის ცენტრამდეც მიაღწია. ხანძრის ჩაქრობაში ჯერ მოსკოვის საგანგებო სამსახურის ავიაცია ჩაერთო, შემდეგ კი, მედვედევის ბრძანებით – თავდაცვის სამინისტროს ძალებიც. პრეზიდენტისგან დავალება პუტინმაც მიიღო – მას ხანძრის შედეგების ლიკვიდაცია დაევალა. თავის მხრივ ბრძანება გასცა პუტინმაც. მისი განკარგულების თანახმად, ხანძრით დაზარალებული რეგიონებისთვის 5 მილიარდი რუბლი გამოიყოფა. გარდა ანომალური სიცხისა, რაც ცეცხლის გაჩენის მიზეზი გახდა, ხანძრის გავრცელებას ბევრ რაიონში ამოვარდნილი ქარიც უწყობს ხელს. მოსკოვში, უკვე თვეზე მეტია, ანომალური სიცხეა. ტემპერატურამ რამდენჯერმე მიაღწია რეკორდულ მაქსიმუმს. ჰაერის ტემპერატურა ყოველდღე 40 გრადუსზე ქვევით არ ჩამოდის.

### ჩისხვები


**2012** წლიდან კატალუნიას კორიდა იკრძალება.

**125** ათასი ლარით აზარალეს კომპანია „მაგთი“ თალითებმა.

### ინფორმაციის ბაჟონა აშშ-ში

აშშ-ს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ინფორმაციის გაჟონვის ფაქტი დაფიქსირდა. The Guardian-მა, The New York Times-მა და Der Spiegel-მა მასალების სერია დაბეჭდეს, რომლებშიც, ამერიკელი სამხედროების მონათხრობის საფუძველზე, ავღანეთის ომის აქამდე უცნობი და გასაიდუმლოებული ეპიზოდები გამოაშკარავდა.

გარდა ამისა, საიდუმლო ინფორმაციის შემცველი ათასობით ფაილი მოხვდა ვებ-გვერდ Wikileaks-ის მფლობელთა ხელში, რომლებიც, როგორც წესი, სწორედ „გაჟონილ“ ინფორმაციას აქვეყნებენ. ყურნალისტების მიერ მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ კოალიციის ძალები ავღანეთში ომს აგებენ, სამხედროები ასობით მშვიდობიან მოქალაქეს ხოცავენ, თალიბების მხრიდან თავდასხმები მატულობს, ნატო-ს ხელმძღვანელობა კი შიშობს, რომ რეგიონში არასტაბილური სიტუაციის შექმნაში პაკისტანი და ირანი მონაწილეობენ. მასალები ათობით ათას გვერდს ავსებს და 2004 წლის იანვრიდან 2009 წლის დეკემბრამდე პერიოდს მოიცავს. მასში ასევე მოცემულია მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვისა და მოძრაობა „თალიბანის“ ლიდერების ლიკვიდაციის ოპერაციის დეტალები. დოკუმენტებს შორისაა საიდუმლო ტელეგრაფები, რომლებსაც ამერიკელი სამხედროები და დიპლომატები ერთმანეთს აწვდიდნენ. The Guardian-ის ცნობით, სხვა ფაქტებთან ერთად, აღნიშნული დოკუმენტებით დასტურდება „შავი“ ქვედანაყოფების არსებობა, რომლებიც თალიბების ლიდერებზე ნადირობდნენ, რათა ისინი სასამართლოს გარეშე დახოცონ და დააპატიმრონ. თეთრმა სახლმა WikiLeaks, გამოქვეყნებული ინფორმაციის გამო, მკაცრად გააკრიტიკა. ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტ ბარაკ ობამას მრჩევლის ჯეიმს ჯონსის სახელით გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ მასალების გამოქვეყნებამ, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დააყენოს ამერიკელების და მათი პარტნიორების სიცოცხლე, ასევე – ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება. შეერთებულ შტატებში საიდუმლო სამხედრო ინფორმაციის გაჟონვასთან დაკავშირებით გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საკუთარი გამოძიება დაიწყო.



**23 723** აშშ დოლარად გაიყიდა ჩერჩილის კბილის პროთეზი აუქციონზე.

**50** მილიონ აშშ დოლარის ოდენობის სესხს გამოუყოფს საქართველოს მსოფლიო ბანკი ბიუჯეტისთვის პირდაპირი მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში.

### სიტატები



„ყირგიზეთს ერთი ნაბიჯი აშორებს პარტიზანული ომისგან და მას მეორე ჩერჩეთად ქცევის საფრთხე ემუქრება“.  
**როზა ოტუმბაევა**  
**30 ივლისი, ოში**

„ჩვენ ზანგები ვართ, თუ რატომ ვიქცევით ველურებით?“  
**მიხეილ სააკაშვილი**  
**27 ივლისი, თბილისი**

„თუ ჰგონიათ [რუსეთს და მათ მხარდამჭერებს], რომ ასეთი დეზინფორმაციით და ქორების გავრცელებით ხელს შემომიღიან საქმის გაკეთებაში, მათთვის სამწუხაროდ, ძალიან ცდებაინ“.  
**ვერა ქობალია**  
**29 ივლისი, თბილისი**

„კოსოვოს დამოუკიდებლობას ბევრი ქვეყანა აღიარებს. მრავალი ქვეყანა უკვე დაგვპირდა“.  
**სკენდერ ჰისენი – კოსოვოს საგარეო საქმეთა მინისტრი**  
**30 ივლისი, ნიუ-იორკი**



ფოტო: ნაზარა შირიზაძე

## ბამოსახლება

2010 წლის 26 ივლისი. გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან დევნილების 346 ოჯახი გამოასახლეს. მათი ერთი ნაწილი 2008 წელს ცხინვალის დევენილი მოსახლეობაა, მეორე კი – 90-იან წლებში აფხაზეთიდან და ცხინვალის დევენილიდან.

346 ოჯახიდან ზოგმა დახმარება რამდენიმე წლის წინათ ფულადი კომპენსაციის, ან საცხოვრებელი ფართის სახით მიიღო და გამომცემლობის შენობაში უკანონოდ ცხოვრობდნენ. სხვები კი ხელისუფლებამ დროებით დაასახლა ამ შენობაში. ახლა ისინი დევნილთა სხვადასხვა კომპაქტურ დასახლებაში გადაბარდებიან.



# დაუსრულებელი საბადასახადო ხოდაუსი

## ნინო გოგუა

„ისევ ექნებათ საგადასახადო შეღავათი არასამთავრობო ორგანიზაციებს თუ არა, ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული, – პოლიტიკური გადაწყვეტილება უნდა მიიღონ“, – განმარტავენ პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტში, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიღებაში უშუალოდაა ჩართული და, წესით, კოდექსის საბოლოო ვერსიის რედაქციაზეც ისაა პასუხისმგებელი.

პროექტის უახლესი ვერსიის მიხედვით, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ხელფასებს გრანტიდან გასცემს, 2011 წლიდან ბიუჯეტში სამემოსავლო გადასახადის სახით 20 პროცენტს გადაიხდის. დღემდე ეს ორგანიზაციები შეღავათიანი საგადასახადო განაკვეთით სარგებლობდნენ და 12%-ით იბეგრებინ.

მთავრობის განკარგულებით, ეს შეღავათი მხოლოდ 2011 წლის იანვრის შემდეგ და ისიც 18 პროცენტამდე შეიძლება გაზრდილიყო. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროში თვლიან, რომ 20-პროცენტიანი განაკვეთის დანესება გრანტის მიმღები ორგანიზაციებისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

შეღავათის ვადის გახანგრძლივების მოთხოვნით, პარლამენტს სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მათ შორის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც მიმართა, თუმცა მათი რეკომენდაცია კოდექსის ბოლო – მეორე მოსმენაზე არ გაუთვალისწინებიათ.

თუმცა, ახალ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებული იქნება კერძო სექტორის სხვა შენიშვნები.

ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, პრესა კვლავ ისარგებლებს საგადასახადო შეღავათით და დამა-

ტებითი ღირებულების გადასახადს არ გადაიხდის. ძველი შეღავათით ისარგებლებს უმალღესი სასწავლებლები და სამედიცინო დაწესებულებებიც.

გაუქმდა ავანსის დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ინიციატივაც. ამ რეგულაციის მიხედვით, მაგალითად სამშენებლო კომპანიებს, დღე არა – ბინის ჩაბარების შემდეგ, არამედ ყოველთვიურად უნდა გადაეხადათ, რაც უკვე დაწყებული მშენებლობების დასრულებას გაართულებდა.

ისევ ძველი პრინციპით, თუმცა გაზრდილი განაკვეთით, დაიბეგრება კერძო ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალი. თუ მეპატრონე სახლს ან მანქანას 2 წლის ვადაში გაყიდის, გადამყიდველად ჩაითვლება და 2011 წლის იანვრიდან, ბიუჯეტში შემოსავლის 20 პროცენტის გადახდა მოუწევს. დღეს ეს გადასახადი 12 პროცენტია.

თუ მოქალაქე 2 წელზე მეტ ხანს ფლობს ქონებას, გაყიდვის შემთხვევაში, გადასახადებისგან თავისუფალია. ეს პრინციპი ახალ საგადასახადო კოდექსშიც შენარჩუნდება.

დაზუსტდა საგადასახადო ომბუდსმენის ფუნქციებიც. პროექტის მიხედვით, ომბუდსმენი ბიზნეს-სექტორის შენიშვნებს და საჩივრებს წელიწადში ერთხელ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წარუდგენს.

კოდექსის პროექტის წინა ვერსიაში ომბუდსმენის დანიშვნა პრემიერ-მინისტრის ერთპიროვნული ფუნქცია იყო. პარლამენტის და ბიზნეს-სექტორის მოთხოვნით შეტანილი ცვლილების მიხედვით, ამ გადაწყვეტილებას პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-

მინისტრი მიიღებენ. თუმცა, სახალხო დამცველისგან განსხვავებით, „ბიზნეს ომბუდსმენს“ პარლამენტი ხმათა უმრავლესობით მაინც არ აირჩევს.

მიუხედავად რეკომენდაციებისა, ფინანსთა სამინისტრო ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვითაც უფლებამოსილია კომპანიისგან სადავო თანხა სასამართლო დავის დასრულებამდე ამოიღოს. სასამართლო პროცესზე კი მტკიცების – თავის მართლების – ტვირთი კვლავ კერძო სექტორს ეკისრება.

ახალი კოდექსის დამტკიცებამდე ამ პროექტში გამოჩენილი საგადასახადო ინოვაციების ნაწილი მოქმედ საგადასახადო კოდექსში უკვე აისახა. ამ ცვლილებებს პარლამენტმა ცალკე უყარა კენჭი და მოქმედი კოდექსის ნაწილად დაამტკიცა. შედეგად, 1 აგვისტოდან გაორმაგდება აქციზის ფასი სპირტიანი სასმელებისთვის და თითო ლიტრზე 3-5 ლარს შეადგენს. გამოჩენილი ღვინოა, რიმელიც უკვე არსებული კანონმდებლობითაც აქციზს საერთოდ არ საჭიროებს.

ამუშავდება სრულიად ახალი აქციზი მობილური ოპერატორებისთვის. მობილურ კომპანიებს ბრუნვის 10%-ის ბიუჯეტში გადახდა მოუწევთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანიების ხარჯს შესამჩნევად გაზრდის, პრემიერ-მინისტრის აპარატის განმარტებით, თავად მობილურ კომპანიებს აღნიშნულ საკითხზე შენიშვნები კოდექსის განხილვის დროს არ წარმოუდგენიათ.

ახალი საგადასახადო კოდექსის კიდევ ერთი, საბოლოო განხილვა დაგეგმილია სამემოდგომო სესიებისთვის. ახალი კოდექსი 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა ამუშავდეს. □

# "ხავხასიური სახლი" უსახლო

## ანიტა თვაური

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“ რომ გაუქმდა, ამის შესახებ ამ ორგანიზაციის თანამშრომლებმა მედიით შეიტყვეს, თანაც – გადაწყვეტილების მიღებიდან ათი დღის შემდეგ. გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიიღო. მისი 14 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე, „კავკასიური სახლის“ ბაზაზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სმირნოვების მუზეუმი“ ჩამოყალიბდა.

ეს ინიციატივა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეკუთვნის. სახლს, სადაც დღესაც ინახება პირვანდელი მფლობელის – მიხაილ სმირნოვის ოჯახის კუთვნილი ავეჯი, სხვადასხვა ნივთი და ბიბლიოთეკა, მუზეუმის სტატუსი არ ჰქონია. ამ ექსპონატებზე „კავკასიური სახლი“ ზრუნავდა.

მე-19 საუკუნეში აგებული შენობა უკანასკნელმა მემკვიდრემ 1985 წელს „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარ სარედაქციო კოლეგიას“ უანდერძა. რვა წლის შემდეგ ამ კოლეგიის ბაზაზე კულტურულ

ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“ შეიქმნა. 1999 წელს სახლის ხელმძღვანელმა, ნაირა გელაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური სახლიც“ დააარსა.

შენობა მთლიანადაა რესტავრირებული ევროპული ფონდის HORIZON-ის მიერ. რეკონსტრუქციისთვის ფონდმა ნახევარ მილიონ დოლარზე მეტი გამოყო. გერმანულმა ფონდმა Alfred Felix Alwyn Krupp von Bohlen und Halbach-მა კი სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია დააფინანსა.

„კავკასიური სახლი“, წლებია, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამშვიდობო პოლიტიკისა და უმცირესობათა ინტეგრაციის, ასევე რეგიონში სამოქალაქო განათლების ხელშეწყობ პროგრამებს ახორციელებს. სახლი გამოსცემს წიგნებს და რამდენიმე ჟურნალს; აწყობს საზაფხულო და საკვირაო სკოლებს დევნილთა და სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის.

„კავკასიური სახლს“ სურს, შექმნას

იდეური და ინტელექტუალური საფუძველი, საქართველოს როგორც მულტიეთნიკური ქვეყნის (და კავკასიის) მშვიდობიანი განვითარებისა და კულტურული ინტეგრაციისთვის“, – წერია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.

„ეროვნული უმცირესობების პროგრამის“ ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურულ ცენტრს ყოველთვიურად 20 ათასი ლარი ერიცხებოდა. ეს თანხა „კავკასიურ სახლს“ აპრილიდან აღარ მიუღია.

ცენტრის ხელმძღვანელი, ნაირა გელაშვილი, რამდენიმე წელია, კულტურის სამინისტროსა და პრეზიდენტს „კავკასიური სახლის“ კერძო იურიდიულ პირად დარეგისტრირების თხოვნით მიმართავს, მაგრამ – უშედეგოდ. ერთადერთი გამოხმაურება მის თხოვნაზე პრეზიდენტის მიერ ამ ორგანიზაციის გაუქმება იყო.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ მუზეუმს სახელმწიფოს მხრიდან მეტი მზრუნველობა სჭირდება. „მას შემდეგ, რაც მუზეუმში ჩვენს წარმომადგენელს დავინშავთ, მეტ თანხასა და ენერგიას მივმართავთ მის შესანარჩუნებლად“, – ამბობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი სოფო ზუნწარია. მისივე თქმით, არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური სახლი“ მხოლოდ მუზეუმის ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ შეძლებს იმავე შენობაში მუშაობის გაგრძელებას.

„კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელებს იმედი აქვთ, რომ ფონდი HORIZON ორგანიზაციის გაუქმებისთვის პასუხს მოსთხოვს სამინისტროს. არსებობს 1998 წელს HORIZON-სა და კულტურის სამინისტროს შორის ხელმოწერილი შეთანხმება. ამ შეთანხმების მიხედვით, თუ „კავკასიური სახლი“ შენობას დატოვებდა, სახელმწიფო ვალდებული იყო, რესტავრაციისთვის დახარჯული თანხა აენაზღაურებინა. □



# ბაბხაძის ტაძრის ჩახონსტახუნია მინს ბაბხაძე

## ნათია ახალაშვილი

„თუკი ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს მისი აშენება, რატომ ვერ უნდა შევძლოთ ჩვენ მისი აღდგენა პირვანდელი ბრწყინვალე-ბით... ჩვენმა წინაპრებმა ეს იმისთვის არ ააშენეს, რომ თავგადახდელი ყოფილიყო“, – ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა ორი თვის წინ, ბაგრატის ტაძრის გუმბათოვანი მაკეტის დათვალიერებისას ქუთაისში თქვა. იქვე მან პირობაც დადო, რომ მეორე დღეს-ვე ორი მილიონი ლარი კიდევ გამოიყოფო-და ტაძრის რეაბილიტაციისთვის.

30 ივლისს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომისიის 34-ე სესიაზე, რომელიც ბრაზი-ლიაში მიმდინარეობს, ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრე-ობის ნუსხიდან საფრთხის წინაშე მდგომი ძეგლების ნუსხაში გადაიტანეს. ეს მეორე შემთხვევაა, როცა იუნესკო-ს ქართული ძეგლი ამ ნუსხაში შეაქვს. შარშან ამ სიაში მცხეთის ისტორიული ძეგლებიც მოხვდა.

34-ე სესიაზე იუნესკო-ს კომისიის წე-ვრებმა შემოფოთება გამოხატეს იმ გამოუ-სწორებელი ჩარევის გამო, რაც ბაგრატის სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს მოხდა. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტი ძეგლის თვითმყოფადობასა და მთლიანობას დაარღვევს, რის გამოც, სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაუყოვნებლოდ უნდა შეჩერდეს.

როდესაც 1994 წელს ბაგრატის ტაძარი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში მოხვდა, ეს თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ ძეგლზე ნებისმიერი სახის ჩარევა, რეკონსტრუქცია დაუშვებელი იყო. ამას ვაჩიშვილიც ადასტურებს, მაგრამ ამბობს, რომ არსებობს მეორე ფაქტორიც – „ბაგრატის ტაძარი ცოცხალი რელიგიუ-რი მონუმენტია, რომელიც საქართველოს სიმბოლოა და კარგი იქნება, თუ აღდგება თავისი რაც შეიძლება პირვანდელი სახით“.

ორი სურვილი – ერთი მხრივ, რომ ტაძარი სრულფასოვნად აღდგეს მღვ-დელთმსახურებისთვის, და მეორე მხრივ, შეინარჩუნოს კულტურული მემკვიდრეობის



ბაგრატის ტაძარი


ძეგლის სტატუსი, ურთიერთგამომრიცხა-ვია. იუნესკო მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის სრულ რეკონსტრუქციას მხოლოდ ისეთ გამონაკლის შემთხვევებში თანხმდე-ბა, როგორცაა ომი. თუმცა, 2008 წლის ივნისში იუნესკო-ს ექსპერტებმა ქუთაისში ვიზიტისას ისიც დაასკვნეს, რომ ძეგლი სასწრაფო გამაგრებას საჭიროებდა. ქარ-თულმა მხარემ გამაგრება საძირკვიდან დაიწყო. საძირკველში ასეთი მასშტაბური ჩარევა კი არ გახდებოდა საჭირო, რომ არა გუმბათის დადგმის სურვილი. ეს იდეა ოფიციალურად დამტკიცებულ პროექტში მხოლოდ ერთი წლის შემდეგ აისახა. სრუ-ლი რეაბილიტაციის გეგმა კულტურის სამი-ნისტრომ 2009 წლის 31 ივნისს დაამტკიცა და სამუშაოებიც კედლების გამაგრებით ისე დაიწყო, რომ პროექტის დოკუმენტა-ცია იუნესკო-ში გაგზავნილი არ ჰქონდა. ქართველი ხელოვნებათმცოდნეები კი მაშინ ამტკიცებდნენ, რომ პრობლემა აღდგენის მეთოდში იყო, რაც, მათი აზრით, ძეგლის იმ უძველეს ფენებს აზიანებდა, რომლებიც მის უნიკალურობას განსაზღვრავს.

ვაჩიშვილის უწყებას ხელოვნებათმცოდ-ნეების პროტესტი მაშინ არ გაუთვალისწი-ნებია. წელს კი ქართული მხარე არც იუნესკო-ს რეკომენდაციების მიღებას

აპირებს. ბრაზილიაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენ-ტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩიშვილი „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები, იუნესკო-ს რეკომენდაციის მიუხედავად, მინც გაგრ-ძელდება.

„ეს პროექტი, მრავალი წლის მანძილზე მუშავდება. ის დეტალებში ითვალისწინებს ტაძრისთვის პირვანდელი სახის მიცემას. ტაძარი აღდგება, როგორც ერთი მთლია-ნობა. დაზიანებული ნაწილები შეიცვლება კონსტრუქციულად და შეძლებისდაგვარად პირვანდელი სახის მსგავსად“, – აცხადებს ვაჩიშვილი იუნესკო-ს რეკომენდაციის გამოქვეყნების შემდეგ.

ვაჩიშვილი ამბობს, რომ ქართულმა მხა-რემ ბრაზილიაში ბაგრატის ტაძრისა და გე-ლათის მონასტრის რენომინაციის საკითხიც დააყენა. მისი თქმით, ბაგრატის ტაძრის-გან განსხვავებით, გელათის მონასტერს იუნესკო აღიარებს, როგორც კონსერვაციის კარგ მაგალითსა და დადებით შემთხვევას.

საქართველოდან მსოფლიო კულტურულ-ლი მემკვიდრეობის ნუსხაში სულ სამი ძეგლია შესული: მცხეთა, ბაგრატის ტაძარი-გელათის მონასტერი და ზემო სვანეთი. 



**მომხრე**  
მაია ორჯონიძე  
მხატვარი

ჩემი აზრით, კითხვა არაზუსტადაა ფორმულირებული, რადგან მომხრეობა-მონინალმდეგობაში არ არის საქმე. ახალი კონსტიტუციით, თუ ის გავიდა საქართველოს პარლამენტის სექტემბრის კენჭისყრაზე, პრემიერ-მინისტრს საკანონმდებლო ორგანო აირჩევს, რომელიც ხელახლა დაკომპლექტდება 2012 წელს. წინასწარ საუბარი, თუ ვის აირჩევს ჯერ თავად არარჩეული პარლამენტი, არასწორად მიმაჩნია. მეორე მხრივ, არ არსებობს კანონი, რომელიც აუკრძალავდა მიხეილ სააკაშვილს მომავალში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, თუმცა მას ამ მხრივ საკუთარ გეგმებზე ოფიციალურად ჯერ არაფერი უთქვამს.

2013 წლამდე პოლიტიკური საზომებით დიდი დროა და, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს, გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური ფიგურანტები, შეიცვალოს პოლიტიკურ ძალთა განლაგება.


„საქართველოს დემოკრატიული პარტია“, რომლის წევრიც გახლავართ, აპირებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და იმ დროისთვის მკაფიოდ გაირკვევა, რომელ კანდიდატს მივანიჭებთ უპირატესობას მთავრობის მეთაურის პოსტზე.

ლოგიკურად შეუძლებელია ასპროცენტებიანი ალბათობით რაიმეს წინასწარ მოხაზვა, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ. ერთი რამ ცხადია: იმისგან დამოუკიდებლად, აღიარებს ვინმე თუ არა, მოსწონს ვინმეს რეალური პოლიტიკური სურათი თუ არა, ფაქტია, მოცემულ მომენტში მიხეილ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ გუნდთან ერთად ყველაზე უფრო მოქნილი და ეფექტური პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში. სახელმწიფოს მართვის ექსპლანატი გამოცდილება კი თავისთავად უკვე დიდი პოლიტიკური (და არა მხოლოდ) უპირატესობაა, ვინაიდან პოლიტიკაშიც, ისევე როგორც უამრავ სხვა სფეროში, პრაქტიკულ გამოცდილებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

ბოლოს დავამატებდი, რომ ყველა პოლიტიკურმა ძალამ, თუ მას არ სურს პოლიტიკურ სასაფლაოზე საბოლოოდ დამკვიდრება, უახლოესი წარსულის გამოცდილება უნდა გაითვალისწინოს. შარშანდელმა წელმა დაგვანახა – წარსულს ჩაბარდა ნეგატივზე აგებული ე.წ. რადიკალური, სინამდვილეში კი „ქუჩური“ პოლიტიკა, როდესაც პარტიების უმრავლესობა არა იმდენად მოსახლეობისთვის აუცილებელი, გასაგები და მისაღები პროგრამებით გამოირჩეოდა, რამდენადაც ერთი პოლიტიკური მონინალმდეგის იდეა ფიქსად ქცეული სიძულვილის მანიფესტაციით. მსგავსი მიდგომა კონტრპროდუქტიულია არა მხოლოდ საზოგადოებისთვის, არამედ თავად იმ პოლიტიკური ძალებისთვისაც, რომლებიც ამ „პოლიტიკის“ შემოქმედებად გვევლინებოდნენ.

ამიტომ ვთვლი, რომ პოლიტიკური ინფანტილიზმი და უმნიშვნელობა წარსულს ჩაბარდა და ერთადერთი სიბრტყე, რომელზეც შესაძლებელია პოლიტიკური პაექრობა, ცივილიზებული და ლეგიტიმური სივრცეა, სადაც ადგილი არ ექნება ნეოკომკავშირულ „სირცხვილის დერეფნებს“ და ტრაგიკული წარსულის გროტესკულ დეჟავუ ქცეულ კარვებს და „საკნებს“. ქვეყანაში მართლაც ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი და მხოლოდ გააზრებული, რეალური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამებით გამოჩნეული პოლიტიკური ძალები გაუმკლავდებიან ამ ამოცანების გადაწყვეტას. ■

რამდენიმე კვირის წინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას უფიქრია პრემიერ-მინისტრობაზე თავის მეორე და საბოლოო ვადის ამონაშრომის შემდეგ, თქვენ ამ განცხადებას ....




## მისაღები თუ საზოგადოებრივი მისიონერი სახეობის მისიონერი სახეობის მისიონერი სახეობის მისიონერი სახეობის

■ ფაქტია, რომ მოცემულ მომენტში მიხეილ სააკაშვილი თავის პოლიტიკურ გუნდთან ერთად ყველაზე უფრო მოქნილი და ეფექტური პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში.

საზოგადოების განწყობა საქართველოში: 2010 წლის ივლისის კვლევის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ



**მონინალმდევე**  
დავით ზურაბიშვილი  
რესპუბლიკური პარტიის წევრი



მიხეილ სააკაშვილის სავარაუდო პრემიერ-მინისტრობა 2013 წლის შემდეგ პრობლემა არის იმდენად, რამდენადაც პრობლემაა საკუთრივ სააკაშვილის პიროვნება.

დღეს სააკაშვილი ფლობს შეუზღუდავ ძალაუფლებას. ის აკეთებს იმას, რაც მოესურვება, საბიუჯეტო სახსრებს განაგებს, როგორც საკუთარ ქონებას და არანაირ ანგარიშს არ უწევს მისი მორჩილი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებსაც. ეს არის ტიპური ავტორიტარი მმართველი, რომელიც, მართალია, ხმამაღლა არ ამბობს, სახელმწიფო ეს მე ვარო, მაგრამ სრულიად დარწმუნებულია, რომ ეს ასეა. აქედან გამომდინარე, სააკაშვილი არ განიხილავს და არც შეიძლება განიხილავდეს სერიოზულად ამხელა ძალაუფლების დათმობას.

რომ შეეძლოს, ის აუცილებლად მიიღებდა ისეთივე კანონს, რომელიც ყაზახეთში მოქმედებს და სიცოცხლის ბოლომდე დაიკანონებდა პრეზიდენტობას, მაგრამ ამის შესაძლებლობას მას საერთაშორისო კონიუნქტურა არ აძლევს.

საკაშვილის მთავარი პრობლემა რუსეთთან ურთიერთობაა. ამერიკაც და ევროკავშირიც დაინტერესებულია რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობის აწყობით, გარკვეულ ფარგლებში, რასაკვირველია, მაგრამ მაინც, ამიტომ ანტირუსული ბასტიონი სამხრეთ კავკასიაში (და სააკაშვილის პოლიტიკა ბოლო დრომდე სწორედ ამაზე იყო გათვლილი) დღეს არავის სჭირდება.

აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთმა საქართველოს მიმართ დაიკავა ძალიან ხისტი, მაგრამ მისთვის მომგებიანი პოზიცია: „მე არ ველაპარაკები სააკაშვილს“. რუსეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელი იქნება მხოლოდ სააკაშვილის წასვლის შემდეგ.

ამ სიტუაციაში დასავლეთს, ბუნებრივია, არ სურს, რომ რუსეთის ჭკუაზე მოსიარულე გამოჩნდეს და საქართველოს პრეზიდენტს გადადგომა აიძულოს, ამიტომ სააკაშვილს პრაქტიკულად გარანტირებული აქვს მხარდაჭერა 2013 წლამდე, მაგრამ ზუსტად ასევე გარანტირებული აქვს, რომ 2013 წლის შემდეგ პირადად მის ლიდერობაზე დასავლეთი აღარ იქნება თანახმა. პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს, პრეზიდენტი გერქმევა თუ პრემიერ-მინისტრი, ლაპარაკია მმართველზე, პოლიტიკურ ლიდერზე.

ასე რომ, თუკი სააკაშვილი გახდება პრემიერ-მინისტრი, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოახერხებს პუტინის კეთილგანწყობის მოპოვებას. სხვა ვარიანტი გამორიცხულია. ეს კი ავტომატურად გულისხმობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების რუსული ინტერესებისთვის დაქვემდებარებას.

აქედან გამომდინარე, სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა 2013 წლის შემდეგ პრემიერ-მინისტრის, პრეზიდენტის, თუ რაიმე სხვა სახით, უბრალოდ შეუძლებელია, ქვეყნისთვის საზიანო არ იყოს. □

# საქართველოს საზოგადოების შედეგად პრემიერ-მინისტრი ბანდის?

■ თუკი სააკაშვილი გახდება პრემიერ-მინისტრი, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოახერხებს პუტინის კეთილგანწყობის მოპოვებას. სხვა ვარიანტი გამორიცხულია.



# მეხანიკური ფორტოსალი

საქვემოქმედო ექსპერიმენტი მოზაიკების ტვინებზე

არის თუ არა არარსებული დანაშაულის პრევენცია დანაშაული. ის, ვინც აწესებს ნორმას, იძლევა თუ არა ინსტრუქციას, როგორ დაამახინჯო თავისუფალი ადამიანი?

თიკო ცომია



„როგორ შეიძლება დაადგინო ის, თუ რა ვიქნები მე 10 წლის შემდეგ?! იდიოტობა არაა, მიმკურნალონ იმის გამო, რისი გარკვევაც დღეს შეუძლებელია?“ – მეუბნება 15 წლის გიო, რომელსაც ნანახი აქვს სატელევიზიო რეკლამა მოზარდთა ასოციალური ქცევის პრევენციის შესახებ.

„იმ მოზარდებს, რომელთაც ტესტირების შედეგად აღმოაჩნდებათ ასოციალური ქცევისადმი მიდრეკილება, ჩაუტარდებათ თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია... ექსპერტები დაადგენენ: ასოციალური ქცევის პრევენციის ეფექტურად განხორციელებისთვის საკმარისია მოზარდებთან ფსიქოლოგიური მეთოდებით მუშაობა, თუ მედიკამენტოზური მკურნალობის ჩართვაც იქნება რეკომენდებული“, – ნათქვამი იყო სატელევიზიო რეკლამაში იმ კვლევის შესახებ, რომლის ავტორებიც მშობლებს „პირველად საქართველოში“, „უფასოდ“ სთავაზობდნენ, დაედგინათ, აქვთ თუ არა მათ შვილებს მიდრეკილება ნარკომანიის, კრიმინალის და ალკოჰოლიზმის მიმართ.

როდესაც ამ პროექტის მორალურ და კანონიერ მხარეს ექსპერტების კრიტიკა მოჰყვა, კვლევის ერთ-ერთმა ავტორმა, ფსიქოლოგმა თეა გოგოტიშვილმა დანახებით აღნიშნა: „ეს პროექტი საქველმოქმედოა, არ მესმის რისთვის დავიმსახურე ეს კრიტიკა... ამდენი სიკეთე მიკეთებია“.

საქველმოქმედო ექსპერიმენტი მოზარდების ასოციალური ქცევის დასადგენად არა მარტო არაეთიკური, არამედ უკანონოცაა, რადგან, მედიკოპოლოგიური კვლევის ჩატარებას ბიოეთიკის კომიტეტის თანხმობა სჭირდება, რაც ამ ექსპერიმენტის ავტორებს არ ჰქონიათ.

„კვლევა ფსიქო-ფიზიოლოგიური იყო და ბიოეთიკის კომიტეტის თანხმობა არ სჭირდებოდა“, – აცხადებს პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონ-

დის ანტინარკოტიკული პროგრამის ხელმძღვანელი თეა გოგოტიშვილი.

„როცა კვლევის ობიექტი ადამიანია, ეთიკის კომისიის დასკვნა აუცილებელია“, – განმარტავს ბიოეთიკის საკითხების შემსწავლელი საზოგადოების თანათავმჯდომარე, გურამ კიკნაძე.

ბიოეთიკის ეროვნული საბჭო საქართველოში, უკვე რამდენიმე წელია, კვლევების ჩატარების მიზანშეწონილობას აფასებს. სდომა, როგორც წესი, მკვლევართა ჯგუფის მიმართვის საფუძველზე დგება. იურისტები, ექიმები, საშუალო სამედიცინო პერსონალი, ადამიანის უფლებათა დამცველები, ეკლესიის, სამინისტროს, პარლამენტის წარმომადგენლები სხვადასხვა წრილში განიხილავენ კვლევასთან დაკავშირებულ მორალურ ასპექტებს და მკვლევართა ჯგუფს რეკომენდაციებს სთავაზობენ. მიზანი კვლევის ობიექტის უფლებების და ინტერესების დაცვაა. მამა ადამი, ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს წევრი, ამბობს, რომ ხშირად მკვლევრებს არ აქვთ ინფორმაცია ბიოეთიკის კომისიის არსებობის შესახებ, ან კარგად არ ესმით მისი მნიშვნელობა.

ადამიანებზე ჩატარებული ექსპერიმენტების დროს ისტორიულად დაშვებული შეცდომები გამოუსწორებელია. სამედიცინო ეთიკის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ ნიურნბერგის პროცესზე დადგა. დოკუმენტურად დადასტურდა, რომ ომის დროს სამხედრო ტყვეებზე სასტიკ კვლევებს აწარმოებდნენ ის ექიმები, რომელთაც ჰიპოკრატეს ფიცი ჰქონდათ დადებულნი. ადამიანების წამების გარდა, მათ დაამკვიდრეს ევთანაზიაც, რომლის საშუალებითაც ხოცავდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და „საზოგადოებისათვის გამოუსადეგარ“ ბავშვებს. ნაცისტების მიერ წარმოებული კვლევები, ავტორების აზრით, მეცნიერების წინსვლას და პროგრესს ემსახურებოდა.

სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა სამედიცინო ეთიკის აქტუალობა კიდევ უფრო აშკარა გახადა, ამიტომ ცივილიზებულმა ქვეყნებმა კანონით დაარეგულირეს მსგავსი საკითხები. მართალია, თანამედროვე კანონმდებლობა, ბიოსამედიცინო მეცნიერების განვითარების მიზნით, ადამიანზე კვლევის ჩატარებას კვლავაც ითვალისწინებს, შეთანხმდნენ, რომ თუკი ბიოსამედიცინო კვლევა ადამიანის ღირსებისა და უფლებების წინააღმდეგაა მიმართული, არასდროს უნდა განხორციელდეს.

საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად რეგულირდება კვლევის განხილვის პროცედურაც. ჯანმრთელობის შესახებ კანონის მიხედვით, კვლევის სამეცნიერო გეგმა მკვლევრისა და დამფინანსებლისგან დამოუკიდებელმა სპეციალურმა კომისიამ და ბიოეთიკის კომიტეტმა უნდა განიხილოს. ასევე, კვლევის რისკი არ უნდა აჭარბებდეს მისი ობიექტისთვის მოსალოდნელ სარგებლობას, ანდა კვლევის მიზნების მნიშვნელობას.

რადგან ეს კვლევა მოზარდებზე მათი ასოციალურობის თუ კრიმინალისკენ მიდრეკილების დასადგენად ტარდება და შეიცავს რისკებს მასში მონაწილე ადამიანებისთვის, აუცილებელია ბიოეთიკის კომისიის წევრების შეფასება.

„ეს არ არის კვლევა კვლევისთვის, ეს ქველმოქმედებაა“, – ამბობს გოგოტიშვილი.

კვლევის ავტორები ამბობენ იმასაც, რომ შესაძლებელია პაციენტების მედიკამენტოზური მკურნალობა, თუკი ასოციალური ქცევის პრევენცია ასე უფრო ეფექტური იქნება. მკვლევრები იმასაც ვარაუდობენ, რომ კვლევის შედეგად მნიშვნელოვნად დაიტვირთება სამედიცინო დაწესებულებები.

ავტორები აცხადებენ, რომ მათ მხოლოდ ქველმოქმედება ამოძრავებთ, თუმცა, სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვა და მედიკამენტოზუ-

რი მკურნალობა იმასაც ნიშნავს, რომ ამით სარგებელს ფარმაცევტული კომპანიები და ექიმები ნახავენ: კომპანია „ავერსის“ გენერალურმა დირექტორმა კვლევის ავტორებს ძვირად ღირებული კომპიუტერული ტომოგრაფია შესთავაზა. ეს კი ინტერესთა კონფლიქტია და სათუოს ხდის კვლევის საქველმოქმედო მიზანს.

მრავალი კითხვის მიუხედავად, ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში ორკვირიანი რეკლამა – 11 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით – სისტემატიურად გადაიცემოდა. დღეს ექსპერტები ამბობენ იმასაც, რომ დარღვეული იყო კვლევაში მინვევის ეთიკაც. საანონსო რგოლში მოქალაქეებს გამოკვლევის ჩატარებას ისე სთავაზობდნენ, რომ

ტყუილი და მაყურებლის შეცდომაში შეყვანა გამოდის.

ხელოვნებამცოდნე თამუნა გულე-დანს კლიპმა „მექანიკური ფორთოხალი“ გაახსენა – ფილმი, რომელიც სტენლი კუბრიკმა ენტონი ბერჯესის იმავე სახელწოდების ნოველის მიხედვით გადაიღო.

ისევე როგორც ფილმში, კლიპშიც საუბარია იმაზე, რომ მოზარდს სხვებმა გადაუწყვიტონ პრობლემები, მასში მოკლან სურვილი, რომ რაიმე დააშავოს, ან არ დააშავოს. „როდესაც ადამიანს ართმევ თავისუფალ ნებას – თავად აირჩიოს გზა კეთილსა და ბოროტს შორის, იღებ მექანიკურ ფორთოხალს, რომელსაც ადამიანობის არაფერი აქვს შერჩენილი. ამასთან, არასებური და-

▶ მომავალში შეიძლება ექიმებს აღარასდროს ვენდო;

▶ თუკი მოვა დასკვნა, რომ მე მართლაც მიდრეკილი ვარ „მავნე ქცევისკენ“, მაშინ შეიძლება ვირწმუნო, რომ მართლაც გავნარკომანდები და ამის ფონზე გავაფრინო... ან კიდევ გავერიყო მეგობრებს და გარშემომყოფებს;

▶ თუკი მე არასდროს არ მიფიქრია ნარკომანიაზე და უცბად წამათრევენი, მეტყვიანი, – ახლა თავის ტვინის გამოკვლევა უნდა გაგიკეთოთ და დავადგინოთ, ხარ თუ არა მიდრეკილი ნარკომანიისკენო, – შეიძლება, უფრო მეტად დავინტერესდე ნარკოტიკით და გავსინჯო კიდევ. ყოველთვის მექნება ამის კომპლექსი.

## ■ საქველმოქმედო ექსპერიმენტი მოზარდების ასოციალური ქცევის დასადგენად არა მარტო

არაეთიკური, არამედ უკანონოცაა, რადგან, მედიკობიოლოგიური კვლევის ჩატარებას ბიოეთიკის კომიტეტის თანხმობა სჭირდება, რაც ამ ექსპერიმენტის ავტორებს არ ჰქონიათ.

არსად არ იყო გაფრთხილება – ეს კვლევა და მსურველები ცდის პირების როლში აღმოჩნდებიან.

ანტინარკოტიკული პრევენციის საკითხის ექსპერტის, ჯანა ჯავახიშვილის აზრით, კლიპი იმის თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ არ შეიძლება მუშაობა ანტინარკოტიკული პრევენციის სფეროში: ჯავახიშვილის თქმით, კლიპი სენსაციას ეძებს და ბავშვების სტიგმატიზაციას ახდენს.

„წარმოდგინეთ თქვენი თავი იმ ბავშვის ადგილას, რომელმაც ტელევიზიით ნახა ეს რეკლამა და მობოლებს ის ძალით მიჰყავთ იმის დასადგენად, აქვს თუ არა მას მიდრეკილება „მავნე ქცევის მიმართ“, – ამბობს ჯანა ჯავახიშვილი.

კლიპის ტექსტის მიხედვით, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანში მავნე მიდრეკილების გამოვლენა ასე პროცენტით შესაძლებელია. არადა, მსგავსი პერსპექტივა მეცნიერულ ცოდნას არ ემყარება და, შესაბამისად,

ნაშუალის პრევენცია არის უკვე დანაშაული და ამას აკეთებ ტყენით, წამლებით, ავტორიტარულად. ვინ თქვა, რა არის ნორმა, ვის აქვს უფლება, განგისაზღვროს, რა ილაპარაკო, რა ჩაიცვა? ეს კლიპი არის ინსტრუქცია იმისთვის, როგორ დაამახინჯო თავისუფალი ადამიანი“.

15 წლის გიორგიმ კლიპის ნახვის შემდეგ საკუთარი მოსაზრებები რამდენიმე პუნქტად ჩამოაყალიბა:

▶ მექნება კონფლიქტი იმასთან, ვინც ამ სულელური რეკლამის შემდეგ გასასინჯად წამიყვანს;

▶ ჩემი რელიგიური წარმოდგენები შეიძლება საფრთხის წინაშე დადგეს. რადგან იმას, რომ უნდა „გამომასწორონ“, საპატრიარქო ამართლებს.

▶ თუკი ჩემი ოჯახის წევრები ასე არ მენდობიან, არ მცემენ პატივს და უნდათ გაარკვიონ, 10000 წლის შემდეგ გავლოთ თუ არა, შეიძლება, ხელი ჩავიქნიო და ოჯახის წევრების ჯინაზე დავიწყო ლოთობა;

ფაქტობრივად, კვლევას პოსტ ფაქტუმ მოჰყვა ასეთი შეფასებები, კვლევის გარშემო გამოხატულმა მრავალფეროვანმა მოსაზრებებმა სხვადასხვა ჭრილში დაგვანახა პრობლემები და გამოწვევები.

მოცემულ კვლევასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში („ნეტგაზეტი“) აღნიშნული იყო, რომ ამ საკითხით ბევრი მშობელი დაინტერესდა, რაც არცაა გასაკვირი. შესაბამისად, შესაძლოა, მოზარდების უფლებები და ინტერესები უგულვებლყოფილი და დაუცველი აღმოჩნდეს.

50 ბავშვს უკვე ჩაუტარდა გამოკვლევა. საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი, რამდენად უსაფრთხო და სასარგებლო იყო ეს. ამჟამად მიმდინარეობს შედეგების ანალიზი. ვიდრე საზოგადოდ გახდებოდეს ცნობილი კვლევის შედეგები, აუცილებელია, პროცესი კანონის ფარგლებს დაუბრუნდეს და ეთიკის კომისიის შეფასება მიიღოს. ■



# ბიძეცვადიანი ჰიოქსები და ხინიბზა



საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე აჩვენა, რომ მოკლევადიანი პროექტების იმპლემენტაცია სათანადო დონეზე შეუძლია, მაგრამ რა ვუყოთ გრძელვადიან პროექტებს?

მარკ მალენი



ფოტო: ლეანა ნიკოლოზიძე

დემოკრატის იშვიათად აკრიტიკებენ, მაგრამ როცა აკრიტიკებენ, მთავარ არგუმენტად ის მოჰყავთ, რომ არჩეული მთავრობები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ რას მიაღწევენ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში. მომდევნო მთავრობებისთვის მოსავლის დათესვა სულგრძელობას მოითხოვს. პოლიტიკოსები კი სულგრძელობით იშვიათად გამოირჩევიან. „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, – ასეთი იყო მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ლოზუნგი. ახალ კონსტიტუციაზე საუბრისას ბევრი სვამს კითხვას, თუ როდემდე აპირებს ახლანდელი მთავრობა ხელისუფლებაში დარჩენას. შეიძლება დიდი ხნითაც აპირებდეს, მაგრამ ჩადებს კი ის დროს, ფულსა და ძალისხმევას პროექტში,

რომლის რეალიზებას ათწლეულები სჭირდება?

რკინიგზა ძალიან კარგი მაგალითია. კლიმატური მონაცემების ყველაზე სანდო წყაროს, ამერიკის მთავრობის ატმოსფეროსა და ოკეანეთის ნაციონალური ადმინისტრაციის უახლოესი ანგარიშის – „კლიმატის მდგომარეობის“ მიხედვით, ბოლო ათწლეული ძალიან დიდი მაჩვენებლით უფრო ცხელი იყო წინა ათწლეულებთან შედარებით. ყველა, ვინც ამას უარყოფს, უარყოფს მეცნიერულ ფაქტებს და, სავარაუდოდ, რაღაც სხვა, მერკანტილური პოლიტიკური მიზნები აქვს. მანქანები და თვითმფრინავები გამოიშუშავენ მეტ ნახშირორჟანგს, ვიდრე მატარებლები. ჩინეთში უკვე დადის მსო-

ფლიოში ყველაზე სწრაფი მატარებელი და ჩინელები გეგმავენ, რომ შექმნან ზესწრაფი მატარებელი, რომელიც მგზავრებს ლონდონიდან პეკინამდე სამ დღეში გადაიყვანს. ესპანეთს, გერმანიას და, განსაკუთრებით, საფრანგეთს უკვე აქვთ მაღალსიჩქარიანი სარკინიგზო სერვისი.

საქართველოს გავლით ჰიდროკარბონატების ტრანსპორტირებაში დიდი ძალისხმევა ჩაიდო, მაგრამ ადამიანების და ტვირთის ტრანზიტზე მომავალში ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ამის მიუხედავად, საქართველოს რკინიგზაში ჯერჯერობით მსხვილი ინვესტიციები არ ჩადებულა. ყველაზე მნიშვნელოვანი სარკინიგზო იდეა იყო თბილისის აეროპორტის ქალაქის ცენტრ-

თან შეერთება, მაგრამ ეს ხაზი თბილისის რკინიგზის სადგურს უკავშირდება, სადაც მისვლა ცოტა ადამიანს თუ უნდა. ამიტომ, პროექტს სძინავს. ეს სტატუსის ასამაღლებელი უფრო იყო, ვიდრე გრძელვადიან მიზნებზე გათვლილი პროექტი. საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სარკინიგზო ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსია. ბოლო ხანებში თურქეთის მთავრობამ ამ პროექტში დიდი რესურსები ჩადო. მისი განხორციელების მთავარი შემაფერებელი ფაქტორია საქართველოს მხრიდან პასიურობა. მისი განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს გარესამყაროსთან კავშირი მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ, რა თქმა უნდა, საქართველოს მხარე პროექტს არ შეაფერხებს.

დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები ბევრ სამუშაო ადგილს ქმნის. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც ჩინეთის მთავრობას მსგავსი პროექტები მოსწონს. ამგვარი პროექტები ძირითადად საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობით მიიღწევა, რაც რთული განსახორციელებელია, რადგან კერძო სექტორი ფულს მოკლევადიანი მიზნებისთვის დებს, საჯარო კი – გრძელვადიანი. რკინიგზის მაგალითზე, გრძელვადიანი პერსპექტივისთვის მიზანშეწონილი იქნება მაღალი და ფართო ლიანდაგების და ხიდების აშენება, რომლებიც მაღალსიჩქარიან მიმოსვლას გაუძლეობს.

გლობალური დათბობის გამოწვევებზე საპასუხოდ ბევრი გზა არსებობს: შესაბამისი კანონმდებლობის მიღება, ცალკეული ადამიანების ინდივიდუალური ძალისხმევა, მსხვილი სამთავრობო პროექტები... სარკინიგზო პროექტებიც ერთ-ერთი გზაა. იმის გარდა, რომ სარკინიგზო ტრანსპორტი ეკოლოგიურად შედარებით უფრო სუფთაა, მისი ნახალისების ბევრი სხვა მიზეზი არსებობს. მთავარი კითხვა კი ისაა, თუ დროის რა მონაკვეთზეა გათვლილი სამთავრობო პროექტები? საქართველოს მთავრობამ რამდენჯერმე აჩვენა, რომ მოკლევადიანი პროექტების იმპლემენტაცია სათანადო დონეზე შეუძლია, მაგრამ რა ვუყოთ გრძელვადიან პროექტებს? ამაზე ფიქრი ალბათ ნამდვილად ღირს, საზაფხულო სეზონზე, აჭარისკენ მიმავალ გზაზე, სადაც, იმედია, მატარებლით გავეშურებით. **□**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

## რუსეთი

# "ჯეხინიუბენის" ფოჩხეი

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული ფორუმის „სელიგერი 2010“ ყოველგვარი იდეოლოგიისგან დაცლილად გამოცხადდა, პუტინის და მედვედევის დიდი პორტრეტები იქ მაინც ეკიდა.

## ოლესია ნოვგოროდოვა



ინსტალაცია „თქვენ აქ სიხარულით არ გხვდებიან“, სელიგერი, რუსეთი 2010

ყოველწლიური ახალგაზრდული ფორუმის „სელიგერი 2010“-ის დახურვის ზეიმი სკანდალური გამოდგა.

ახალგაზრდული ბანაკის ტერიტორიაზე გაჩნდა მინაში ჩარჭობილი 13 ძელი, ზედ წამოგებული ჩაფხუტიანი, ნაცისტური არწივებითა და სვასტიკებით შემკობილი პლასტმასის თავებით. გვერდით იყო პლაკატიც, რომელზეც დიდი წითელი ასოებით ეწერა: „თქვენ აქ სიხარულით არ გხვდებიან“.

მათ შორის, ვისაც „სიხარულით არ ხვდება“ კრემლის გულშემმატივარი ახალგაზრდობა, აღმოჩნდნენ – პატიმრობაში მყოფი მიხაილ ხოდორკოვსკი, მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის

მეთაური ლუდმილა ალექსეევა, ჟურნალისტი ნიკოლაი სვანიძე, ოპოზიციონერი პოლიტიკოსები – ედუარდ ლიმონოვი, ბორის ნემცოვი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

იურისტები, რომლებმაც ნახეს ინსტალაცია, ამბობენ, რომ იგი არღვევს როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

ტვერის ოლქში მდებარე ტბის – სელიგერის პირას, ახალგაზრდული შეკრებები რეგულარულად 2005 წლიდან იმართება.

თავიდან მათი ორგანიზატორი მოძრაობა „ნაში“ იყო, რომელიც მთავარ მიზნად ვლადიმირ პუტინის მხარდა-

ჭერას ისახავდა.

2009 წლიდან მოყოლებული სელიგერზე გამართულ ღონისძიებას სრულიად რუსეთის ახალგაზრდული ინოვაციური ფორუმი ეწოდება და ახალგაზრდულ საქმეთა ფედერალური სააგენტოს ეგიდით ტარდება. გრანდიოზულ ფორუმს, რომელიც რუსული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტით სრულდება ხოლმე, სახელმწიფო აფინანსებს. ნაციონალისტური შეხედულებებით ცნობილი, კრემლის ერთგული მოძრაობა „ნაში“ ფორუმის თანადამფუძნებელია. მოძრაობა „ნაში“-ს ოპონენტები ხშირად შეურაცხმყოფელ ისტორიულ პარალელებს მოიხმობდნენ და ორგანიზაციას „ნაშისტებსა“ და „პუტინიუგენდს“ უწოდებდნენ.

რუსეთის ახალგაზრდობის ლიდერი „ნაში“-ს ყოფილი ხელმძღვანელი ვასილი აკემენკოა.

რამდენიმე წლის წინათ მან სახე-

პლომატიური წარმომადგენლების სტატუსის დარღვევად შეაფასეს.

ფორუმზე უცხოელების მიპატიჟებაც დაინწყეს, თუმცა ბევრი მათგანი ფორუმში მონაწილეობისგან თავს იკავებს. მაგალითად, წელს ბრიტანეთის საბჭომ ოფიციალურად თქვა უარი სელიგერში ჩასვლაზე. რაც შეეხება ოპოზიციური შეხედულებებით ცნობილ რუსებს, მათთვის სელიგერისკენ გზა დაკეტილია.

სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული პოლიტიკის მინისტრმა ვიტალი მუტკომ, რომელიც სხვა სფეროებთან ერთად „როსმოლოდიოუსაც“ კურირებს, ძელზე წამოცმული „თავების“ შესახებ თავშეკავებული განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ თავად „განსაკუთრებულად არც არის საქმის კურსში“, და რომ „ხელოვნებას ზოგჯერ ზედმეტიც მოსდის“.

რუსეთში ადამიანის უფლებათა დაცვის მეურვემ ვლადიმირ ლუკინმა

ვთქვა, სული ეშმაკს მიჰყიდეს. ჯერ წიგნებს წვავენ, მერე ფიტულებს დაწვავენ. შემდეგ? ადამიანებამდეც მიაღწევენ?“ – თქვა პამფილოვამ. ამ განცხადებიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ პამფილოვა თანამდებობიდან გადადგა. რუსული პრესა წერს, რომ კრემლის ზენლოით.

„სელიგერი 2010“-ის დახურვის დღეს ახალგაზრდულ ბანაკს ესტუმრა კრემლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ვლადისლავ სურკოვი. ნახა თუ არა მან ინსტალაცია, უცნობია.

ფორუმის მონაწილეებთან საუბრისას სურკოვი თითქოს არ შეხებია პოლიტიკურ საკითხებს, მხოლოდ იმაზე ისაუბრა, რომ მნიშვნელოვანია, სადარბაზოები არ დავანაგვიანოთ და ვადაგასული პროდუქტები არ ვჭამოთ.

სურკოვის აზრით, ახლა, „როდესაც პოლიტიკური სისტემა მთლიანობაში სტაბილურია“, დადგა დრო, ვებრძოლოთ „უწესრიგობას ყველგან – ყოფითი კულტურიდან დაწყებული, პირადი ჰიგიენით დამთავრებული“.

ამასთანავე ჩინოვნიკმა, რომელსაც არცთუ იშვიათად უწოდებენ კრემლის „მთავარ იდეოლოგს“ და „რუხ კარდინალს“, აღწერა, თუ როგორ ესახება მას მომავალი რუსული საზოგადოება.

„ვისურვებდი, რომ ფულის გამოუმუშავება შეძლოთ, ამ ფულის სასიამოვნოდ დახარჯვა და პატრიოტებად დარჩენა“, – განაცხადა მან.

სელიგერის ბანაკს პრეზიდენტი დამიტრი მედვედევიც ესტუმრა. მისი მიმართვა ფორუმის მონაწილეებისადმი ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას ეძღვნებოდა.

„თქვენ ის ადამიანები ხართ, ვიზეც ჩვენი მომავალი დამოკიდებული. თქვენ ყველაზე თანამედროვე აზროვნების ხალხი ხართ. მუშაობის სურვილიც გაქვთ და დაუშრეტელი ენერჯიაც. მართლაც ყოჩაღები ხართ, რადგან საკუთარი ემოციების გამოხატვის არ გრცხვენიათ“, – უთხრა მედვედევმა დამსწრეებს. □

■ ახალგაზრდული ბანაკის ტერიტორიაზე გაჩნდა მინაში ჩარჭობილი

13 ძელი, ზედ წამოგებული ჩაფხუტიანი, ნაცისტური არწივებითა

და სვასტიკებით შემკობილი პლასტმასის თავები. გვერდით იყო პლაკატიც, რომელზეც ეწერა: „თქვენ აქ სიხარულით არ დაგხვდებიან“. მათ შორის იყო სააკაშვილის „თავიც“.

ლი გაითქვა როგორც ბრიტანეთისა და ესტონეთის ელჩების – ენტონი ბრეტონისა და მარია კალიურანდის წინააღმდეგ მონყობილი საჯარო აქციების ორგანიზატორმა.

პირველ შემთხვევაში „ნაში“-ს უკმაყოფილების მიზეზი გახდა ბრეტონის შეხვედრა რუსეთის ლიბერალურ ოპოზიციასთან, მეორე კი – ტალინის ცენტრიდან საბჭოთა განმათავისუფლებელი ჯარისკაცის ძეგლის გადატანა.

„ნაში“-ს აქტივისტები ელჩებს მოსკოვში გადაადგილებისას უკან დაჰყვებოდნენ და მათი მისამართით შეურაცხმყოფელ შეძახილებს დაჰყვიროდნენ, რაც ევროპაში დი-

განაცხადა, რუსეთის რეპუტაციისთვის უფრო დიდი დანაკლისის მიყენება ძნელია, და რომ ამ აქციის ორგანიზატორები სერიოზულად უნდა დაისაჯონ.

„მაშინებს იმაზე ფიქრი, რომ ეს ბავშვები რალაც წლების მერე ხელისუფლებაში მოვლენ. თქვენ მერე ნახეთ“, – განაცხადა „ეხო მოსკვის“ რადიოეთერთ რუსეთის პრეზიდენტთან არსებული სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების განვითარებისა და ურთიერთქმედების საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ელა პამფილოვამ.

„ამ ზოგიერთი პოლიტიქნოლოგის გამოზრდილებმა, უხეშად რომ

სამხრეთი ოსეთი

## პახიოტუნი საზოგადოება

სამოქალაქო საზოგადოება ცხინვალში არ არის მზად, ტიმურ ცხოვრებოვის ცემის ფაქტი აღიაროს.

ვარვარა პახომენკო, ცხინვალი

უკვე თითქმის თვეა, სამხრეთ ოსეთში ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება ცოტა ხნის წინ ჰოლანდიაში გამართული ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმი და მასზე მიღებული მიმართვა ჟენევის დისკუსიების მონაწილეებისადმი. 2008 წლის ომის შემდეგ ჟენევის დისკუსიები მოლაპარაკებათა ერთადერთ სივრცეს წარმოადგენს, სადაც ერთმანეთს ხვდებიან საქართველოს, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ხელისუფლებისა და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიმართვაში ლაპარაკია იმაზე, რომ სამხრეთ ოსეთსა და საქართველოში მცხოვრებთა ჰუმანიტარული პრობლემები არ უნდა იყოს პოლიტიკური სპეკულაციის საგანი და პრიორიტეტული თანმიმდევრობით უნდა გადაწყდეს: პირველ რიგში – რეგიონში თავისუფლად გადაადგილების უზრუნველყოფა.

თავისთავად არც თავად სამოქალაქო ფორუმი და არც იქ თქმული სიახლეს არ წარმოადგენს. ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმი ჯერ კიდევ 2007 წელს გაჩნდა, ხოლო ჟენევისთვის განკუთვნილი რეკომენდაციები, უკვე დიდი ხანია, ყბად აღებული აქვთ იქაურ მოლაპარაკებათა მონაწილეებს: მასზე ლაპარაკობენ ქართველიც და ოსი პოლიტიკოსებიც – ზოგი ლიად, ზოგიც კულუარებში, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, წერენ ჟურნალისტები. სიახლე მხოლოდ ის აღმოჩნდა, რომ ასეთი რეკომენდაციები პირველად გაისმოდა ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტების მხრიდან.



ტიმურ ცხოვრებოვი

**■ ოცნლიანი კონფლიქტის მანძილზე ადამიანები მიეჩვივნენ ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის პირობებში ცხოვრებას: ყველა სიტყვის აწონ-დანონასა და ყველა საქციელზე დაფიქრებას – მტერმა შეიძლება ნებისმიერი სისუსტით ისარგებლოს.**

და ამან ქარიშხალი გამოიწვია. პოსტკონფლიქტური დარეგულირების დარგში სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის, ბორის ჩოჩიევის წამოწყებით, ადგილობრივმა პოლიტიკოსებმა და აქტივისტებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს ამ „მოლაპარაკებრივი განცხადების“ მხილება და თავად ქართველებთან შეხვედრის ფაქტის გამო აღშფოთება. კულმინაციად იქცა პარლამენტის დეპუტატების მიერ 24 ივლისს ფორუმის ერთ-ერთი მონაწილის, ადგილობრივი სამოქალაქო აქტივისტის, ჟურნალისტისა და ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ტიმურ ცხოვრებოვის ცემა.

მომხდარმა სკანდალმა ცხადყო არამართო ხელისუფლებისა და მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ საჯარო მსჯელობისადმი, არამედ სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტთა რადიკალური განწყობაც – მათი, ვინც თითქოს მეტ-ნაკლებად ტოლერანტული უნდა იყოს.

ოცნლიანი კონფლიქტის მანძილზე ადამიანები მიეჩვივნენ ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის პირობებში ცხოვრებას: ყველა სიტყვის აწონ-დანონასა და ყველა საქციელზე დაფიქრებას – მტერმა შეიძლება ნებისმიერი სისუსტით ისარგებლოს. მაგრამ ახლა, 2008 წლის ომის შემდეგ ადგილობრივი მაცხოვრებლები იმაზე თანხმდებიან, რომ რეგიონში რუსული ჯარის შემოსვლით თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. თუმცა, „მტრის ხატის“ ექსპლუატირებას ხელისუფლება მაინც განაგრძობს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ სამხრეთ

ოსეთი ჯერ არ არის მზად მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყოს. ფორუმის განცხადებაზე ხელისუფლების ასეთი მწვავე რეაქცია მის სისუსტეზე მიუთითებს. „მტრის ხატი“ საზოგადოების მართვის მოხერხებული ხერხია, რომლის ხელიდან გაშვება კოკოითის არ სურს. ნებისმიერი განსხვავებული აზრი აქ მოლაღატკობად აღიქმება.

განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე, პატარა რესპუბლიკაში თითქმის ყველა პრობლემა ასე თუ ისე კონფლიქტს უკავშირდება, ამიტომ საზოგადოებრივი აქტივობები თვითცნობიერების არიან დაკავებული: ისინი მზად არიან, შეზღუდონ თავიანთი სიტყვები და მოქმედებები. ახლა ზოგიერთი აქტივისტი ამბობს, რომ პრინციპში ეთანხმება იმას, რაც ქართულ-ოსური ფორუმის განცხადებაშია ნათქვამი, თუმცა ამის ხმა მაღლა თქმის „დრო ახლა არ არის“. ისევე, როგორც ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია მზადაა, თითოეული უცხოური კონტაქტი, პროექტი და მოგზაურობა აუცილებლად ხელისუფლებას შეუთანხმოს.

არცთუ დიდ ტრადიციულ საზოგადოებაში, სადაც თითქმის ყველა ერთმანეთს იცნობს, საზოგადო მოღვაწეები პრობლემების გადასაჭრელად ძირითადად პირად ურთიერთობებს ეყრდნობიან, და არა – სამართლებრივ მექანიზმებს. რესპუბლიკაში დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების არარსებობა ადამიანთა უფლებების დაცვის საშუალებას არც საზოგადოებრივ სივრცეში იძლევა.

სამხრეთ ოსეთში ოფიციალურად დარეგისტრირებულია ასამდე საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თუმცა აქტიურად ათზე მეტი არ მუშაობს. ნაწილობრივ ეს პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ საერთო ტენდენციას ასახავს: დასავლეთის მხრიდან აქტიურმა საგრანტო მხარდაჭერამ 1990-იან წლებში მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოშვა – უმუშევრობის პირობებში ბევრისთვის ეს დასაქმების ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა. უმეტესწილად ეს იყო

„ფართო პროფილის“ მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც სამშვიდობო სფეროში იღვწოდნენ.

ახლაც თითქმის შეუძლებელია ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის ზუსტად განსაზღვრა – ისინი სულ სხვადასხვა პრობლემებით არიან დაკავებული; ისევე როგორც ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება ერთდროულად იყოს საზოგადოებრივი აქტივისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი ან სახელმწიფო მოხელე. ბუნებრივია ასეთი გადაკვეთები ხშირად ინტერესთა კონფლიქტამდეც მიდის, რისი მაგალითიც იყო ტიმურ ცხოვრებოვთან დაკავშირებული სიტუაცია – ის, როგორც პოლიტიკოსი, საკუთარ სამართლებრივ აქტიურობაზე აღმოჩნდა დამოკიდებული. მსგავსი სიტუაცია სრულიად დამახასიათებელია მცირე საზოგადოებებისთვის და 30-ათასიანი მოსახლეობის მქონე რესპუბლიკისთვის თავისი ახსნაც აქვს – აქტიური ადამიანი ძალიან ცოტაა და ისინი ერთდროულად რამდენიმე ნიშანს იკავებენ.

მწვავედ დგას არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხიც – ადრე გრანტების უმრავლესობა საქართველოს გავლით შემოდიოდა. ახლა კი დასავლური ორგანიზაციების მხრიდან დაფინანსებასაც კი სიფრთხილით ეკიდებიან: დასავლეთი ჩვენი მტერია. რისკზე წამსვლელები კი ბევრ პრობლემას აწყდებიან: არამხოლოდ პოლიტიკურს – დონორთა მხოლოდ მცირე ნაწილია მზად, დახმარება იმ პირობის გარეშე გამოიყოს, რომ სამხრეთი ოსეთი საქართველოს ნაწილად მოიაზრებოდეს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ძალიან სუსტია საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებში ხარისხიანი განაცხადების შეტანა შეძლონ. თანაც, ძირითადად იმ პროექტებს უჭერენ მხარს, რომლებიც კონფლიქტთანაა დაკავშირებული. შიდა პრობლემების გადასაწყვეტად მიმართული პროექტებისთვის სახსრების მოპოვება საკმაოდ რთულია.

ადგილობრივი ხელისუფლებისგან

ფინანსური მხარდაჭერა შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა არასამთავრობოებმა. როგორც წესი, ასეთი ორგანიზაციები წარმოადგენენ სამხრეთ ოსეთს მრავალ საერთაშორისო შეხვედრაზე, და ხელისუფლებისთვის მისაღებ პოზიციას გამოხატავენ; მათი წევრები კი ზოგჯერ სახელმწიფო მოხელეები ან სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან. რუსეთიდან დაფინანსება სამოქალაქო სექტორისთვის ან საერთოდ არ არის, ან ამ დახმარების იმედი ისევე მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებულ არასამთავრობებს უნდა ჰქონდეთ.

სამხრეთი ოსეთის სამოქალაქო საზოგადოება ძალიან სუსტადაა დაკავშირებული რუსეთის მესამე სექტორთან: აქ სულ რამდენიმე რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის 2008 წლის ომიც კი სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთი ოსეთის სამოქალაქო საზოგადოება ახლა ჩამოყალიბების ყველაზე ადრეულ ეტაპზე იმყოფება. ის, თუ როგორ მოიქცევიან საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ტიმურ ცხოვრებოვთან დაკავშირებულ კონფლიქტში – პრინციპული საკითხია. და მართალია, საზოგადოებაში ბევრისთვის მიუღებელია მომხდარი ძალადობა, უმრავლესობისთვის ჯერ კიდევ სათუთაა, მზად არიან თუ არა, საჯაროდ ამხილონ თავად ტიმურის ცემის ფაქტი. **■**

**სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“.**

**HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
საზოგადოებრივი კავშირები

სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

# ახალი ხონსტიტუსია

ინტერვიუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარესთან, საკონსტიტუციო ცვლილებების კომიის წევრთან, **თამარ ხიდაშელთან**

**რით განსხვავდება საკონსტიტუციო კომიის საბაზისო პროექტი მიმდინარე კონსტიტუციისგან? რისი შეცვლა იგეგმებოდა ახალ მოდელში და რა მივიღეთ საბოლოოდ?**

2009 წლის გაზაფხულის აქციების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებას კრიზისის განსამუხტავად ახალ საკონსტიტუციო მოდელზე მუშაობა შესთავაზა. მთავარი ამოსავალი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის, მთავრობის და პარლამენტის უფლებამოსილების დაბალანსება.

ახალ მოდელში პრეზიდენტი უფლებამშეკვეცილი და სუსტია, მთავრობა კი ძლიერი. დღეს არსებული კონსტიტუციით კი, გვყავს სუპერპრეზიდენტი უუნარო მთავრობისა და სუსტი პარლამენტის საპირიონედ. ახალი კონსტიტუციით ძალთა გადანაწილება შეიცვალა, მაგრამ – მხოლოდ მთავრობის და პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ. პარლამენტი მაინც სუსტ ორგანოდ დარჩა. სამწუხაროა, რომ პროექტის მიღების პროცესი ძალიან დაჩქარდა.

**რატომ არის ნაჩქარევი?**

კომისია 2009 წლის ივნისში შეიქმნა. დეკემბერში პროექტის ძალიან დაუმუშავებელი ვარიანტი დაიდო. მასში თითოეულ მუხლს დაახლოებით 4 ფორმულირება ჰქონდა. პირველი საბაზისო დოკუმენტი კი კომისიამ მხოლოდ 2010 წლის 12 მაისს მიიღო. ანუ მთელი ერთი წლის განმავლობაში პროექტის საბაზისო დოკუმენტი არ არსებობდა. 12 მაისიდან 19 ივლისამდე მხოლოდ ორი თვე გავიდა. ეს არ იყო საკმარისი დრო პროექტის კარგად გასააზრებლად.

15-16 ივლისს ბერლინში კომისიამ ძალიან მნიშვნელოვანი რჩევები, რეკომენდაციები, კრიტიკა მიიღო. უნდა



ფოტო: ლევან სიჭყალაძე

მომხდარიყო ამის გააზრება. თუმცა, თბილისში დაბრუნებიდან 2 დღეში ზოგიერთი მუხლი ისე შეიცვალა, რომ კომიის წევრთა უმრავლესობამ არც კი იცოდა ამის შესახებ. 19-ში ისე მიიღეს პროექტი, რომ ბევრისთვის ეს სიურპრიზი იყო.

**რომელია ის პუნქტები, რომლებიც 18-19 ივლისს ისე შეიცვალა, რომ ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა?**

ის მუხლები, რაც პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობას აბალანსებს. მაგალითად – მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება (81-ე მუხლი), რაც მნიშვნელოვანი ბერკეტია პარლამენტის მიერ მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხის დასაყენებლად.

ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე ამოიღეს, ასევე, ორგანული კანონი. მივიღეთ დაპირება, რომ დავილაპარაკებდით მოსამართლეების დამოუკიდებლობის გარანტიებთან დაკავშირებით

■ **ახალი კონსტიტუციით ძალთა გადანაწილება შეიცვალა, მაგრამ – მხოლოდ მთავრობის და პრემიერ-მინისტრის სასარგებლოდ. პარლამენტი მაინც სუსტ ორგანოდ დარჩა.**

თაც, თუმცა საუბარი არც ამ თემაზე გაგრძელდებულა.

**პროექტის ავტორებს პარლამენტის სიძლიერის დასამტკიცებლად საკუთარი არგუმენტი აქვთ – ის, რომ პარლამენტი პრემიერ-მინისტრს ირჩევს და მთავრობას აკომპლექტებს. თქვენ რა კონკრეტული ნიშნები გაფიქრებინებთ, რომ ახალ კონსტიტუციაში პარლამენტი სუსტი იქნება?**

ის, რომ პარლამენტი აყალიბებს მთავრობას, გვეყოლება პარლამენტზე მიბმული მთავრობა და არა პრეზიდენტზე დამოკიდებული – რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ამ ცვლილების გარდა, სხვა არაფერი მიუთითებს პარლამენტის სიძლიერეზე.

დავინყოთ პარლამენტის კანონშემოქმედებითი ფუნქციიდან. დღეს მოქმედ პროექტში წერია, რომ საკანონმდებლო ინიციატივის დაყენების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრებს, ამომრჩევლების დიდ ნაწილს, ასევე პრეზიდენტს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ახალ ვარიანტში „განსაკუთრებული შემთხვევები“ გაქრა და გამოდის, რომ პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ყოველგვარი პირობის გარეშე ეძლევა. მაგრამ ეს არაა ყველაზე დიდი პრობლემა.

პრეზიდენტს და მთავრობას უფლება აქვთ, პარლამენტს მათ მიერ შეთავაზებული კანონპროექტების განხილვა რიგგარეშედ მოსთხოვონ. ეს დღეს მოქმედ კონსტიტუციაშიც წერია და ახალ პროექტშიც შენარჩუნდა. ანუ პარლამენტი ვალდებული იქნება, თავისი დღის წესრიგი, მის მიერ ინიცირებული კანონპროექტი გვერდზე გადადოს და მთავრობის და პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონპროექტების განხილვას მიანიჭოს უპირატესობა. თუ ჩვენ გვეყოლება უპასუხისმგებლო მთავრობა, უპასუხისმგებლო პრეზიდენტი, მას შეუძლია ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს პარლამენტის მუშაობაზე.

მაგალითად, თუ დღეს ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებს მთავრობა კომიტეტებთან ათანხმებს, საკონსტიტუციო პროექტში წერია, რომ კომიტეტები მხოლოდ განიხილავენ ამ საკითხს. მათი თანხმობაც აღარ არის საჭირო. პარლამენტს კი მთავრობის თანხმობის გარეშე ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა აღარ შეეძლება. პარლამენტს იმის საშუალებაც არ ექნება, რომ საბიუჯეტო თანხების ზრდის გამო, რომელიმე კანონპროექტი გაითხოვოს, თუ მთავრობის თანხმობა არ ექნა. ბიუჯეტზე უკვე მთლიანად მთავრობაა

უპასუხისმგებელი; ანუ ძალიან ბევრი მიმართულებით მთავრობა ძალიან ძლიერია, საკანონმდებლო ფუნქციებსაც ითავსებს, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც აქვს, მაგრამ პარლამენტის დამაბალანსებელი როლი აღარ ჩანს.

**თუმცა, პარლამენტს შეუძლია ხმათა გარკვეული უმრავლესობით მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი?**

უნდობლობის პროცედურა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და 2-დან 3 თვემდე გრძელდება. პარლამენტმა თუ 2 თვის ვადაში 1/2 უმრავლესობით მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა, უნდა წამოაყენოს პრემიერ-მინისტრის ახალი კანდიდატურა. თუ მასზე პრეზიდენტმა უარი თქვა, პარლამენტმა ერთი თვის ვადაში ხმათა 3/5-ით უნდა გამოუცხადოს უნდობლობა მთავრობას, რომ პრეზიდენტმა მისი დათხოვნა ვერ შეძლოს და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წამოაყენოს. თუ პარლამენტს ასეთი უმრავლესობა არ ექნა – სახლში წავა.

3/5-ით უმრავლესობის მოგროვება კი არარეალურია და პროცესი დროში გაიწელება, რაც გახდება პოლიტიკური ვაჭრობის საგანი და მივიღებთ კრიზისს. სხვათა შორის, ვენეციის კომისიის წარმომადგენლებმაც გვითხრეს, რომ ეს კრიზისული სიტუაცია ხელოვნურად იქმნება.

ამ რთული პროცედურის პარალელურად, პრემიერ-მინისტრს შეუძლია ნებისმიერ კანონპროექტს, რომელსაც ის შემოიტანს პარლამენტში, მთავრობის ნდობის საკითხი მიაბას. ეს კი გარკვეულწილად შეიძლება პარლამენტის შანტაჟის საფუძველი გახდეს. კანონპროექტი, რომელიც შემოაქვს პრემიერ-მინისტრს და აბამს ნდობის საკითხს, ერთი მომენტით 14 დღის ვადაში უნდა მიიღოს; ანუ პარლამენტს არ აქვს საშუალება კანონპროექტი კარგად დაამუშაოს და ის იძულებულია, პირდაპირ მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტი ავტომატურად უნდობლობას უცხადებს მთავრობას და შემდეგ იწყება უნდობლობის პროცედურა. ამ პროცედურის

დანეყება ნიშნავს პარლამენტის დათხოვნის პერსპექტივას. შესაბამისად, დიდი ალბათობაა, რომ პარლამენტს შეეშინდეს და არ წავიდეს მთავრობის წინააღმდეგ.

**რაც შეეხება მთავრობას და პრეზიდენტს, რამდენად გამიჯნულია მათი ფუნქციები და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს მთავრობამ პრეზიდენტზე, ან პირიქით?**

ეს საკითხი უფრო დაბალანსებულია. პრეზიდენტის ძალიან ბევრი ფუნქცია გადადის მთავრობის ფუნქციებში. თუმცა, საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება პრეზიდენტს აქვს. მისი უფლებამოსილება უფრო მეტად საგარეო საკითხებზე ვრცელდება, ვიდრე – შიდა საკითხებზე. პრეზიდენტის ზოგიერთი გადაწყვეტილება მთავრობის თანხმობას საჭიროებს. ანუ ძირითადი რგოლი მაინც მთავრობაა.

სერიოზული პრობლემაა ის, რომ, საკონსტიტუციო პროექტით, საქართველოს პრეზიდენტს პარტიული საქმიანობის უფლება უნარჩუნდება. მას დღესაც აქვს ეს უფლება, მაგრამ ჩვენ ხომ ახალი ცვლილებით ამ მოდელს ვცვლით და პრეზიდენტი უკვე აღარ იქნება მთავრობის მეთაური. ის არის არბიტრი. თუ პარლამენტს და პარლამენტის მიერ არჩეულ მთავრობას შორის წარმოიქმნება უთანხმოება, პრეზიდენტმა ნეიტრალურად უნდა გადაწყვიტოს – ვის მიანიჭოს უპირატესობა. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი იქნება პარტიული, შესაძლოა, მისი გადაწყვეტილება მთავრობის გადაყენების, თუ პარლამენტის დათხოვნის შესახებ პარტიულმა კუთვნილებამ განაპირობოს.

**შესაძლებელია თუ არა, რომ დღევანდელი პრეზიდენტი ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრი გახდეს?**

ამაზე ბერლინშიც ვისაუბრეთ. „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ ითხოვდნენ, რომ ჩაგვედო მუხლი, რომელიც ამას აკრძალავდა. ამ საკითხს ძალიან სერიოზულად შეხვდნენ გერმანელი ექსპერტები და

ვენეციის კომისიის წარმომადგენლები. კალიფორნიის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა სტივენ ფიშმა განაცხადა, რომ „ესმის ქართველი ხალხის წუხილი და შიში იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, საკონსტიტუციო რეფორმა მიხეილ სააკაშვილისთვის ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გასახანგრძლივებლად განხორციელდა. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ეს ეჭვი, კარგი იქნებოდა მსგავსი დებულების კონსტიტუციაში შეტანა“. ანალოგიური მოსაზრებები გამოთქვეს სხვა ექსპერტებმაც. თუმცა საკონსტიტუციო კომისიის სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლებს სასაცილოდაც არ ეყოთ ამის ჩანერა და უარი თქვეს.

## ორგანული კანონი უქმდება და ყველა კანონი თანაბარი მნიშვნელობის ხდება. რა იცვლება ამით?

ვენეციის კომისიის დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ ძალიან ცუდია ორგანული კანონის გაუქმება. ეს არის კანონი, რომელიც უფრო მაღალი დაცვით სარგებლობს და მიიღება უფრო

გადანწყობით ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები.

## მოსამართლეების უვადო დანიშვნა უზრუნველყოფს თუ არა მათ დამოუკიდებლობას?

უვადოდ დანიშვნა არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე ხელშეუხებელია და მას თანამდებობიდან ვერ გაათავისუფლებ. თუ დღეს არსებული სისტემა შენარჩუნდება, უვადო მოსამართლეობის სისტემა არ იმუშავებს. იცვლება მხოლოდ ის, რომ 10 წლის ნაცვლად, მოსამართლეები უვადოდ დანიშნებიან. თუ თანამდებობიდან გაათავისუფლების საფუძვლები იგივე დარჩება – მაგალითად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შექმნა მოსამართლის თანამდებობიდან გაათავისუფლება, მას უვადოდ დანიშვნა ვერ დაიცავს.

მოსამართლეებისთვის დღეს ყველაზე დიდი პრობლემა სხვა სასამართლოებზე მიმაგრებაა. როგორც წესი, ამ მეთოდს იყენებენ დამოუკიდებელი, მაღალი სამოქალაქო შეგნების მოსამართლეების მოსაშორებლად. ასეთი გადაწყველება მოსამართლეებისთვის სამსახურის

უარყოფითი მომენტია – სამწლიანი გამოსაცდელი ვადა. გამოსაცდელი ვადის შემოტანით უვადოდ დანიშვნის ინსტიტუტი საფრთხის ქვეშ დგება. ეს ნიშნავს, რომ 3 წლის განმავლობაში უბრალოდ შეხედავენ რამდენად დამოუკიდებელია პიროვნება, ემორჩილება თუ არა ბრძანებებს და ინსტრუქციებს. მათთვის არასასურველ კანდიდატებს უბრალოდ აღარ დანიშნავენ მოსამართლეებად.

## დღეს საკონსტიტუციო პროექტის საერთო სახალხო განხილვის პროცესი მიმდინარეობს. თუ შეიძლება, რომ ამ პროცესმა პროექტი მნიშვნელოვნად შეცვალოს?

ამ განხილვას ძალიან ფორმალური ხასიათი ექნება. ძალიან ბევრი შენიშვნაც რომ გამოითქვას, ეჭვი მეპარება, ეს შენიშვნები პროექტზე აისახოს, რადგან უკვე ნათელია პოლიტიკური ნება. ამ საკონსტიტუციო კომისიაში, ფაქტობრივად, ყველა მაღალი თანამდებობის პირი შედის, თავიანთი მოადგილეებით; ასევე ექსპერტები, რომლებიც სახელისუფლებო წრეების

■ „**ესმის ქართველი ხალხის წუხილი და შიში იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, საკონსტიტუციო რეფორმა მიხეილ სააკაშვილისთვის ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გასახანგრძლივებლად განხორციელდა. იმისათვის, რომ გამოირიცხოს ეს ეჭვი, კარგი იქნებოდა მსგავსი დებულების კონსტიტუციაში შეტანა**“.

მაღალი კვორუმით, პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით. ის ეხება განსაკუთრებულ საკითხებს, მაგალითად – არჩევნებს, თვითმმართველობას, საერთო სასამართლოებს. ისეთი ტიპის საკითხებს, რომლებიც მხოლოდ უმრავლესობამ, სხვა პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციების გარეშე, არ უნდა გადაწყვიტოს. წარმოვიდგინოთ პარლამენტი, სადაც მმართველ პარტიას არ ეყოლება საკონსტიტუციო უმრავლესობა. ასეთ შემთხვევაში, ორგანული კანონის მისაღებად მათ სხვა პოლიტიკურ ძალებთან კონსულტაციები დასჭირდებოდათ, რათა კონსენსუსით

დაკარგვის ტოლფასია. სხვა სასამართლოში გადასაცვანად არ არის აუცილებელი მოსამართლის თანხმობა. თუ თქვენ დანიშნეთ თბილისში და სისხლის სამართლის კოლეგიაში მუშაობთ, შეიძლება მიგამაგრონ თეთრი წყაროს სასამართლოს. კარგი იქნებოდა ჩაგვედო დებულება, რითაც მოსამართლის სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მუდმივად ან დროებით მოსამართლის თანხმობის გარეშე დაუშვებელია. ვენეციის კომისიამაც დაუჭირა მხარი ამ დებულებას. ბევრ ქვეყანაში ხდებოდა თურმე ასე, მაგრამ სამწუხაროდ, საკონსტიტუციო კომისიამ არ გაიზიარა. კიდევ ერთი

მიერ დანიშნენ. იმ პროექტში, რომელიც მიღებულია, პრაქტიკულად ჩაიდო ყველაფერი, რისი დათმობა და რაზე წამოსვლაც ხელისუფლებას შეეძლო, ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ ამ მოდელში რაიმე შეიცვალოს. პარლამენტმა განხილვების შემდეგ პროექტი ხმათა 2/3-ით უნდა დაამტკიცოს. ხელისუფლებას საჭირო უმრავლესობა ამ პარლამენტში ჰყავს. შედეგად, გვეყოლება ძლიერი მთავრობა, რომლის პასუხისმგებლობის მექანიზმები ძალიან ცოტაა კონსტიტუციაში. □

ესაუბრა მაია ნიკლაური




თვალსაზრისი

# ხატომ უნდა ვიხადოთ ბედსახადები

მთავარი კითხვა ის კი არ არის, რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადები, არამედ ის, თუ რაში იხარჯება ჩვენი ფული?

გიორგი ცხადაია



სათაურში ერთი შეხედვით უცნაურ კითხვას ვსვამ, რადგან თითქოს სალი აზრია, რომ მოქალაქეები საზოგადოებრივი სიკეთეების შენახვისა და შექმნის მიზნით იხდიან გადასახადებს. სინამდვილეში, საქართველოში პოპულარული ლიბერტარიანული თეორიის მიმდევრებისთვის ეს სულაც არ არის საყოველთაოდ აღიარებული ქვეშარიტება. ეს თეორია ამბობს, რომ სახელმწიფო თავისუფალი ბაზრის მოქმედებაში არ უნდა ჩაერიოს, ბაზარი ყველაფერს თავისით დაარეგულირებს და გადასახადები ან ძალიან მცირე უნდა იყოს, ან საერთოდ არ უნდა არსებობდეს. ქართული ლიბერტარიანიზმის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად ყოფილი ეკო-

ნომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე ითვლება (და ალბათ თავისუფლების ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე ლევან რამიშვილიც). ბენდუქიძის ერთ-ერთი თანამოაზრე იმასაც კი მიმტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების აკრეფა ყაჩაღობაა! საინტერესოა, საიდან იღებს სათავეს ასეთი შეხედულება და რა ლეგიტიმური საფუძვლები არსებობს. საბჭოთა დროს გადასახადების გადამხდელს (რომელსაც, ფორმალურად, გადასახადს ხელფასიდან უკავებდნენ) პოლიტიკური სისტემის ცენტრალიზაციის და ავტორიტარული მმართველობის გამო არ ჰქონდა იმის შეგრძნება, რომ გადასახადი, რომელსაც იხდიდა, მიზნობრივად

იხარჯებოდა – ანუ იხარჯებოდა საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. მიზეზი ის იყო, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქის წინაშე ანგარიშვალდებულება არ არსებობდა. სახელმწიფო უზრუნველყოფდა ადამიანების სოციალურ უსაფრთხოებას, მაგრამ ეს ხდებოდა არა თავად მოქალაქის ინტერესების აღიარების გათვალისწინებით, არამედ სახელმწიფოს ავტორიტარული ინტერესისთვის. შედეგად, მოქალაქეს გააზრებული არ ჰქონდა, თუ რაში სჭირდებოდა საკუთარი ჯიბიდან შემოსავლის გარკვეული ნაწილის დათმობა.

ზემოთ აღნიშნული ტენდენცია ინერციით გავრცელდა პოსტსაბჭოთა ეპოქაშიც, როდესაც ე.წ. „ველური კაპიტალიზმის“ ნიშნები გაჩნდა რუსეთსა და ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. ამ დროს მოქალაქეებმა სპონტანურად შეიძინეს ქონება, კანონის მმართველობის არარსებობისა და საყოველთაო კორუფციის პირობებში. ამიტომ, მათ ისევ შეუწინაურებდათ იმის შეგრძნება, რომ სახელმწიფოსთვის ფულის გადახდა უკანონო იყო. სახელმწიფო მათ, იმის ნაცვლად, რომ ხელსაყრელი გარემო უზრუნველყო, ძარცვავდა, არეკვებდა და ატერორებდა. საზოგადოება კი იყო დაქუცმაცებული, ომგამოვლილი, საყოველთაო შიშისა და უმოქმედობის მდგომარეობაში. კახა ბენდუქიძემ და დღევანდელი ლიბერტარიანელების ნაწილმა ეკონომიკური გავლენა სწორედ ასეთ გარემოში მოიპოვეს. ამასთანავე ყოვლისშემძლე თავისუფალი ბაზრის იდეოლოგია მათ სთავაზობდა ისეთსავე ყოვლისმომცველ ფორმულას, როგორც იყო მარქსისტ-ლენინისტური კომუნისმი (პროლეტარების მტრების

განადგურება და საბაზრო ეკონომიკის მოსპობა). როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი, ბაზრის აბსოლუტური თავისუფლების მომხრე ლიბერტარიანიზმიც იყო ყოვლის-მომცველი იდეოლოგია, რომელიც ხსნიდა ყველაფერს – ყველა პრობლემას, რაც საზოგადოებას აწუხებდა.

90-იან წლებში ჩასახული ლიბერტარიანიზმის გამოცხადებული დღემდე ყურადღებას იმსახურებს, რადგან საზოგადოება დიდწილად დღემდე გულგრილია სერიოზული პოლიტიკური და პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების მიმართ. პოლიტიკოსების პერსონალური ისტორიების გარჩევას უფრო მეტი დრო ეთმობა, ვიდრე სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობას. ეს, შესაძლოა, გახდეს იმის მიზეზი, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეცდომამი შევიდეს. ლიბერტარიანელები ამტკიცებენ, რომ არ გვჭირდება უფასო განათლება, უფასო ჯანდაცვა, გადასახადები უნდა იყოს მაქსიმალურად დაბალი ყველა სოციალური ფენისთვის (ლარიბებისთვის, საშუალო ფენისთვის და მდიდრებისთვისაც), სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდეს ისეთ სფეროებს, როგორცაა კულტურა და სპორტი. ამავე დროს ლიბერტარიანელების უმრავლესობა (თუმცა არა ყველა) აღიარებს, რომ საზოგადოების ინტერესებში შედის ისეთი სფეროების დაფინანსება, როგორცაა ძალოვანი

უზრუნველყოფა ყველა მოქალაქის ინტერესში შედის, რადგან ისინი თანხმდებიან, იცხოვრონ გარკვეულ ტერიტორიაზე და გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები. ასეთი ინტერესებია განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხოება... ამათ გარეშე შეუძლებელია ისეთი ჯანსაღი საზოგადოების შენება, სადაც დაცული იქნება კანონის უზენაესობა, იქნება ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, მყარი პოლიტიკური სისტემა და სამართლიანი სასამართლო.

სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი სიკეთის (public good) უზრუნველყოფა იმას აღნიშნავს, რომ ეს სიკეთეები მოქმედებს არა ცალკეული პიროვნებების, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე. აქ შედის როგორც საერთო მოხმარების საქონელი ან სერვისი (მაგალითად, განათლება, ჯანდაცვა, პოლიცია), ასევე, კერძო მოხმარების (პენსიები და სოციალური დახმარებები). ორივე შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმისი გააზრება, რომ ჩვენ ვიცოდეთ, თუ როგორ იხარჯება ჩვენ მიერ ბიუჯეტში გადახდილი ფული. იმის მაგივრად, რომ, ვთქვათ, ბიუჯეტში ფულს არ უნდა ვიხდიდეთ და საზოგადოებრივი სიკეთეები არ გვჭირდება, უნდა დავსვათ სახელმწიფო ინსტიტუტების ლეგიტიმურობის საკითხი: რამდენად ითვალისწინებენ ისინი ჩვენს ინტერესებს, რამდენად არიან ისინი ანგარიშვალდებულნი ჩვენ მიმართ და რამდე-

ისევე იხიან გადასახადებს ჩვენი საერთო სიკეთეებისთვის, როგორც ჩვენ ვიხდით. ამიტომ, იმისი თქმა, რომ აქ ჩვენ ვიჩაგრებით, გაუმართლებელია. ერთადერთი იმისი თქმა შეიძლება, რომ სახელმწიფო შეიძლება ანაწილებდეს ჩვენს თანხებს არასამართლიანად: ერთ რეგიონს უფრო მეტს აწვდიდეს, ვიდრე – მეორეს. ამ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების არსებობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ისინი გადანყვეტენ, თუ რაში დაიხარჯოს მოცემულ რაიონში ან ქალაქში აკრეფილი გადასახადები. ამავე დროს გადასახადების ნაწილის ცენტრალურ ბიუჯეტში შესვლა უზრუნველყოფს იმას, რომ უთანასწორობა ღარიბ და მდიდარ რეგიონებს შორის მეტ-ნაკლებად დარეგულირდეს. საქართველოში ეს მექანიზმები, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი, სამწუხაროდ, სათანადოდ ვერ მუშაობს.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ინსტიტუტების ადეკვატური მუშაობის მიმართ გაჩენილი კითხვების გვერდზე გადადება და იმის მტკიცება, რომ ბაზარი სახელმწიფოს გარეშე ყველაფერს თავისით დაარეგულირებს, არა მხოლოდ საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური სურათის დამახინჯებელი წარმოდგენაა, არამედ პრობლემისადმი თავის არიდება. იმის ნაცვლად, რომ დავსვათ კითხვა, თუ რამდენად დემოკრატიულია ჩვენი პოლიტიკური სისტემა და რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება ჩვენი გადასახადები, ლიბერტარიანელები მარტივად ამბობენ, რომ გადასახადების გადახდა საერთოდ არ გვჭირდება. ეს კი გვაბრუნებს იქ, საიდანაც დავიწყეთ – 90-იანი წლების დაქუცმაცებულ საზოგადოებაში, სადაც მოქალაქეებს შორის სოლიდარობა ძალიან დაბალ დონეზე არსებობდა.

კითხვა „რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადები?“ – ბევრ დისკუსიას არ საჭიროებს. ეს ის არის, რაზეც განვითარებული საზოგადოებები თანხმდებიან. ჩვენი მთავარი კითხვა უნდა იყოს: „როგორ იხარჯება ის თანხები, რომელსაც ბიუჯეტში ვიხდით?“ ამ მხრივ კი, შესაძლოა, ქვეყანაში სერიოზული პრობლემები არსებობდეს. ■

## ■ იმის მტკიცება, რომ ბაზარი სახელმწიფოს გარეშე ყველაფერს თავისით დაარეგულირებს, არა მხოლოდ საზოგადოების

ეკონომიკური და პოლიტიკური სურათის დამახინჯებელი წარმოდგენაა, არამედ პრობლემისადმი თავის არიდება.

სტრუქტურები (ნესრიგის დაცვისთვის) და ჯარი (საგარეო საფრთხეებისგან თავის დასაცავად). მთავარი არგუმენტი ის არის, რომ ადამიანებმა თავად უნდა გადანიჭონ, თუ რაში უნდა დახარჯონ საკუთარი ჯიბიდან ფული: მე თუ მინდა, ჩემს ფულს სახელმწიფოს მივცემ გზების მშენებლობისთვის, თუ მინდა – წავალ და ნამცხვარს ვიყიდი. ასეთი ხედვა სრულიად აკნინებს იმის მნიშვნელობას, რომ არსებობს საერთო სიკეთეები, რომელთა

ნად სწორად ხარჯავენ ჩვენს ფულს. მეორე მთავარი არგუმენტი, რომელიც ლიბერტარიანელებს აქვთ, ის არის, რომ მოქალაქის მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხა შეიძლება მოხმარდეს არა მის სამეზობლოში, ქალაქში ან რეგიონში განხორციელებულ პროექტებს (რაც პირდაპირ იმოქმედებს მასზე), არამედ სადაც ქვეყნის შორეულ ნაწილში განხორციელებულ პროექტებს. ჯერ ერთი, ქვეყნის შორეულ ნაწილში

# პრეზიდენტის "სიმბოლოები" საჩუქები

„პრეზიდენტს არა აქვს უფლება, ჩვენი, საზოგადოების კუთვნილი ქონება გააჩუქოს, მაგრამ ის ამას აკეთებს!“ ჩვენს ხელთ არსებული არასრული მონაცემებით, პრეზიდენტმა ბოლო 3 წლის განმავლობაში 70-მდე ერთეული სახელმწიფო ქონება გაასხვისა, რომლის ღირებულებაც ჯამში რამდენიმე ათეულ მილიონ ლარს აჭარბებს. სააკაშვილი სახელმწიფო საკუთრებას პირადი შეხედულებით და, ხშირ შემთხვევაში, სიმბოლურ ფასად არიგებს.

გივი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“



„1- დოლარიანი ძვინი - ტელეკომპანია „ალანის“

პრეზიდენტმა სააკაშვილმა 2009 წლის 9 ნოემბრის განკარგულებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ტელეკომპანია „ალანის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და კომერციული ფართი გადასცა. მთანმინდაზე, ძმები ზუბალაშვილების ქუჩის 23 ნომერში მდებარე 234 კვ.მ. მიწა და 442 კვ.მ. კომერციული ფართი პრეზიდენტმა „ალანის“

სიმბოლურ ფასად - 1 ამერიკულ დოლარად მიჰყიდა. საკუთრებაში გადაცემამდე ამ შენობაში წლების განმავლობაში ტელეკომპანია „ალანის“ ფუნქციონირებდა, რომელიც დღეს „რეგიონ-ტვ“-ს სახელით მუშაობს. 2008 წლის აპრილიდან „ალანის“ ეს ფართი - 7 წლის ვადით, თბილისის მერიისგან ჰქონდა ნაქირაფები და წელიწადში 29 ათას აშშ დოლარს იხდიდა. ქირავნობის ხელშეკრულებაში „ალანისისთვის“ 1 დოლარად მიყიდული

შენობა, სახელმწიფოს 742 ათას ლარად ჰქონდა შეფასებული.

როგორ მიიღეს ქონება 1 დოლარად, ამ კითხვაზე „ალანის“ დირექტორი - მამუკა თათოშვილი არ პასუხობს. იგი „რუსთავი 2“-ის ყოფილი ოპერატორი და ვანო მერაბიშვილის თანასოფელია.

უძრავი ქონების ექსპერტები ამბობენ, რომ მთანმინდაზე მდებარე 1 კვ.მ. კომერციული ფართის საბაზრო ფასი 500-დან 1000 აშშ დოლარამდე მერყეობს. თუ

სახელმწიფო „ალანისათვის“ გადაცემულ შენობას აუქციონზე გაყიდდა, ბიუჯეტში სოლიდური თანხა შევიდოდა.

რატომ გამოარჩია პრეზიდენტმა ტელეკომპანია „ალანია“, ამ კითხვით ჩვენ პრეზიდენტს წერილობით, რამდენიმე კვირის წინ მივმართეთ, თუმცა პასუხი არ მიგვიღია.

## პრინციპირება – „რუსთავი 2“

„ალანის“ გარდა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა კიდევ ერთი ტელეკომპანია – „რუსთავი 2“ გამოარჩია. მან საბურთალოზე, სანდრო ეულის ქუჩის 5ა-ში მდებარე 26 ათასი კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 19 ერთეული შენობა-ნაგებობა პირდაპირი განკარგვის წესით „რუსთავი 2“-ს 2008 წელს გადასცა. ეს ის ტერიტორიაა, სადაც შოუ „ვარსკვლავების აკადემია“ მიმდინარეობდა და შენობის ჩამონგრევას 2 ადამიანი ემსხვერპლა.

ტელეკომპანიამ უძრავ ქონებაში სულ 1 050 000 ლარი გადაიხადა.

ნიშანდობლივია, რომ კანონით დადგენილია მიწის ნორმატიული ანუ მინიმალური ფასი, რომელზე ნაკლებ ფასად მერია თბილისის ტერიტორიაზე მიწას ვერ გაყიდის. ეს ფასები თბილისის მერიის ვებ-გვერდზე რაიონების მიხედვითაა განსაზღვრული. საბურთალოზე, სახელმწიფო მიწის კანონით დადგენილი 1 კვ.მ.-ის მინიმალური გასაყიდი ფასი – 68 ლარია. ამ ფასზე ნაკლებად მერიას საბურთალოს ტერიტორიაზე მიწის გაყიდვა კანონით ეკრძალება. ჩვენ შენობების გამოკლებით მხოლოდ მიწის ფასი გამოვიანგარიშეთ და გამოვიდა, რომ „რუსთავი 2“-ს პრეზიდენტმა 1 კვ.მ. 40 ლარად მიჰყიდა, რაც კანონით დადგენილზე თითქმის ორჯერ ნაკლებია და საბაზრო ფასსაც რამდენჯერმე ჩამორჩება.

სახელმწიფოსა და „რუსთავი 2“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ტელეკომპანიას ფართის ღირებულება 1 წლის მანძილზე უნდა გადაეხადა და 2 წლის განმავლობაში 5 მლნ ლარის ინვესტიციის ჩადება დაევალა, თუმცა პრეზიდენტმა 2010 წლის 4 თებერვლის N78 განკარგულებით, „რუსთავი 2“-ს შეღავათი გაუწია და 1 მლნ-ის მოცულობის ინვესტიციის ვალდებულება

ჩამოაკლო. რით დაიმსახურა კიდევ ერთი შეღავათი ტელეკომპანიამ, პრეზიდენტს განკარგულებაში არ დაუსაბუთებია.

## დავით ფორჩხიძის ნიჭის საფასური

პრეზიდენტის რჩეულთა შორის მუსიკოსი დავით ფორჩხიძეც მოხვდა. ფორჩხიძე ჯგუფ „სახეს“ სოლისტი იყო, წერს მუსიკას და სხვადასხვა კომპოზიციების არანჟირებას აკეთებს. პეკინზე მდებარე 137 კვ.მ. კომერციული ფართი პრეზიდენტმა მას 2010 წლის 17 მარტს ხმის ჩამწერი სტუდიის მოსაწყობად გადასცა. ფორჩხიძემ სახელმწიფოს სიმბოლური ფასი – 14 ათასი აშშ დოლარი გადაუხადა. როგორც ექსპერტები ამბობენ, ამ ფართის საბაზრო ფასი დაახლოებით 100 ათასი ამერიკული დოლარია.

„პეკინის მეორე კვარტალში, კორპუსის პირველ სართულზე მდებარე არასაცხოვრებელი, კომერციული ფართის 1 კვ.მ.-ის ფასი, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება მერყეობდეს 600- დან 750-800 დოლარამდე“, – აცხადებს უძრავი ქონების სააგენტო „კიბეს“ ხელმძღვანელი ნელი გოგუაძე. პრეზიდენტმა ფორჩხიძეს 1 კვ.მ. 102 დოლარად მიჰყიდა, რაც ექსპერტის მიერ დასახელებულ ციფრზე 6-7-ჯერ ნაკლებია, პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებით სახელმწიფო ბიუჯეტმა სოლიდური თანხა დაკარგა.

რა დამსახურებებისთვის გამოარჩია ის პრეზიდენტმა, ამ კითხვით დავით ფორჩხიძეს მივმართეთ. „მე ვფიქრობ, გამორჩეული და კარგი, ნიჭიერი კაცი ვარ და ამიტომ გამომარჩიეს“, – პასუხობს ფორჩხიძე.

ფორჩხიძის მუსიკალური ნიჭი ხშირად მმართველ პარტიასაც გამოსდგომია, იგი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი საარჩევნო კლიპების მომზადებაში მონაწილეობდა, აგრეთვე მისი მეგობრის, გარემოს დაცვის მინისტრის გოგა ხაჩიძის მიერ შექმნილი პატრულის ჰიმნის ერთ-ერთი შემსრულებელია. „რა ინტერესი ჰქონდა სახელმწიფოს, რომ იმ კონკრეტულ მისამართზე კონკრეტულად დავით ფორჩხიძეს მოეწყო ხმის ჩამწერი სტუდია? იქნებ სხვას უკეთესი პირობების და ფასის შეთავაზება შეეძლო სახელმწი-

ფოსთვის?“ – კითხულობს იურისტი თამარ ხიდაშელი.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კი მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია.

## „ინფინარამ ინბა ბრიგოლია“

პრეზიდენტის მიერ პრივილეგირებულთა სიაში მოქალაქე – რომან გრიგოლიაც გვხვდება. პეკინის გამზირზე, 41 ნომერში მდებარე 67 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა პრეზიდენტმა სააკაშვილმა რომან გრიგოლიას 13 100 ლარად გადასცა. მისთვის პრეზიდენტს არანაირი დამატებითი პირობების შესრულება არ დაუქსრებია.

რომან გრიგოლია წარსულში ცნობილი ტელეჟურნალისტის და ან უკვე საკრებულოს ოპოზიციონერი წევრის, ინგა გრიგოლიას მამაა.

პრეზიდენტის მიერ პრივილეგირებულთა ჩამონათვალში რომან გრიგოლია პირადი განცხადების საფუძველზე მოხვდა. მან სახელმწიფოს, მიწის პირდაპირი წესით გადაცემის მოთხოვნით, 2009 წლის 18 თებერვალს მიმართა, იმ დროს ინგა გრიგოლია საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

„მამაჩემისთვის ეს ახალი შენაძენი არ არის. აქ მას ვულკანიზაცია წლების განმავლობაში ჰქონდა. ძალიან დიდი ხნის მანძილზე ეს იყო მისი ოჯახის შემოსავალი, ეს არის ძალიან მცირე, ძალიან პატარა სანარმო. თქვენ გგონიათ, რომ სააკაშვილს ძალიან ვუყვარვარ და მაგიტომ გადასცა მამაჩემს ეს ფართი?“ – ამბობს ინგა გრიგოლია.

67 კვ.მ. ფართი გრიგოლიამ ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან რამდენიმე წლის წინ იქირავა და რომან გრიგოლია, ბოლო 15 წელია, ამ ტერიტორიაზე ავტოსახელოსნოს ამუშავებს. ინგა გრიგოლია ამბობს, რომ მას ამ ავტოსახელოსნოსთან კავშირი არ ჰქონია. თუმცა, ეს ასე არ არის. რამდენიმე წლის წინ კონტროლის პალატამ ტექნიკური უნივერსიტეტი შეამოწმა. დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის კუთვნილი 150-მდე ფართი უკანონოდ იყო გაქირავებული. კონტროლის პალატის მასალების თანახმად, ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო სა-

ოიხბანოხასია / ზეხილი ჰიხი	აქხანი ჟონება	ჟონების მიხსლოაითი საბაზეილი ოიხბანება	სახელმწიფოსთვის ბაღხეილი თანხა
ტელეკომპანია „ალანია“	ძმები ზუბალაშვილების ქ. 23 - 234 კვ.მ. მიწა და 442 კვ.მ. კომერციული ფართი	742.000 ლარი	1 აშშ დოლარი
ტელეკომპანია „რუსთავი 2“	სანდრო ეულის ქ. 5ა - 26 ათასი კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 19 ერთეული შენობა	1.768.000 ლარი (მხოლოდ მიწის ღირებულება)	1.050.000 ლარი
დავით ფორჩხიძე	პეკინზე მდებარე 137 კვ.მ. კომერციული ფართი	100.000 აშშ დოლარი	14.000 აშშ დოლარი
ინდემნარმე ინგა გრიგოლია	პეკინის გამზ. 41 - 67 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა	65.000 ლარი	13.100 ლარი

ცხოვრების მიმდებარედ 67 კვ.მ. ფართი ავტოსახელოსნოსთვის ინდემნარმე „ინგა გრიგოლიას“ ჰქონდა დაქირავებული. გრიგოლია თვეში სიმბოლურ თანხას – 1 კვ.მ.-ში 80 ცენტს იხდიდა, იმ პერიოდში საბურთალოს 1 კვ.მ. ქირის ფასი 5-დან 15 დოლარამდე მერყეობდა. ჩვენ ეს ფაქტი ინგა გრიგოლიას შევახსენეთ.

„იმ წლებში შეიძლება იყო ჩემს სახელზე გაფორმებული, მაგრამ რაც მე ჩემი საავტორო გადაცემა მქონდა, არანაირ პროფილაქტიკასთან შეხება არ მქონია და არც მაქვს გეგმაში“, – გვითხრა ქალბატონმა ინგამ.

რომან გრიგოლიას პეკინის 41 ნომერში მდებარე ფართი 1 კვ.მ. – 192 ლარად გადაეცა. ჯამში ამ ობიექტში მან 13 100 ლარი გადაიხადა. ექსპერტების თქმით, ამ ტერიტორიის საბაზრო ფასი გაცილებით მეტია.

იაფად დაქირავებული ფართი დღეს უკვე რომან გრიგოლიას საკუთრებაა. ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში კომერციული ფართი გრიგოლიამ საკმაოდ იაფად შეიძინა. როგორც ექსპერტები ამბობენ, თუ სახელმწიფო ამ ფართს აუქციონის წესით საბაზრო ფასში გაყიდდა, ბიუჯეტში დაახლოებით 5-ჯერ მეტი თანხა შევიდოდა.

## დასაჩუქრებული მოსამართლეები

პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პირდაპირი განკარგვის წესით, სახელმწიფოს კუთვნილი საცხოვრებელი სახლები საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებსაც აჩუქა. მოსამართლეებს ბათუმში, პრესტიჟულ უბნებში მდებარე სახლები სიმბოლურ ფასად, თითოეულს 1000 ლარად გადაეცათ. პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამარ-

თლოს მოსამართლეებს სულ 10 საცხოვრებელი ბინა გადასცა. მოსამართლეების მიერ ქონებრივ დეკლარაციაში შეტანილი ინფორმაციით, სიმბოლურ ფასად – 1000 ლარად გადაცემული თითოეული ბინის ღირებულება 20 ათასიდან 250 ათას ლარამდე მერყეობს.

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი შაპუაშვილს, პრეზიდენტის განკარგულებით, 1000 ლარად გადაცემული სახლი დეკლარაციაში 250 ათას ლარად აქვს შეფასებული, მის მოადგილეს კონსტანტინე ვარძელაშვილს – 120 ათას ლარად, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრ ოთარ სიჭინავას – 100 ათას ლარად, ქეთევან ერემაძეს – 60 ათას ლარად, და ა.შ. ჯამში, პრეზიდენტმა მოსამართლეებს მინიმუმ 700 ათას ლარად ღირებული ბინები 10 ათას ლარად მისცა.

სიმბოლურ ფასად გადაცემული სახლები მოსამართლეს საკონსტიტუციო სასამართლოში მუშაობის დაწყებიდან 2 წლის შემდეგ შეუზღუდავად შეუძლია განკარგოს, გაყიდოს ან სხვაგვარად მოიხმაროს. იურისტების ყურადღებას ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა იქცევს.

„სიმბოლური ფასი – როგორც ასეთი, არც ერთ საკანონმდებლო აქტში არ გვხვდება. ჩვენ ძალიან დიდი კვლევა ჩავატარეთ და ვამბობდით, რომ ეს არის თვალთმაქცური გარიგება, პრეზიდენტს არა აქვს უფლება, სახელმწიფოს, ჩვენი საზოგადოების კუთვნილება გააჩუქოს“, – აცხადებს თამარ ხიდაშელი.

მოსამართლეებისთვის სახლების სიმბოლურ ფასად გადაცემას მკვეთრ შეფასებას აძლევს იურისტი ლია მუხაშვილი.

„ეს არის ღია და აშკარა ფაქტი კორუ-

ფციისა და ღია და აშკარა ფაქტი იმისა, რომ ხელისუფლების ორი შტო – საკონსტიტუციო სასამართლო და პრეზიდენტი გადაჯაჭვულია სრულიად საეჭვო და დაუჯერებელი გარიგებით. ეს არის მოსამართლის მოსყიდვა, რომ მან არ განახორციელოს მართლმსაჯულება“.

იურისტებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული სახლები საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უნდა გადაეცათ და არა კონკრეტული მოსამართლეებისთვის. „უფრო ადეკვატური იქნებოდა, რომ ეს ბინები ყოფილიყო სამსახურებრივი მოხმარების და მოსამართლეებს მთელი მოღვაწეობის განმავლობაში ესარგებლათ ამ ბინებით. ჩვენ არ გვაქვს ასეთი ფუფუნების საშუალება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველ ახალ წევრს საცხოვრებელი სახლები შეუძინოთ“, – აცხადებს ლია მუხაშვილი.

პრეზიდენტის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლოს ყოველი ახალი წევრის დანიშვნა ბიუჯეტს სოლიდური თანხა უჯდება. მიმდინარე წლის 22 მარტს საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლე ბესიკ ლოლაძემ დატოვა, რომელსაც დაახლოებით ორწლიანდ-ნახევრის წინათ 1000 ლარად გადაეცა სახლი, რომელიც ლოლაძემ დეკლარაციაში 72 500 ლარად შეაფასა. სასამართლოს წევრობის დატოვების შემდეგ სახლი ლოლაძის საკუთრებაში დარჩა, მის შემცვლელს კი პრეზიდენტმა საცხოვრებელი სახლი უკვე გადასცა.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობაა. მათი ყოველთვიური ანაზღაურება 4000-დან 6000 ლარამდე მერყეობს.

## „რეალ ტვ“-ის ოფისის საილუმო

ტელეკომპანია „რეალ ტვ“ ეთერში 2009 წელს გამოჩნდა და მისი ოფისი გორგასლის ქუჩაზე მდებარეობს. 3-სართულიანი სახლი, სადაც „რეალ ტვ“-ის ოფისია განთავსებული, საჯარო რეესტრის მონაცემებით, იაშა ბოჭორიშვილს ეკუთვნის.

იაშა ბოჭორიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის, დავით კეკუას სიმამრია, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენ-ინსპექციის უფროსის მოადგილე დავით კეკუა 2007 წელს დააპატიმრეს და „ვი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის, ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმეში მტკიცებულებების ფალსიფიცირებაში დასდეს ბრალი. დავით კეკუამ 2007 წლის 25 ოქტომბერს მე-7 საპრობილის საკანში თავი ჩამოიხრჩო.

კეკუას გარდაცვალებიდან 2 წლის შემდეგ მისი ოჯახის კუთვნილი ასეულ ათასად ღირებული ქონებით „რეალ ტვ“ სარგებლობს.

3-სართულიანი შენობა ჯამში 650 კვ.მ-ია, რომელიც 10 საძინებლის, სავარჯიშო დარბაზის, აუზის და ავტოფარეხისგან შედგება. 2003 წელს ეს სახლი საჯარო რეესტრში კეკუას სიმამრის – იაშა ბოჭორიშვილის სახელზე დარეგისტრირდა.

2004 წლის დეკემბრიდან იაშა ბოჭორიშვილმა სახლი თვეში 2000 დოლარად გააქირავა, ქირავნობის ხელშეკრულება, საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით, 2008 წელს გაუქმდა.

2009 წლიდან ამ შენობაში ტელეკომპანია „რეალ ტვ“ ინყებს ფუნქციონირებას. თუ როგორ აღმოჩნდა საკმაოდ ძვირადღირებული უძრავი ქონება – „რეალ ტვ“-ის ხელში, ამ კითხვით სახლის მესაკუთრეებს, ბოჭორიშვილებს მივმართეთ:

## ირმა ბოჭორიშვილი,

### დავით კეკუას მეუღლე

– ვნახეთ, რომ „რეალ ტვ“-ის ოფისი მამათქვენს ეკუთვნის და თქვენ გადაეცით სახლი „რეალ ტვ“-ის?

– მომისმინეთ, მაგ ჟურნალისტებს საერთოდ ვერ ვიტან, ჩემი ამბების მერე, და საერთოდ შემანუხეთ ძალიან.

– უბრალოდ მიპასუხეთ, სახლი მიაქი-

რავეთ ან მიჰყიდეთ?

– არაფერი არ გამიკეთებია.

– არ მიგიქირავენებით?

– არ ვიძღვევი ინფორმაციას, თავი დამანებეთ.

## ნანა ბოჭორიშვილი,


### დავით კეკუას ცოლის და

– „რეალ ტვ“-ის უწერია მისამართად მამათქვენის სახლი და მინტერესებს მამათქვენმა აჩუქა, მიჰყიდა თუ რა გააკეთა?

– დავგანებთ თავი, არაფერი არ გვიჩუქებია არავისთვის.

თუ როგორ აღმოჩნდა გორგასალზე მდებარე სახლი „რეალ ტვ“-ის სარგებლობაში, ამ კითხვით ტელეკომპანიასაც მივმართეთ. გვითხრეს, რომ წერილობით მიგვემართა, ჩვენ წერილიც გავუგზავნეთ, თუმცა რამდენიმე კვირა გავიდა და პასუხი არ მიგვიღია.

P.S. პრეზიდენტი სააკაშვილი, პირდაპირი განკარგვის წესით, ყოველწლიურად ათობით ობიექტს გასცემს, უმრავლეს შემთხვევაში – სიმბოლურ ფასად. ამ ობიექტების საბაზრო ფასი, ჯამში, რამდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს. ჩვენ პრეზიდენტს წერილი გავუგზავნეთ და ვკითხეთ, რა დამსახურებებისთვის გადასცა უძრავი ქონება ზემოთ მოყვანილ პირებს. წერილზე არ გვიპასუხეს, პასუხი არც პრეზიდენტის პრესსპიკერს, მანანა მანჯგალაძეს აქვს.

პრეზიდენტი ქონებას ყოველგვარი დასაბუთების გარეშე არიგებს, რაც სამართლიანი თამამის წესებს არღვევს, თუმცა, არსებული კანონმდებლობით, საზოგადოებას სააკაშვილის გადაწყვეტილებების სამართლებრივი გაუქმება არ შეუძლია, რადგან კანონი პრეზიდენტის სუბიექტურ გადაწყვეტილებებზეა მორგებული. 



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი ხორციელდება "ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს" მხარდაჭერით

## "ნახუთხი" ჯიჯები და სხვა

„ლიბერალმა“ დამატებით გამოარკვია, რომ 2008 წელს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს და ცალკეულ ეპარქიებს ავტომანქანების შესაძენად 529 350 ათასი გამოუყვეს. აქედან 302 ათასი ლარი – აგვისტოს ომის შემდეგ; პრეზიდენტის 2008 წლის 25 დეკემბრის განკარგულებით, საქართველოს საპატრიარქოსთვის 6 ცალი „ტოიოტა ლენდკრუიზერი პრადოს“ საყიდლად სარეზერვო ფონდიდან 302 400 ლარი გამოიყო. მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 21 იანვარს ასევე ავტომანქანის საყიდლად საპატრიარქოს 96 900 ლარი გამოუყო. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ 2008 წლის სამი იანვრის განკარგულებით, ქუთაის-გაენათის, ტყიბულისა და თერჯოლის, ასევე ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებისათვის ავტომანქანების შესაძენად 130 050 ლარი გამოყო.

აგვისტოს ომის შემდეგ, პრეზიდენტმა 16 სექტემბრის განკარგულებებით შუახევის რაიონში ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ტაძრის ასაშენებლად 200 ათასი ლარი, ხოლო ბოდბის დედათა მონასტრის კეთილმოწყობისთვის – 62 ათასი ლარი გამოყო. 31 ოქტომბრის განკარგულებით კი სალხინოს დადიანისული სასახლის რესტავრაციისა და კარის ეკლესიის აღსადგენად 200 ათასი ლარი მარტვილის მუნიციპალიტეტს გადაუღირა.

2008 წლის მანძილზე კი, გარდა აქ აღნიშნულისა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო: ნახევარი მილიონი ლარი – კათალიკოს-პატრიარქის დაბადების 75, მღვდელმთავრობის – 45 და აღსაყდრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებებისთვის; მილიონი ლარი – სარეზერვო ეკლესიის ასაშენებლად, 700 ათასი ლარი – ცაგერში საკათედრო ტაძრის ასაშენებლად, ას-ასიათასი – რეზიდენციებისთვის – კუმურდო-ახალქალაქისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებისთვის, ორას-ორასიათასი შუახევისა და დარიალის ხეობაში საეკლესიო კომპლექსებისთვის. აქედან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ მილიონ 936 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი – მიხეილ სააკაშვილმა აჩუქეს. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით, 2008 წელს ჯამში პრეზიდენტის ფონდიდან – 3 მილიონ 827 ათას ლარზე მეტი თანხა გამოყვეს.



ფოტო: ლევან სარსაღლიძე

# სამხედრო ხაზიანი საქართველოს წინააღმდეგ

საქართველოს სამხედრო საჰაერო ძალების კაპიტანი, თამაზ ბლიაძე 2006 წლის 5 ნოემბერს საპატიო სიგელით დააჯილდოვეს, ორი დღის შემდეგ კი თაღლითობის, თანხის მიტაცების და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს. ის ბრალს დღემდე არ აღიარებს და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება.

## გიორგი ქვიციანი

2006 წლის ოქტომბერში კაპიტანი ბლიაძე გენერალური შტაბის უფროსის ბრძანებით მუხროვანში მიავლინეს, სადაც 182 ახალწვეულს ოცდახუთდღიანი ე.წ. სამხედრო კარანტინი უნდა გაეგლო.

ბლიაძემ ჯარისკაცები მუხროვანის სამხედრო ბაზაზე გადაიყვანა. მუხროვანში სამხედროებს სამო-

ქალაქო ტანსაცმელი და პირადი ნივთები ჩამოართვეს, აღრიცხეს და საკუჭნაოში შეინახეს. ამ პროცესს მუხროვანის სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი, ზორბეგ წიგნივაძე და ასეულის მეთაური, სულხან კვანტრიშვილი ესწრებოდნენ. თავად ბლიაძე ამ პროცესს არ დასწრებია. ამას ადასტურებენ სამხედროებიც.

2006 წლის 31 ოქტომბერს ჯარისკაცების ხელფასი – თითოეულზე 3 ლარი და 41 თეთრი გამოიწერა. თანხა საჰაერო ძალების შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ ელგუჯა დემეტრაშვილის ბრძანებით, მოლარე ანჟელა ყიფიანმა მუხროვანში მიიტანა.

თამაზ ბლიაძე: „საქმის კურსში მუხროვანის შტაბის უფროსი და ას-

მეთაური ჩავაყენე, მათ ბრძანება გასცეს, რომ ამ ხელფასებით, სამხედროებისათვის სამართებლები, ფეხსაცმლის საცხები და ჯაგრისები შეიძინათ“.

ასეულის მეთაურმა კვანტრიშვილმა მოლარეს უთხრა, რომ ჯარისკაცები ხელს მოაწოდებდნენ ხელფასის აღების ოქმს, თუმცა თანხა არ დარიგდებოდა და მათთვის საჭირო ნივთებს შეიძენდნენ.

ზორბეგ ნივნივაძემ და სულხან კვანტრიშვილმა ბლიაძეს უბრძანეს, ჯარისკაცებისათვის საჭირო ნივთები შეეძინა. საქმის კურსში ჩავაყენეს საჰაერო ძალების შტაბის უფროსი მეთაური, პოლკოვნიკი ელგუჯა დემეტრაშვილი.

484 ლარზე პასუხისმგებლობის დადასტურებული საავანსო ბარათი

უფროსს, მალხაზ ტაბატაძეს დაურეკა და უთხრა, რომ ჯარისკაცები მათი პირადი ნივთების დაბრუნებას ითხოვდნენ.

თამაზ ბლიაძე დემეტრაშვილთან გამოცხადდა და მოახსენა, რომ პასუხს აგებდა ყველაფერზე, რაც უშუალოდ მას ეხებოდა.

ჯარისკაცებმა დაადასტურეს, რომ ბლიაძესთან პრეტენზია არ ჰქონდათ, მაგრამ დემეტრაშვილი კაპიტან ბლიაძისაგან იმ ტელეფონის დაბრუნებას ითხოვდა, რომელიც უფროსმა ლეიტენანტმა ივანე ყელბერაშვილმა კარანტინის დროს ერთ-ერთ ჯარისკაცს ჩამოართვა.

თამაზ ბლიაძე: „სამხედროებს ჩემთან პრეტენზია არ ჰქონიათ, ელგუჯა დემეტრაშვილს ხელფასებზეც ავუხსენი, რომ თანხიდან მხოლოდ 46

მაია მაისურაძე, თამაზ ბლიაძის მეუღლე: „გვითხრეს, – ჩვენ თუ ვიპოვეთ, უარესი იქნებაო. ას სამოც ლართან ერთად ჩემი და ჩემი დის ოქროს ნივთები: ბრილიანტის ბეჭდები, ოქროს საათები, საყურეები, სამაჯურები, ჯვრები, ჯაჭვები და ლალის ძვირფასთვლიანი გულსაბნევი მივეცი, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო. ყველაფერი აღრიცხეს და წაიღეს“.

თამაზ ბლიაძე სამხედრო პოლიციის შენობაში მიიყვანეს და დაკითხეს.

დაკავებიდან სამი დღის შემდეგ სასამართლომ ეჭვიმტანილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესი საგარეჯოში ცხრა თვის მანძილზე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში სამხედრო პოლიციის უფროსი

## ■ პროკურატურა ბლიაძეს ჯარისკაცთა პირადი ნივთების – ტელეფონის, ხელფასების მითვისებასა და იმ 46 ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებდა, რომლითაც ოთხმა ოფიცერმა სამხედროებისათვის სამართებლები, ფეხსაცმლის საცხები და ჯაგრისები შეიძინა.

გაიცა. მარნეულის შტაბის ბეჭდითა და მარნეულის სამხარეო ნაწილის მეთაურის, კახა თვაურის ხელმოწერით დამოწმებულ საავანსო ბარათს ხელი კაპიტანმა თამაზ ბლიაძემაც მოაწერა.

საჭირო ნივთების შესაძენად თამაზ ბლიაძესა და ივანე ყელბერაშვილს მუხროვანის სამხედრო ნაწილის ორი ოფიცერიც გაჰყვა.

აღნიშნული თანხიდან ხუთი შეკვრა სამართებლის, სამი შეკვრა ფეხსაცმლის საცხის და ხუთი ჯაგრისის შესაძენად 46 ლარი დაიხარჯა, ხოლო დარჩენილი თანხა – 438 ლარი, გადახდის ქვითრებთან ერთად ბლიაძემ, ყელბერაშვილმა და თეიმურაზ სადიკოვმა მარნეულის ასეულის კანცელარიაში ჩააბარეს.

6 ნოემბერს საჰაერო ძალების შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა დემეტრაშვილმა მარნეულის შტაბის

ლარი დაიხარჯა და დანარჩენი მარნეულის ასეულის კანცელარიაში ჩავაბარე. ამაზე მიპასუხა, – ათი წლით ოჯახს მოგანატრებო, – ალექო სუხიტაშვილს დაურეკა და უთხრა, – დიდი ხანია ამ ოფიცერს რქები მინდა მოვამტვრიო, ხალხი გამომიგზავნეო“.

სატელეფონო საუბრის შემდეგ დემეტრაშვილმა კაპიტანი საკუთარ კაბინეტში ჩაკეტა და უთხრა, რომ მას დააპატიმრებდნენ.

7 ნოემბერს სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებმა ბლიაძის საცხოვრებელი სახლი ორდერის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით, გაჩხრიკეს.

სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებს არ უთქვამთ, რას ეძებდნენ; ოჯახს ცეცხლსასროლი იარაღის, ფულისა და ძვირფასი ნივთების წარდგენა მოსთხოვეს.

გამომძიებელი, რამაზ მეთოფიშვილი ოჯახს ემუქრებოდა.

მაია მაისურაძე: „გვირეკავდა და გვემუქრებოდა, – ბავშვი გეზრდებათ და, თუ არ გინდათ, თქვენი ქმარი ციხეში ჩავალპოთ, ოქროზე ხმა არ ამოიღოთ“.

საგარეჯოს რაიონში 27 სასამართლო პროცესი ჩატარდა. კაპიტანს სამი ბრალდება წაუყენეს: სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, თაღლითობა და თანხის მითვისება-გაფლანგვა.

პროკურატურა ბლიაძეს ჯარისკაცთა პირადი ნივთების – ტელეფონის, ხელფასების მითვისებასა და იმ 46 ლარის გაფლანგვაში ადანაშაულებდა, რომლითაც ოთხმა ოფიცერმა სამხედროებისათვის სამართებლები, ფეხსაცმლის საცხები და ჯაგრისები შეიძინა.



პროკურორი ლევან დათუნაშვილი, განთავისუფლების სანაცვლოდ, ჯერ მოლარე ანუელა ყიფიანს აიძულებდა, ელიარებინა დანაშაული და ეთქვა, რომ სამხედროების ხელფასები ბლიადესთან ერთად მიითვისა, ხოლო შემდეგ, მოსამართლის თანდასწრებით, თამაზ ბლიადეს აღიარებითი ჩვენების მიცემის შემთხვევაში, ორწლიან პატიმრობას და 10 ათასი ლარის გადახდის ალტერნატივას სთავაზობდა.

„ლიბერალთან“ საუბრისას თამაზ ბლიადე ამბობს, რომ სასამართლო პროცესებზე პროკურორი ჯარისკაცების დაშინებასაც ცდილობდა, ემუქრებოდა, – კაპიტანს ხელს თუ არ დაადებთ, დაგიჭერთო.

ბლიადეს პროცესების მანძილზე რამდენიმე ადვოკატი ჰყავდა. ნუგზარ ლუჭაშვილი საქმეს ჩამოსცილდა; მან კლიენტს უთხრა, რომ მასზე ზენოლას ახორციელებდნენ და ერთადერთი, საპროცესო შეთანხმების გაფორმება შეეძლო. ადვოკატი ოლეგ ფრანგიშვილი კი ექვმიტანილს სასჯელის ზომაზე შეთანხმებას სთავაზობდა, არადა, ბლიადე ბრალს არ აღიარებდა.

თამაზ ბლიადე: „ბოლო პროცესებზე მარინა ბერიძე იყო ჩემი ადვოკატი. ეს ხალხი ახლოს აღარ მეკარება, მათ ბევრი რამ გამიფუჭეს“.

საგარეჯოს სასამართლოს მოსამართლემ – ცისანა სირბილადემ კაპიტან ბლიადეს სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ბრალდება მოუხსნა, ხოლო თაღლითობისა და მითვისება-გაფლანგვისათვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლომ ასევე დაამტკიცა, რომ ბლიადის ოჯახიდან ამოღებულ ოქროს ნივთებს არანაირი კავშირი არ ჰქონდა საქმესთან, თუმცა მათი დაბრუნების შესახებ გადანყევტილება არ მიუღია. უკანონო ჩხრეკის ჩატარების საფუძველზე კი, პროკურატურამ რამაზ მეთოფიშვილის წინააღმდეგ საქმე აღძრა.

განაჩენის გასაჩივრების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და ბლიადეს ყველა

ბრალდება მოუხსნა, თუმცა ნაუყენა ახალი – 333-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი – სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტება, რაც 8-წლიან სასჯელს ითვალისწინებს.

განაჩენის მიხედვით, ბლიადეს არ უნდა განეკარგა ჯარისკაცთა ხელფასები, ხოლო დამამძიმებელ გარემოებად ჩაუთვალეს ის, რომ თითქოს კაპიტანი არ თანამშრომლობდა გამოძიებასთან.

თამაზ ბლიადე: „მითხრეს, რომ არ ვითანამშრომლე გამოძიებასთან, მაშინ როდესაც ყველა კითხვას ვპასუხობდი. მოსამართლე ღია ორკოდაშვილმა მითხრა, – სხვაგვარად არ შემიძლო, დამიჭერდნენო“.

კაპიტანმა, სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნით, არაერთხელ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის ყოფილ და ახალ თავმჯდომარეებს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, თავდაცვის მინისტრს, გენერალურ პროკურორს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

თამაზ ბლიადემ 2008 წლის 19 მარტს უზენაეს სასამართლოს მიმართა.

2008 წლის 15 აგვისტოს ბლიადეს საქართველოს გენერალური პროკურატურიდან ციხეში წერილი მიუვიდა, სადაც ეწერა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, მაია ოშხერელმა მისი განაჩენი უცვლელი დატოვა, არადა უზენაესმა სასამართლომ განჩინება 2008 წლის 9 სექტემბერს, ამ პასუხიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ გამოიტანა.

2009 წლის 15 თებერვალს ბლიადე ქსნის კოლონიაში გადაიყვანეს.

თამაზ ბლიადე: „2009 წლის 1 აპრილიდან 3-4-ჯერ დამიბარა ციხის ადმინისტრაციამ და მითხრა, შეწყა-

ლების თხოვნა დამეწერა. ვუთხარი, ბრალს არ ვაღიარებ და თუ გინდათ, განცხადებას დაგინერთ-მეთქი“.

2009 წლის 18 აპრილს, 2 წლისა და 6 თვიანი პატიმრობის შემდეგ, ამ განცხადების საფუძველზე, კაპიტანი თამაზ ბლიადე გაათავისუფლეს.

ბლიადემ პროკურატურას ოჯახის კუთვნილი, ჩამორთმეული ოქროს ნივთების დაბრუნება მოსთხოვა.

საგარეჯოს სასამართლოს განაჩენის გამოტანის შემდეგ ოჯახის წევრები სამხედრო პოლიციის შენობაში მოტყუებით წაიყვანეს, – თამაზს შეგახვედრებთო. მთავარი გამოძიების, მეთოფიშვილის სეიფიდან დაღუპული ოქროულის ტომსიკა ამოიღეს, რომელშიც ოჯახის კუთვნილი 20 ათასი აშშ დოლარის ოქროული უნდა ყოფილიყო, თუმცა ტომსიკა ცარიელი აღმოჩნდა.

ამ საკითხზე პროკურატურამ პასუხისმგებლობა მოიხსნა და ოჯახს განუცხადა, რომ რამაზ მეთოფიშვილზე, რომელმაც ოქროს სამკაულები მიითვისა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

ბლიადემ სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, – „მაშინაც ვთვლიდი და დღესაც ვთვლი, რომ უკანონო პატიმარი ვიყავი. მინდა, ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანობა აღდგეს“.

კაპიტან ბლიადეს სტრასბურგში სარჩელი – სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევით, სახელმწიფო ორგანოს წინაშე დაცვის ფეფქტური სამართლებრივი საშუალებების არარსებობის და ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე დისკრიმინაციული მოპყრობის მუხლებით აქვს შეტანილი.

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ საქმე – ბლიადე – საქართველოს წინააღმდეგ – წარმოებაში მიიღო. □



სტატია მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოში მედიის – როგორც მაკონტროლებელი ინსტიტუტის – როლის გაძლიერება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

საქართველოს საბარეო ვალი

# ვინ ახის ბაღახდელი?

სახელმწიფო საგარეო ვალის გადახდა, შესაძლოა, თითოეულ მოქალაქეს დაეკისროს, რაც ქაშრების სერიოზულად მოჭერას გულისხმობს.

## გიორგი აბაშიშვილი

სახელმწიფო ვალი არის თემა, რომელიც ხშირად გამხდარა სხვადასხვა ტიპის სპეკულაციების საგანი. ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილი სვამს ლეგიტიმურ კითხვას: სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში დაგროვებული ვალის გადახდა სხვადასხვა ფორმით საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ხომ არ მოუწევს?

2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 6 მილიარდ 389 მილიონ 775 ათასი ლარია.

თუ პირობითად დავუშვებთ, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, განუზრცვლად სქესისა და ასაკისა, მისი წილი ვალის გადახდა დაეკისრა, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ 2010 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე იქნება დაახლოებით 1592 ლარი (საქსტატის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2010 წლისათვის 4 მილიონ 436 ათას 400 ადამიანია).

სახელმწიფო ვალი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი და მათზე დარიცხული პროცენტები, რომლებიც დროის მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის. სახელმწიფოს აქვს ვალის „გამართლების“ უამრავი მიზეზი, დანყებული ბიუჯეტის დეფიციტიდან, დამთავრებული ინფრასტრუქტურული პროექტებით.

სახელმწიფო ვალი თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო საშინაო ვალი.

სახელმწიფო საშინაო ვალი არის ქვეყნის მთავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი.

სახელმწიფო საგარეო ვალი კი არის ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისაგან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან აღებული სესხი.

საგარეო ვალის აღება ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთ ვითარებაშია გამართლებული, როდესაც ადგილი აქვს

ეკონომიკურ ზრდას, ანუ ქვეყანას უნდა ჰქონდეს მზარდი შემოსავალი, რათა ადვილად შეძლოს აღებული ვალის, ე.წ. ძირი თანხისა და მისი ასევე მზარდი პროცენტების დაფარვა. თუმცა, წლების განმავლობაში, საქართველოში მთავრობის მიერ საგარეო ვალის აღება სრულიად გაუმჭვირვალე ვითარებაში ხდებოდა.


სახელმწიფო საგარეო ვალს ოთხი მიმართულება აქვს: პირველი – ეს არის ვალი მრავალმხრივი კრედიტორებისაგან, რომლებშიც იგულისხმება საერთაშორისო ორგანიზაციები; მეორე – ორმხრივი კრედიტორებისაგან აღებული ვალი, როდესაც მთავრობა რომელიმე მეორე ქვეყნისაგან სესხულობს ფულს; შემდგომი სიტუაციაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით დაგროვილი ვალი და ბოლოს, როდესაც თანხის სესხება შესაძლებელია ვალის მფლობელის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციიდან ხდება სახელმწიფოს გარანტიის პირობით.

როგორც აღვნიშნეთ, 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 6 მილიარდ 389 მილიონ 775 ათასი ლარია.

თუმცა, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი კიდევ უფრო იზრდება და განისაზღვრება 7 მილიარდ 61 მილიონ 200 ათასი ლარით. ეს თანხა თითქმის მილიარდ-ნახევრით მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს საგარეო ვალს განიხილავენ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში. მთლიან შიდა პროდუქტში იგუ-

სახელმწიფო საბარეო ვალის მოსახლეობის შეფიქრება მშპ-სთან



ლისხმება ყველა იმ საქონლისა და მომსახურების საბოლოო საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.

მშპ იყოფა ნომინალურ და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტად. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის გამოსათვლელად ჯერ რომელიმე საბაზისო წელს ირჩევენ და მისგან გამომდინარე ითვლიან მიმდინარე ვითარებას.

თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უფრო საინტერესო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტია, რომლის გამოთვლაც უფრო მარტივად ხორციელდება – მიმდინარე საბაზრო ფასებით.

როდესაც სახელმწიფო საგარეო ვალს ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში განიხილავენ, შემდეგი იგულისხმება: მაგალითად, რამდენი მილიარდი ლარის ღირებულების პროდუქტია აწარმოა საქართველომ 2010 წელს, ხოლო ამავე 2010 წელს რამდენი მილიარდი ლარის ღირებულების საგარეო ვალი აქვს.

საქართველოს მთავრობის გათვლების თანახმად, 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი 19 მილიარდ 46 მილიონ 400 ათასი ლარი იქნება. ამ მონაცემების ანალიზის თანახმად კი, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი პროგნოზი: საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2010 წლის ბოლოსათვის შეადგენს ნომინალური მშპ-ის 37.1 პროცენტს მაშინ, როცა 2009 წლისთვის საგარეო ვალი ნომინალური მშპ-ის მხოლოდ 31.1 პროცენტი იყო.

ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მშპ-სთან კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2009 წლიდან ამ მაჩვენებელმა საგრძნობი ზრდა დაიწყო. 2000-2008 წლების შესაბამისი მაჩვენებლები ცხრილშია მოცემული:

ცხადია, ერთ დღეს, მაგალითად, გერმანიის კანცლერი პირადად არ გვესტუმრება სახლში და არ მოგვთხო-


ვს მისი ქვეყნის კუთვნილი თანხის დაბრუნებას.

თუმცა, ერთი რამ ფაქტია, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სულ უფრო მეტი თანხის დაზოგვა მოუწევს არა იმიტომ, რომ სამომავლო ინვესტიციები განახორციელოს, არამედ იმიტომ, რომ მათი პირობითი წინაპრების მიერ მიზანშეწონილად თუ მიზანშეუწონლად აღებული თანხები გაისტუმროს.

საგარეო ვალის გადახდა შემდეგნაირად ხდება: მთავრობა ყოველი წლის ბიუჯეტში წინასწარ ითვალისწინებს თანხებს, რომელსაც მიმდინარე წლის განმავლობაში გადაუხდის სხვადასხვა კრედიტორს.

ბუნებრივია, ყველა ეს თანხა აკლდება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ სხვადასხვა ტიპის სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. წლების განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებაზე იხარჯებოდა ქვეყნის წლიური ბიუჯეტის საშუალოდ 2-8 პროცენტი.

სათანადო ეკონომიკური ზრდის პირობებში მსგავსი, ერთი შეხედვით, „შემადრწუნებელი“ საგარეო ვალის გადახდაც კი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას.

თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მონაცემები, მიმდინარე წლიდან 2013 წლის ჩათვლით, მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, რადგან დასახელებული წლების განმავლობაში ეკონომიკური ზრდა მაქსიმუმ 2-7 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც განვითარებადი ქვეყნისთვის არცთუ კარგი მაჩვენებელია. თუ საქართველო იქნებოდა განვითარებული ქვეყანა, 2-7-პროცენტიანი წლიური ზრდა უზრალოდ იდეალური იქნებოდა, მაგრამ ეკონომიკაში მოქმედი მკვეთრი ზრდის ეფექტის თანახმად, როდესაც განვითარებადი ქვეყნები განვითარების უფრო მაღალ მაჩვენებელს აღწევენ, ვიდრე განვითარებული ქვეყნები, წარმოდგენილი პროცენტები საკმაოდ დამაფიქრებელია. 



## გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

**ბეჭდური ვერსია**  
12 ნომერი – 3 თვე  
**22 ლარი**

24 ნომერი – 6 თვე  
**45 ლარი**

48 ნომერი – 1 წელი  
**90 ლარი**

**PDF ვერსია**  
12 ნომერი – 3 თვე  
**13 ლარი**

24 ნომერი – 6 თვე  
**25 ლარი**

48 ნომერი – 1 წელი  
**50 ლარი**

ჟურნალის გამოსანერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
23 37 31, (899) 48 62 41  
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: [info@liberali.ge](mailto:info@liberali.ge)

რეგიონული ტელევიზიების თავისუფლება

# თვითმმართველობასთან ხელშეხებიანი ტელევიზიები

16 რეგიონული ტელევიზია არ მალავს, რომ ოფიციალურად აქვს ხელშეკრულება გაფორმებული მუნიციპალიტეტთან. ინარჩუნებენ თუ არა დამოუკიდებლობას არხები, რომლებიც დაფინანსების ამ პრაქტიკაზე უარს ვერ ამბობენ?

ანიტა თვაური



ტელეკომპანია „რიონის“ საფერო სტუდია

19 ივლისის, დღის მნიშვნელოვანი ახალი ამბების გასაგებად ქუთაისელები საღამოს ტელეკომპანია „რიონის“ საინფორმაციო გამოშვებას ელოდებიან.

ეკრანზე პარლამენტის მშენებლობის ამსახველი კადრები ჩნდება. რამდენიმენამიანი პაუზის შემდეგ სიუჟეტის ავტორის ხმაც ისმის: „ქვეყნის მთავარი მშენებლობა! – ასეთი შეფასება მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში ვიზიტისას გააკეთა“.

„რიონის“ საინფორმაციო გამოშვებაში, რომელიც 10 წუთს გაგრძელდა, 8 წუთი პრეზიდენტის ვიზიტის გაშუქებას დაეთმო, ამ 8-წუთიან ქრონიკაში კი მოვლენების აღსაწერად ჟურნალისტმა სულ 3 წუთი დაიტოვა, დანარჩენი 5 წუთის განმავლობაში ტელევიზორიდან პრეზიდენტის ხმა ისმოდა. ის ქუთაისის ქუჩების შემოვლისას, დროდადრო ჩერდებოდა და კამერების წინ ქალაქის აღმშენებლობისა და საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ვრცლად საუბრობდა.

ნებისმიერ რეგიონში პრეზიდენტის სტუმრობა, ცხადია, შეიძლება დღის მნიშვნელოვანი მოვლენა გახდეს, მაგრამ რატომ აქციეს „რიონის“ საინფორმაციო გამოშვების ხელმძღვანელებმა ახალი ამბები მთლიანად პრეზიდენტის ექსკლუზივად? გამოშვების დარჩენილი ორი წუთი კი ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამას დაუთმეს, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების ურეკში დასვენება დაფინანსდა.

ტელეკომპანია „რიონის“, უკვე 5 წელია, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ადგილობრივ თვითმმართველობას-

ფოტო: ნინო ბერიძე

თან „საინფორმაციო უზრუნველყოფის შესახებ“ და ხელისუფლებისგან მცირე, მაგრამ სტაბილურ შემოსავალს იღებს. სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაიცემა საკრებულოს სხდომების ჩანაწერები და საკრებულოს ოფიციალური განცხადებები. ამ მომსახურებაში „რიონს“ თვითმმართველობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ოდენობის თანხას უხდოდა: 2006 წელს 17 ათასი ლარი, 2007 წელს – 45 400, 2008 წელს – 22 552, 2009 წელს – 29 172, 2010-ში კი – 26 ათასი ლარი.

უცნობია, 19 ივლისის მასალაში ჟურნალისტის ცალმხრივობის მიზეზი რა უფრო იყო: ის, რომ ეს სიუჟეტი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააფინანსა, თუ ის, რომ ფინანსური დამოკიდებულება ხელისუფლებას, მისადმი ტელევიზიის ლოიალურობას ისედაც განაპირობებს.

„რიონი“ გამონაკლისი არაა. 40-მდე ტელევიზიიდან ხელშეკრულება ხელისუფლებასთან 16 ტელეკომპანიას აქვს გაფორმებული, ორი თავად მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, „აჭარის ტე-

ვებად იყენებენ, მაგრამ ქუთაისის საკრებულოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსი მაია სვინტრაძე ამბობს: „რასაც მინდა, იმას დაუჭევთავე ჩემ მიერ შექმნილ დროში“. ბოლო რამდენიმე თვის სატელევიზიო მომსახურების ამონაწერიდან ჩანს, რომ, ამ თანხის ფარგლებში, ქუთაისის მერიის წარმომადგენლები დაბადების დღეებსაც ულოცავენ თანამშრომლებს.

მსგავსი ხელშეკრულებები ბევრ კითხვას ბადებს, მათ შორის იმასაც, თუ როგორ ინარჩუნებს ტელევიზია დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას მაშინ, როცა ინფორმაციის გადაცემაში დაინტერესებული პირისგან ფულს იღებს?

ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ ის, რომ მუნიციპალიტეტი ყიდულობს საინფორმაციო მომსახურებას, მაგრამ არ არის განსაზღვრული, შეუძლია თუ არა მუნიციპალიტეტს, არხის ხელმძღვანელობას სიუჟეტის განთავსება საინფორმაციო გამოშვებაში მოსთხოვოს, და აქვს თუ არა უფლება, ჩაერიოს მის მომზადებაში.

საინფორმაციოს ხელმძღვანელი, ელზა ჩუბინიძე ამბობს, რომ ფასიან სიუჟეტებს ეთერში მოხვედრისას ყოველთვის არ აქვს მითითებული, რომ ისინი დაფინანსებულია. „ყველამ იცის, რომ დაკვეთილი მასალა არის და რად უნდა მიწერა? გადის მეორე ბლოკში, საინფორმაციო პროგრამის ბოლო ნაწილში“, – ამბობს ის.

ტელეკომპანია „რიონი“ ამბობენ, რომ მათ სარედაქციო დამოუკიდებლობას ეს ხელშეკრულებები საფრთხეს არ უქმნის.

„ჩვენი საინფორმაციო პოლიტიკა აბსოლუტურად თავისუფალია. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული თანხა (დაახლოებით 2 ათასი ლარი თვეში) ტელეკომპანიის ბიუჯეტის ძალიან მცირე ნაწილს შეადგენს, მყავს 68 თანამშრომელი, ყოველთვიურად კი გასაგავლი 15-20 ათას ლარამდე გროვდება“, – აცხადებს თამარ ღვინიაიძე.

ტელეკომპანია „რიონი“, რომელიც 1986 წელს დაარსდა, იმერეთის რეგიონში ვრცელდება. ღვინიაიძე იხსენებს, რომ 1993 წელს ტელეკომპანია მაშინდელი მერის, თემურ შამიაშვილის „კეთი-

**■ უცნობია, 19 ივლისის მასალაში ჟურნალისტის ცალმხრივობის მიზეზი რა უფრო იყო: ის, რომ ეს სიუჟეტი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააფინანსა, თუ ის, რომ ფინანსური დამოკიდებულება ხელისუფლებას, მისადმი ტელევიზიის ლოიალურობას ისედაც განაპირობებს.**

ლევიზია“ სახელმწიფო სტრუქტურად ითვლება. იგივე პრაქტიკას მიმართავს ბეჭდური პრესა და რადიოებიც. ხელშეკრულებები ერთმანეთის მსგავსია. მათ შორის განსხვავება მხოლოდ შესყიდვის ობიექტის დასახელებასა და თანხებშია.

„მე ვარ კერძო კომპანია, და ჩემი დრო ფული ღირს. არ ვარ ვალდებული, გადავცე საკრებულოს სხდომები, ამიტომ მაძლევენ ფულს და მე ვყიდი საეთერო დროს“, – ამბობს „რიონის“ დირექტორი თამარ ღვინიაიძე.

მართალია, ტელეკომპანიის ხელმძღვანელებიც და საკრებულოს წარმომადგენლებიც ამტკიცებენ, რომ ნაყიდ ტელეთერს მხოლოდ საკრებულოს სხდომების ჩანაწერებისა და განცხადებების გასამ-

„ეს აბსურდია. ეს ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნებს. ხოლო თუ ტელევიზია საინფორმაციო გამოშვებებში ჰყიდის საეთერო დროს, ამით პირდაპირ არღვევს მათუნებლობის შესახებ კანონსაც, რადგან საინფორმაციო გადაცემების სპონსორობა აკრძალულია“, – აცხადებს იურისტი თამარ კორძაია. ამავე კანონის მიხედვით კი, იკრძალება ისიც, რომ ტელევიზიას სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სიუჟეტებზე სპონსორები ჰყავდეს.

ტელეკომპანია „რიონის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ასეთი სიუჟეტის ფასიც კი წერია – „სიუჟეტი საინფორმაციო პროგრამებში 1 წთ – 100 ლარი“. „რიონის“

ლი ნებით“ კინოთეატრ „საქართველოს“ შენობაში განთავსდა. თამარ ღვინიაიძის თქმით, ქალაქის მერმა მაშინ არხის ხელმძღვანელებს, საეთერო დროის გამოყენების სანაცვლოდ, შენობის საიჯარო გადასახადისგან გათავისუფლება შესთავაზა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მერის განკარგულება საიჯარო თანხის გაქვითვასთან დაკავშირებით უკანონო იყო და ტელეკომპანიას ჯარიმა დაეკისრა. მაშინდელი მერის ინიციატივით, მზადდებოდა გადაცემა „გისმენთ ქალაქის მერი“, რომელშიც კომპანიის ხელისუფლება ფულს არ უხდოდა. 2006 წელს ადგილობრივ ხელისუფლებას თანამშრომლობა თავად ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა შესთავაზა.

„პრობლემა მაშინ იყო თუ იყო! შა- შიაშვილის დროს [ტელევიზიით] ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით და ფულს არ ვიხდით, და ახლა ოფიციალურად არის ეს ყველაფერი“... – ამბობს ქუთაისის საკრებულოს აპარატის უფროსი, ვანო ჟორჟოლიანი.

თამარ ღვინიაძე ამბობს, რომ საეთერო დროს მიჰყიდის ყველას, ვინც ფულს გადაიხდის. „ნოლიდელმა გადაიხადა თანხა და იჯდა ერთი საათი ეთერში, მასწავლებელთა პროფკავშირებიც იყო ჩამოსული, ნინო ბურჯანაძემ 1000 ლარი გადაიხადა, რომ უნდოდა ლაპარაკი, მითხრა, – მინდა და გადავიხდო, – და რატომ უნდა მეთქვა უარი?“ – ამბობს თამარ ღვინიაძე და ამატებს, რომ ამ გადაცემას თან სდევდა ტიტრი, რომ ის დაფინანსებული იყო.

ქუთაისზე უფრო ადრე ადგილობრივ ხელისუფლებასა და ტელეკომპანიას შორის ხელშეკრულება გურჯაანში გაფორმდა. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, 2004 წელს „მასმედის მომსახურებაზე“ მუნიციპალიტეტმა 24.2

ათასი ლარი დახარჯა. პარალელურად, რეგიონულ ტელევიზიებთან ხელშეკრულებები გურიაში, ახალციხეში და იმერეთშიც გაფორმდა.

მაგალითად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ტელეკომპანია გურიისგან „საკრებულოს მიერ მიწოდებული მასალების ეთერში განთავსებას“ ყიდულობს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი კი – ამავე ტელეკომპანიისგან „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა სარეკლამო მომსახურებას“. ახალციხის მუნიციპალიტეტი შპს ტელერადიოკომპანია „იმპერიისგან“ ყიდულობს ფასიანი სიუჟეტების გაშუქების უზრუნველყოფას“. ტელეკომპანია „გურჯაანს“ კი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულება „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების ოპერატიულად და ობიექტურად გაშუქებას“ ავალდებულებს, რისთვისაც 2010 წელს ტელეკომპანია 31 900 ლარს მიიღებს.

ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიღებული ეს თანხები რეგიონული ტელევიზიების ბიუჯეტის მცირედი ნაწილია.

თუმცა, თამარ კორძაიას მათ მიერ ხელისუფლებასთან ხელშეკრულების გაფორმება მაინც დაუშვებლად მიაჩნია: „ტელევიზია ისედაც ვალდებულია, გააშუქოს მიმდინარე მოვლენები და ვერ წარმომიდგენია, მით უმეტეს რეგიონებში, რა შეიძლება გააშუქონ სხვა, თუ არა ადგილობრივი გამგეობისა და საკრებულოს საქმიანობა. ამაში რომ ფულს იღებს ტელევიზია, პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ ის არ არის დამოუკიდებელი და მის დამოუკიდებლობას ეს ხელშეკრულებები ძალიან მძიმე ტვირთად აწევს“.

ტელეკომპანია „გურჯაანის“ აღმასრულებელი დირექტორი ლევან ალექსიშვილი განმარტავს, რომ ამ ხელშეკრულების ფარგლებში ტელეკომპანია ამზადებს ყოველკვირეულ გადაცემას „დიალოგი“, რომელშიც ჟურნალისტი ინვესტ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. გადაცემაში განსახილველი საკითხები წინასწარ თანხმდება მუნიციპალიტეტთან. „გადაცემას აქვს „R“ ნიშანი, რაც ნიშნავს, რომ ის სარეკლამოა. ჩვენ შევძელით, რომ ეს თანხა მომორებოდა საინფორმაციო გამოშვებებს და განგვემიჯნა საინფორმაციო და სარეკლამო სიუჟეტები ერთმანეთისგან. ჩვენ ამაზეც უარს ვიტყვით, თუ დაინახავთ, რომ შემოსავალი იქნება სტაბილური“, – ამბობს ლევან ალექსიშვილი.

ლევან ალექსიშვილის ტელევიზიასაც დამოუკიდებლად არსებობის ზუსტად ისეთივე გამოცდილება აქვს, როგორც ქუთაისის „რიონსა“ და დანარჩენ 14 ტელეკომპანიას. მათ დამოუკიდებლობას, მათივე თანხმობით, ყოველთვის ზღუდავდა ხელისუფლების ზენოლა, რასაც დღეს უკვე „მონესრიგებული“ და „კანონიერი“ ფორმა აქვს. ამას ზოგიერთი ტელევიზიის ხელმძღვანელი დღემდე ვერ აცნობიერებს და დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებასთან კონტრაქტით საკუთარ მაყურებელს არ ატყუებს. ზოგი აცნობიერებს და, ლევან ალექსიშვილის მსგავსად, გრანტების მოპოვებით ცდილობს სახელისუფლებო გავლენისგან თავის დახსნას, ზოგისთვის კი – მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულებები უბრალოდ ბაზარზე დარჩენის წინაპირობაა. ■



ტელეკომპანია „რიონსა“ სამონტაჟო

■ „ნოლიდელმა გადაიხადა თანხა და იჯდა ერთი საათი ეთერში, მასწავლებელთა პროფკავშირებიც იყო ჩამოსული, ნინო ბურჯანაძემ 1000 ლარი გადაიხადა, რომ უნდოდა ლაპარაკი, მითხრა, – მინდა და გადავიხდო, – და რატომ უნდა მეთქვა უარი?“ – ამბობს თამარ ღვინიაძე.

განათლება

# სამ დღეში ნასწავლი პასხირობი

სკოლის მასწავლებლებს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლებისთვის ამზადებენ. პედაგოგებმა სამ დღეში ნასწავლი საგანი სკოლის სამ სხვადასხვა კლასში უნდა ასწავლონ.

რუსუდან ფანოზიშვილი



მასწავლებლები „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ ტრენინგზე, ქარელის I სკოლა, 29 ივლისი 2010

ოფიცრები.

ჯერ კიდევ ივნისში განათლების სამინისტროში ამბობდნენ, რომ საგნის მასწავლებლის შესახებ დეტალები გარკვეული არ იყო. ივლისში კი პედაგოგებმა ძირითადად დირექტორებისგან შეიტყვეს, რომ რამდენიმე დღეში ტრენინგს უნდა დასწრებოდნენ.

„არ ვიცი, მე რატომ გამოიმგზავნა დირექტორმა, ალბათ იმიტომ, რომ ცოცხა საათები მქონდა“, – ამბობს სურამის პირველი სკოლის მასწავლებელი, რუსუდან ლომაძე.

„ისტორია, გეოგრაფია – ეს უფრო პოლიტიკური საგნებია და ჩვენ უფრო კარგად შევასწავლით ბავშვებს პატრიოტიზმსა და სამშობლოს სიყვარულს, ვიდრე, ვთქვათ, სხვა საგნების მასწავლებლები“, – ვარაუდობს ხაშურის მე-4 სკოლის მასწავლებელი, ავთანდილ ჩადუნელი.

„სამოქალაქო თავდაცვა“ რამდენიმე მიმართულებად იყოფა, ამიტომაც, სამდღიანი ტრენინგის დროს მასწავლებლები დღეში 8 საათის განმავლობაში ისმენენ პირველადი სამედიცინო დახმარების, ტრავმების კლასიფიკაციის, საგანგებო სიტუაციების მართვის, სავაჟუაციო გეგმების, საქართველოს თავდაცვის სტრუქტურის, რუსული და ამერიკული იარაღის აგებულებისა და სხვა საკითხების შესახებ.

– უკაცრავად, ეს ყველაფერი ჩვენ სკოლაში ბავშვებს უნდა ვასწავლოთ?! – გაკვირვება ველარ დამალა ერთერთმა მასწავლებელმა მას შემდეგ, რაც საათ-ნახევრის განმავლობაში

– სკოლაშიც ასე ხდება? ზარი რომ ირეკება, ბავშვები არ შემოდინან ხოლმე? – ეკითხება მოთმინებიდან გამოსული ტრენერი საკლასო ოთახში შემორჩენილ თხუთმეტამდე პედაგოგს. „შატალოზე“ წასული კოლეგების ხსენებაზე დანარჩენებს მხოლოდ ელიმებათ.

– რა გაეწყობა, ჩვენ დავიწყეთ, თუ არ მოდიან!

ტრენინგის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ „დასვენებაზე“ გასული მასწავლებლები ფეხაკრეფით შემოდიან და თავიანთ სკამებზე ჩუმად სხდებიან.

ქარელის პირველ საჯარო სკოლა-

ში ხაშურის, ბორჯომის, რუისის და სხვა სოფლების სკოლებიდან შეკრებილ პედაგოგებს სამოქალაქო თავდაცვას ასწავლიან. აქ სამ დღეში მოსმენილი მასალა კი მასწავლებლებმა სექტემბრიდან სამ სხვადასხვა კლასში უნდა ასწავლონ.

„სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ სწავლებას საქართველოს ყველა სკოლის მე-4, მე-8 და მე-12 კლასებში დაიწყებენ. ნახევარწლიანი გაურკვეველობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ საგანს სკოლაში ისტორიის, გეოგრაფიისა და მათემატიკის მასწავლებლები ასწავლიან და არა – თადარიგის

იარაღის დაშლა-ანყობის დეტალებს უხსნიდნენ და უყვებოდნენ იმის შესახებ, თუ რატომ და როგორ ისვრის „ავტომატი“ ავტომატურად, განსაზღვრავს თუ არა სპეციალური აირებით სავსე ვაზნა ტყვიის სიჩქარეს, ტყვიის მჭიდი კი – მის ტრაექტორიას. რა განსხვავებაა რუსულ და ამერიკულ ავტომატებსა და ტანკებს შორის და რატომ გადანყვიტა ისრაელმა, მსუბუქი ტანკები უფრო ძვირადღირებულით შეეცვალა.

განათლების სამინისტროში, რომელიც პრეზიდენტთან ერთად ამ საგნის დანერგვის ერთ-ერთი ინიციატორია, მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი სკოლის მოსწავლეებმა ნამდვილად უნდა იცოდნენ. თუმცა, ავტომატებს და ტანკებს ბავშვებს სკოლაში არ მიუტანენ. იარაღი მასწავლებლებმა დაფაზე უნდა დაუხატონ ბავშვებს – ისე, როგორც ტრენინგზე უხატავდათ მათ სამხედრო ექსპერტი და მისგან მოსმენილი ინფორმაციაც ახალგაზრდებს ზუსტად გადასცენ.

ჯერ „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ სახელმძღვანელო არ გამოსულა. შესაბამისად, როგორ უნდა გამოიყენონ ტრენინგზე მოსმენილი თეორიული მასალა გაკვეთილების დაგეგმვისას, მასწავლებლებმა კონკრეტულად არ იციან.

ტრენინგების კოორდინატორი, ექიმი ლევან რატიანი კი ამბობს, რომ სავარაუდოდ, სახელმძღვანელო სასწავლო წლის დასაწყისისთვის გამოვა. თუმცა – რომელი კლასებისთვის, ჯერჯერობით ესეც უცნობია. ამიტომ მასწავლებლებმა თავისებური გეგმები შეიმუშავეს: „დანყვითში ბავშვს ბევრი ლაპარაკი არ უნდა, იმას უნდა უთხრა: „არ შეიძლება“ და მორჩა. მაღალ კლასებში კი უკვე შეიძლება აუხსნა „რატომ“, – ამბობს სოფელ ტეხერის სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ჭადაშვილი.

იარაღის დაშლა-ანყობა ახალი საგნის მხოლოდ ერთი კომპონენტია, კიდევ უფრო მნიშვნელოვან სამხედრო პატრიოტულ აღზრდასთან ერთად. „ბავშვი უნდა ხვდებოდეს, რა ფუნქცია აქვს არმიას – სხვა ქვეყანა უნდა

დაიპყროს, თუ ტერიტორია დაიცავს. ბევრს თანდაყოლილი აქვს სამშობლოს დაცვის განცდა. ბევრი იმასაც შეესწრო, როგორ შემოვიდა ჩვენს მიწაზე უცხო ქვეყნის ჯარი. თუ ამ ბიჭებს განათლებაც ექნებათ და მოინდომებენ ამ ყველაფერს, პრობლემა არ ექნებათ“, – ამბობს ქარელში შეკრებილი პედაგოგების ტრენერი, მაიორი თენგიზ ციხის-თავი.

„ოღონდ, ეს მყვირალა სიტყვით კი არ უნდა ვასწავლოთ, არამედ შეთანხმებით“, – ადასტურებს ალექსანდრე ჭადაშვილიც. ისტორიის მასწავლებელი, ავთანდილ ჩადუნელი კი, ტრენინგზე მოსმენილ მასალასა და თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით, გეგმავს, ბავშვებს ისტორიებიც უამბობს „ჩვენი ჯარების, ქართველი ჯარისკაცების, დავით აღმაშენებლის შესახებ“ და ამით გაუღვივოს მათ პატრიოტული სულისკვეთება.

2008 წელს საკუთარ თავზე გადატანილი ომი ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც მასწავლებლებს „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების“ სწავლება საჭიროდ მიაჩნიათ.

„აბა, ვიღაც მონღოლოიდური რასის ხალხი რომ მოვა და იარაღს ამიფრიალებს ფანჯარასთან, როგორ უნდა მოიქცე ამ დროს!“ – ზოგიერთი მასწავლებელი განსაკუთრებით ღელავს.

„მაშინ გავრბოდი. ჩვენ ირგვლივ ყველაფერს ბომბავდნენ. ელემენტარული განათლება მაინც რომ გექონოდა ჩვენც და ჩვენს ბავშვებსაც, უაზრო პანიკაში მაინც არ ჩავეცივდებოდი“, – იხსენებს სოფელ აბანოს სკოლის პედაგოგი, ელენე აბაშაშვილი.

„500-მდე მშვიდობიანი მოსახლიდან შეიძლება მსხვერპლი 400-ით შემცირებულიყო, მათ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რომ შეძლებოდათ, – ასე გვითხრეს ტრენერებმა“, – იხსენებენ პედაგოგები და ასე ასაბუთებენ ახალი საგნის დანერგვის აუცილებლობას.

– ქალბატონებს გეუბნებით, მომისმინეთ! განსაკუთრებით თქვენ ხართ უცოდინრები ამ საკითხში, – არაერთხელ გაუმეორა თავდაცვის სამინისტროს

ტროს თანამშრომელმა პედაგოგებს, რომელთა ნაწილსაც იარაღის აგებულებაზე საუბარი მალე მოსწყინდათ და ერთმანეთში ჭორაობით დაიწყეს თავის შექცევა. დღის სამი საათისთვის კი საგანგებო სიტუაციების ტრენინგსაც მასწავლებლების ნაწილი თვალდახუჭული უსმენდა. ზოგმა კი, ვინც დამალვა მოახერხა, მერხზე ცოტა წაუძინა კიდევ.

– თუ სახელმწიფოს თავდაცვა არ აქვს, მაშინ ის საკუთარ ხალხს პატივს არ სცემს“, – ამბობდა ამ დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის წარმომადგენელი, და სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობას ხსნიდა.

საკლასო ოთახში შეკრებილი პედაგოგების უმრავლესობა კონფლიქტური ზონის სოფლებიდან ტრენინგზე დასასწრებად დღის 7 საათზე წამოვიდა. 3 საათზე კი უკვე იმაზე ნერვიულობენ, უკან როგორ შეძლებენ დაბრუნებას. განიცდიან, რომ ყველაფრის დამახსოვრებას და სექტემბერში სკოლებამდე ცოდნის სათანადოდ მიტანას ვერ შეძლებენ.

„პირველი ოთხი საათი კი კარგად მასოვს – შეხვევა, ხელოვნური სუნთქვა, მაგრამ ახლა რასაც ამბობს, უკვე აღარ შემდის თავში“, – ამბობს სოფელ კეხიჯვრის მასწავლებელი, მაგდა ანდლულაძე.

„სილაბუსების ტრენინგიც ასე იყო. აქ კი ყველაფერი მესმოდა, მაგრამ უკან რომ დავბრუნდი, ვეღარ გავიხსენე, რადგან ერთ დღეში გვასწავლეს ყველაფერი“, – იხსენებს ელენე აბაშაშვილი.

25 აგვისტომდე ტრენინგების ჩატარება ყველა რეგიონში იგეგმება. მასწავლებლების უმრავლესობას იმედი აქვს, რომ იანვრამდე დამატებით ტრენინგებსაც ჩაუტარებენ, თორემ მოულოდნელად დაგეგმილი, სამდღიანი სწავლებით გაუჭირდებათ სექტემბრისთვის საკლასო ოთახამდე სრულფასოვნად მიიტანონ პირველადი სამედიცინო დახმარებისა თუ სამხედრო-პატრიოტიზმის თეორიის მნიშვნელოვანი დეტალები. **■**



განათლება

# ნახები სახანი + მახი ბამოსდა + ნახები მოსნავდა = უხეთუსი განათლების სისტემა?

ორდონიანი განათლების სისტემის შემოთავაზებული მოდელი ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების იდეას უპირისპირდება. თუკი ეს მოდელი ამოქმედდება, სკოლის გარეთ 17-18 წლის დაახლოებით 60 ათასი ახალგაზრდა დარჩება.

სიმონ ჯანაშია



ილუსტრაცია: სიმონ ჯანაშია

2010 წლის 22 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ შემდეგი წლიდან ზოგადი განათლება გადავა ე.წ. ორდონიან სისტემაზე. მისი განცხადებით, ვისაც მხოლოდ ზოგადი განათლების ატესტატი ენდომება, ისწავლის 10 წელს. ათი კლასის შემდეგ ახალგაზრდას ექნება უფლება, გააგრძელოს სკოლაში სწავლა იმისთვის, რომ შემდეგ უმაღლესში მოხვდეს, ან დასაჯერდეს

ათწლიან სასკოლო განათლებას და დაეუფლოს ხელობას.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, მათა მიმინოშვილმა „ინტერპრეს ნიუსთან“ ინტერვიუში განმარტა, რომ ეს არის ბრიტანული სისტემის ანალოგი, რაც გულისხმობს იმას, რომ მე-11-მე-12 კლასებში მოსწავლეები მოემზადებიან მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, ანუ ისწავლიან მხოლოდ ოთხ საგანს. ე.წ. მიმი-

ნოშვილის აზრით, ამ სისტემაზე გადასვლა მოაგვარებს შემდეგ პრობლემებს:

უმაღლესში სწავლის მსურველი ახალგაზრდები, რეპეტიტორების ნაცვლად, სკოლაში ივლიან, რადგან ისინი მხოლოდ ოთხ საგანს ისწავლიან და სკოლა რეპეტიტორის ფუნქციებს შეასრულებს.

გაიზრდება განათლების ხარისხი. გაუმჯობესდება განათლების უწყვეტობა, რადგან მისაღები გამოცდები უმაღ-

ლესზე კი აღარ იქნება მიბმული, არამედ – სკოლაზეც.

მიმინოშვლი ეთანხმება პრეზიდენტის მოსაზრებას, რომ ამ ცვლილების განხორციელება შემდეგი წლიდანვე არის შესაძლებელი.

სამწუხაროდ, არც პრეზიდენტი და არც გამოცდების ცენტრის დირექტორი არ ითვალისწინებენ იმას, რომ სასკოლო სისტემის შეცვლის მთავარი წინაპირობა მისი მიზნებისა და ფუნქციების შეცვლა უნდა იყოს.

როდესაც ასეთი ტიპის ცვლილებაზე გვაქვს საუბარი, მნიშვნელოვანია, რეალისტურად შევაფასოთ მისი თანმდევი რისკებიც. როდესაც ვცდილობთ, რომელიმე არსებულ მოდელზე დაყრდნობით შევიმუშავოთ ჩვენი, საკუთარი მიდგომა, ალბათ ამ მოდელის თანამედროვე ვარიანტიც უნდა განვიხილოთ და არა ის, რომელიც უკვე მოქველბულადაა მიჩნეული.

რა არის ამ ინიციატივაში ჩვენთვის ახალი? 2005 წელს მიღებული ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, ზოგადი განათლების სისტემა თერთმეტიდან თორმეტ წლამდე გაიზარდა. ამ კანონის საფუძველზე, სავალდებულო განათლება ცხრა წელს მოიცავს. ანუ განათლება უკვე ისედაც ორდონიანია. გვაქვს სავალდებულო 9 კლასი და – ნებაყოფლობითი სამი. ახალ ინიციატივაში პოზიტიური ისაა, რომ სავალდებულო განათლება ათწლიანი შეიძლება გახდეს. მაგრამ ნეგატიურია ის, რომ რეალურად ზოგადი განათლება, თორმეტწლიანის ნაცვლად, სწორედ ათწლიანი ხდება. სკოლაში გატარებულ ბოლო ორ წელს, თუკი მოსწავლე ამ დროს მხოლოდ გამოცდებისთვის მომზადებას დაახარჯავს, შეუძლებელია, ზოგადი განათლება დავარქვათ. მით უმეტეს, რომ იმ ოთხ გამოცდაში, რომლებისთვისაც მოსწავლე ამ ორი წლის განმავლობაში უნდა მოემზადოს, ერთი ზოგადი უნარების ტესტია. ანუ გამოდის, რომ მოსწავლე სკოლის ბოლო კლასებში სულ სამ საგანს ისწავლის.

პრობლემას ამძაფრებს ამ ცვლილების ამოქმედების შემდეგ უმაღლესი გამოცდების როლის კიდევ უფრო გაზრდაც. მით უფრო, რომ გამოცდების როლი არსებული სისტემითაც უკვე ზედმეტადაა გაზრდილი: მე-11-მე-12 კლასებში მოსწავლესაც

და მასწავლებელიც სწორედ გამოცდების ტესტების უკეთ დაძლევისთვის საჭირო ვინრო ცოდნისა და უნარების ათვისებაზე არიან გადართული და არა ზოგადი განათლებისა და ფართო კომპეტენციების მიღებაზე.

ახალი სისტემით კი ტესტებისთვის მომზადება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება და 18-დან 16 წლამდე იკლებს იმ მოსწავლეთა ასაკიც, რომლებიც ამ ტესტებისთვის ემზადებიან. ანუ გამოდის, რომ ამ ტესტების თანხმლები უარყოფითი გავლენა უკვე მე-9-მე-10 კლასების მოსწავლეებზეც გადავა.

ქალბატონ მაია მიმინოშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რეპეტიტორს სკოლა ჩანაცვლებს, არანაირი საფუძველი არ აქვს. მოსწავლეები იმის გამო არ დადიან რეპეტიტორთან, რომ მათთვის პრობლემა ბოლო კლასებში ბევრი საგნის სწავლის ვალდებულებაა. ამ დროს მათ ორი ძირითადი მიზანი ამოძრავებთ:

ა) მიიღონ პერსონალიზებული წვრთნა, ანუ ისეთი სურვისი, რომელიც ინდივიდუალურად მათ საჭიროებებზეა მორგებული.

ბ) მიიღონ დამატებითი წვრთნა და მეტად დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ უმაღლესში ადგილებისა და სასწავლო გრანტის მოსაპოვებელ კონკურსში სხვას აჯობებენ.

შემოთავაზებული პროექტი კი არ პასუხობს მოსწავლეთა ამ ინტერესებს. საგნების რაოდენობის შემცირება სულაც არ ნიშნავს სწავლის პროცესის პერსონალიზაციას. ეს არ ნიშნავს არც იმას, რომ მოსწავლეებს რეპეტიტორებთან სიარულის სურვილი გაუქრებათ, რადგან მათ არ ექნებათ გარანტია, რომ უმაღლესში მოსახვედრად კონკურენტებზე უკეთ იქნებიან მომზადებულები, მით უფრო, რომ უმაღლესში მოსახვედრად ტესტის ქულა ერთადერთი საზომია.

ზოგადად, საქართველოს განათლების პოლიტიკის დღევანდელი ტენდენციები სწორედ სწავლის პერსონალიზაციის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს. ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებების მიხედვით, უფრო მეტად სტანდარტიზირებული ხდება სასწავლო პროცესი (შეფასების სისტემიდან დაწყებული სწავლების შინაარსით და საშუალებებით დამთავრებული),

რაც კიდევ უფრო ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა, რომ სკოლამ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები და საგანმანათლებლო კონტექსტი გაითვალისწინოს. სასწავლო გეგმის გარდა, სტანდარტიზაციის მთავარი ლოკომოტივია ყველა საგანმანათლებლო სისტემაში სტანდარტიზირებული ტესტები და გამოცდები.

აქვე ჩნდება კითხვა – კი მაგრამ, მაშინ ბრიტანელებს რატომ აქვთ ასეთი ცუდი სისტემა? სინამდვილეში ბრიტანულ მოდელს პრეზიდენტისა და გამოცდების ცენტრის დირექტორის ინიციატივა მხოლოდ ზედაპირულად ჰგავს. ბრიტანული მოდელი სულაც არ გულისხმობს სკოლის ბოლო ეტაპზე შესასწავლი საგნების ოთხამდე დაყვანას. იქ მოსწავლეები მე-12-მე-13 კლასებში იღებენ სპეციალურ სერტიფიკატს, რისთვისაც ისინი სწავლობენ ორდონიან საგნებს. პირველ წელს საგნებს უფრო ზოგად ჩრილში სწავლობენ, ხოლო მეორე წელს შედარებით სიღრმისეულად. იმისთვის, რომ ეს შესაძლებელი იყოს, მოსწავლეებს აქვთ საშუალება, დაახლოებით 80 საგნიდან მათთვის სასურველი აირჩიონ. ამ საგნებს შორისაა სოციოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია, მუსიკა, ფიზიკური აღზრდა და სხვა. ბრიტანელი მოსწავლეები გამოცდებიდანაც ნაწილს სკოლაშივე აბარებენ, ნაწილს კი – სხვადასხვა ორგანიზაციიდან სასურველში.

კომპლექსური და მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, ბრიტანეთში ეს სისტემა არ მოსწონთ და ამიტომ მას ცვლიან. სისტემა არ მოსწონთ, რადგან სავალდებულო 11 წლის შემდეგ მოსწავლეების დაახლოებით 25 პროცენტი ბოლო საფეხურზე სწავლას აღარ აგრძელებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მრავალი ახალგაზრდა უერთდება სამუშაო ბაზარს სავალდებულო განათლების მიღების შემდეგ. ამის გამო, 2013 წელს ბრიტანეთში დაგეგმილია სავალდებულო განათლების ხანგრძლივობის გაზრდა 13 კლასამდე.

თუ ბრიტანელების ანალოგიურ პრობლემებს ჩვენთანაც წინასწარ გავთვლით, შემდეგ სურათს მივიღებთ:

დღეს უმაღლესი განათლების მისაღებ კონკურსში სკოლადამთავრებულების 50 პროცენტზე ნაკლები მონაწილეობს. სა-

ვალდებული განათლების მიღების შემდეგ, მე-10-მე-12 კლასებში კი მოსწავლეების თითქმის 100 პროცენტი აგრძელებს სწავლას. პრეზიდენტისა და გამოცდების ცენტრის დირექტორის ინიციატივის მიხედვით, თუ მხოლოდ ის ისწავლის ბოლო ორ კლასში, ვისაც შემდეგ უმაღლესში მოხვედრა უნდა, დღევანდელი სიტუაციით, დაახლოებით სამოცი ათასი 17-18 წლის მოსწავლე სკოლის გარეთ დარჩება. სახელობო განათლებას ჩვენთან არც პრესტიჟი აქვს და არც სათანადო ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, სამუშაო ბაზარსაც ორი წლით ნაკლები განათლებამიღებული ახალგაზრდების მთელი ჯარი შეუერთდება. ეს კი, ცხადია, უარყოფითად იმოქმედებს ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებაზე.

ვიფიქრობ, თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ ბრიტანულ მოდელზე გადასვლა მრავალი წლის განმავლობაშიც საკმაოდ პრობლემურია. გამოცდებისა და საგნების რაოდენობის დაწესება საკმარისი არ არის. უნდა შეიცვალოს განათლების სისტემის მიზნები, დაინერგოს ახალი სასწავლო გეგმა ყველა კლასისთვის. ნამდვილად ბრიტანულ მოდელზე გადასვლას თუ ვცდით, ბრიტანელების მსგავსად, მოსწავლეების სისტემაში ჩართულობის, სწავლების პერსონალიზაციის, შედეგზე ორიენტირებულობის გაზრდაზე უნდა ვიფიქროთ და არა – ხელოვნური ბარიერების, სტანდარტიზებული ტესტებისა და სტანდარტული რუტინების სასწავლო პროცესში დანერგვაზე.

ჩვენმა სახელმწიფომ ერთხელ უკვე თქვა მსგავს სისტემაზე უარი. შევარდნადის მთავრობა და გამოცდების ცენტრი (რომლის ხელმძღვანელობა დღემდე უცვლილია) ამზადებდა მეცხრე კლასის გადასაყვან გამოცდებს და ყველა პირობას ქმნიდა იმისთვის, რომ ნაკლები მოსწავლე გადასულიყო ბოლო საფეხურზე. «ვარდების რევოლუციის» შემდეგ ჩაითვალა, რომ მეტი ადამიანის და უფრო ხანგრძლივი განათლება ერთ-ერთი საუფუძველი უნდა გამხდარიყო ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლისთვის. იმედი მაქვს, რომ ეს მიზნები კვლავაც აქტუალურია. **■**

სსოველთა უფლებები

# ბედუ და სხვა ტყვე დათვები

ტყვეობაში დარჩენილი დათვებისთვის საქართველოში არც თავშესაფარი არსებობს და არც – ველურ ბუნებაში დაბრუნების შანსი.

თემო ბარძიმაშვილი



ტყვე დათვი სოფელ ფონიჭალასთან

რუსთავის გზატკეცილზე, თბილისს რომ გასცდებით და სოფელ ფონიჭალასთან მარცხნივ გადაუხვევთ, პარკის ჭიშკარს დაინახავთ. პარკი კერძოა, შესვლა – ფასიანი. პარკის ერთ ბოლოში პატარა წყალსატევია მოწყობილი. აქ ძირითადად სათევზაოდ მოდიან.

პარკში შესვლისთანავე მეთევზეები საქათმისხელა გალიას ჩაუვლიან ხოლმე, რომელშიც დათვია დამწყვდეული. მეთევზეები

დათვს შეძახილით მიესალმებიან და გზას განაგრძობენ, დათვი კი მათ თვალს გააყოლებს – უკანა გზაზე, შესაძლოა, მას თევზით გაუმასპინძლდნენ.

გალიის ბინადარ დათვ ბალუს აზრადაც არ მოსდის, რომ საკვების მოპოვება სხვანაირადაც შეიძლება. თავისი ცხოვრების 7 წლის განმავლობაში მას ტყე თითქმის არ უნახავს.

ბალუ ორიოდვე თვის იყო, როდესაც პარკ-



ტყვე დათვი სოფელ ნატახტართან

ფოტო: თემო ბაქრაძე/ეპიკო

ში მიიყვანეს. როგორ მოხვდა აქ, პრაქტიკულად არავის ახსოვს, მაგრამ პარკის მომვლელი ზვიად ფანგანი ამბობს, რომ აქ წლების წინ რესტორნის აშენებას გეგმავდნენ და, როგორც ეს მიღებულია საქართველოში, რესტორანს დათვი მოუყვანეს. „ალბათ კლიენტების მოსაზიდად“, – ამბობს ზვიად ფანგანი. „თუმცა მე მგონი, პირიქითაა – დათვი ხალხს აფრთხობს. ჰიგიენას რესტორნებში ნაკლებად იცავენ. კი, წმენდენ გალიებს, მაგრამ მაინც არაა საკმარისი“.

საქართველოში მგზავრობისას რესტორნებსა და ბენზინგასამართ სადგურებთან მართლაც ხშირად შეხვდებით გალიებში დამწყვდეულ დათვებს. რესტორნის სტუმრები გალიების ფონზე სურათებს იღებენ. ბავშვები მათთან მიახლოებას ცდილობენ, მაგრამ მშობლები უბრაზდებიან და ისინიც, ხან დათვის და ხანაც მშობლების შიშით, უკან იხევენ.

რესტორნებთან დათვების გალიაში ჩასმის ტრადიცია საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბეჭიდდა. ეს კი ძირითადად უკანონო ნადირობის მასშტაბების ზრდამ გამოიწვია.

სოფელ ნატახტართან, ერთ-ერთ რესტორანში ერთი წლის ბელი მას შემდეგ მოხვდა, რაც მონადირემ დედა დათვი მოკლა, თვითონ ბელი კი სახლში წამოიყვანა. ცოტა ხნის მერე, როდესაც მონადირე მიხვდა, რომ დათვს ველარ მოუვლიდა, თავის ნათესავს და რესტორნის ერთ-ერთ მფლობელს, მამუკა უნდელაშვილს მიაბარა. უნდელაშვილმა ბელი სისხარულით მიიღო, ბალუ დაარქვა და „500 დოლარის ღირებულების“ გალიაც აუშენა. როგორც უნდელაშვილი ამბობს, რესტორანში დათვი კლიენტების მოსაზიდად კი არ ჰყავს, არამედ იმიტომ, რომ ბელს სხვაგან წასვლის საშუალება არ აქვს. „ხალხს იმდენად შეეჩვია, ახლა ეს ტყეში რომ აღმოჩნდეს, ვილაცამ შეიძლება მოკლას კიდევ, მინდა ახლა მე ეს? ადამიანი ვარ, მხეცი ხომ არა!“ – ამბობს უნდელაშვილი, და იქვე გალიასთან ბალუს თათის გადანევაში ეჯობრება. ზოგჯერ რესტორნის სხვა მეპატრონეები ნასვამები მოდიან, დათვს ეჭიდავებიან, „შენ გენაცვალეს“-აც დააყოლებენ ხოლმე, თითქოს მათი საყვარელი შინაური ცხოველი იყოს.

ტყვე დათვები მთელი ევრაზიის კონტინენტის პრობლემაა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ინდოეთის, სადაც ე.წ. „მოცეკვავე დათვების“ ტრადიცია დღემდე შემორჩენილი. იქ რამდენიმე თვის ბელებს იჭერენ, ზრდიან, და შემდგომ ტურისტების მისაზიდად იყენებენ.

როდესაც დათვს 6 თვე უსრულდება, მეპატრონე გაგარვარებული ნემსით დრუნჩს უხერვტს, შემდეგ კი მასში თოკს უყრის. დამატებითი ცემით და შიმშილობით დათვი მალე სწავლობს, თუ ვინ არის მისი პატრონი, რომელიც თოკის მეშვეობით დათვს თავისუფლად აკონტროლებს. სანახაობის გამართვისას ასეთ დათვს უკანა თათებზე დადგომას და აქეთ-იქით ბაჯბაჯს, ანუ „ცეკვას“ აიძულებენ. ერთი წლის ასაკში, შესაძლო უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, დათვებს ზოგჯერ წინა ეშვებსაც უხერვვენ, მამრებს კი კოდავენ.

ერთი შეხედვით, საქართველოში პრობლემა ასე მწვავედ არ დგას. დათვებს აქ ატრაქციონის მიზნით ნაკლებად იყენებენ, სახლშიც ძირითადად სიბრაულის გამო მიჰყავთ.



თბილისის ზოოპარკი

ფოტო: თეიმურაზ ბაქრაძე

ამ მოსაზრებას იზიარებს ბიომრავალფეროვნების, კონსერვაციისა და კვლევის არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES-ის სპეციალისტი ირაკლი შავგულიძე. მისი თქმით, გასული წლების განმავლობაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც რესტორნის მეპატრონე 100-200 ლარად ბელს მონადირეებს თვითონ უკვეთავდა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო. ძირითადად კი, ძველი სცენარი მეორდება: მონადირე კლავს დედა დათვს, ობლად დარჩენილი ბელები ეცოდება და სახლში მოჰყავს, ცოტა ხანში მათ გააჩუქებს ან რესტორნის მეპატრონეს მიჰყიდის.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გარეულ ცხოველებს დატყვევებისგან კანონმდებლობა იცავს. კანონი საქართველოშიც არსებობს. დატყვევების შემთხვევაში, იგი ცხოველის კონფისკაციას ითვალისწინებს. მაგრამ სიტუაცია რთულდება მაშინ, როცა ტყვეობიდან წამოყვანილი დათვის ველურ ბუნებაში გაშვება აღარ შეიძლება. ასეთ შემთხვევაში, ის უნდა მოთავსდეს სპეციალურ თავშესაფარში. თავშესაფარი შემოღობილი ტერიტორიაა, სადაც დათვები შედარებით თავი-

სუფლად სეირნობენ, მათ კარგად უვლიან და კვებავენ.

იმ შემთხვევაში, თუ დათვმა არც ისე დიდი დრო გაატარა ადამიანების გვერდით, მისი ბუნებაში დაბრუნება შეიძლება, მხოლოდ იმ პირობით, თუ ველურ გარემოს ნელ-ნელა შეაჩვევენ. „ასწავლიან“ დამოუკიდებლად ნადირობას და გაუშვებენ ადამიანთა დასახლებებიდან მოშორებულ ადგილას. ყველა ამ პირობის შესრულება კი საკმაოდ რთულია. „რუსეთში არის ამის მაგალითი, – ამბობს ირაკლი შავგულიძე, – იქ ჩამორთმეული დათვები რეაბილიტაციის კურსს გადიან და მერე მათ დასახლებებიდან შორს უშვებენ. საკითხავი ისაა, თუ რამდენ ხანს ცოცხლობენ ისინი ასეთ პირობებში, რადგან შემდეგ მათ არავინ აკვირდება. თუმცა, საქართველოში ეს მეთოდიც კი ვერ იმუშაავებს, ჩვენ არ გვაქვს იმდენი უეცარი ტერიტორია“.

საქართველოში არა მხოლოდ ველურ გარემოში გაშვების, არამედ დათვის ჩამორთმევის და თავშესაფარში ჩაბარების ფუფუნებაც არაა. ამგვარი თავშესაფრები უბრალოდ არ არსებობს.

ამის გამო, საქართველოში მეპატრონეებს ტყვე დათვებს არ ართმევენ. კონფისკაცია გარემოს დაცვის ინსპექციას ევალება. დღეს გალიას სულ რამდენიმე დათვმა დააღწია თავი და ახლა შედარებით ფართო ვოლიერში ცხოვრობენ. თავშესაფარი მათ თბილისის ზოოპარკმა მისცა, სადაც იქ უკვე მყოფ 6 დათვს კიდევ 11 დაემატა. ზოოპარკის დირექტორის, ზურაბ გურიელიძის განმარტებით, ზოოპარკმა ისინი თავიდან დროებით შეიფარა, თუმცა უკვე რამდენიმე წელია, რაც ეს „შტატგარეშე“ დათვები ზოოპარკში ცხოვრობენ.

ზურაბ გურიელიძის თქმით, თერთმეტიდან 7 დათვი ზოოპარკს დათვების საერთაშორისო ფონდმა (IBF) ჩააბარა იმ პირობით, რომ რამდენიმე თვეში მათ სხვაგან გადაიყვანდნენ. IBF-ს საქართველოში დათვთა თავშესაფარი უნდა აეშენებინა. 2008 წელს ორგანიზაციას პროექტისთვის მოპოვებული თანხა დაუმთავრდა და საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა. ზოოპარკისთვის დროებით გადაცემული 6 დათვი კი ზოოპარკს შერჩა.

ზოოპარკში მოხვედრილი დანარჩენი


ოთხი დათვი კი კერძო მეპატრონეებს ჩამოართვეს. „ერთი პატრულმა მოიყვანა. ვილაც ბიჭს თავისი შეყვარებულისთვის უჩუქებია, თბილისის ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოში დაუბამს, მერე კი გოგოს შეშინებია, – აღარ მინდაო. ეგეც აქ მოიყვანეს“.

თუმცა თავშესაფრების შენებაც არაა გამოსავალი. ირაკლი შავგულიძე იხსენებს თურქეთის მაგალითს. რამდენიმე წლის წინათ იქ დათვების თავშესაფარი აშენდა, რომელიც ქვეყანაში პრაქტიკულად ყველა დატყვევებულ დათვს დაიტევდა. მაგრამ როგორც კი დათვები მეპატრონეებს ჩამოართვეს და თავშესაფარში გადაიყვანეს, ცოტა ხანში ბევრმა ძველმა მეპატრონემ ახალი დათვი გაიჩინა.

„ხალხის შეგნების გარეშე თავშესაფრები არაფრის მომტანია. ამიტომ საჭიროა მოსახლეობის განათლება, თუ რატომაც ცუდი დათვის გალიაში დამწყვდევა, – ამბობს ირაკლი შავგულიძე. – ამის გარეშე დათვი გამოუვალ მდგომარეობაში ხვდება: ტყეში მას ვერ გაუშვებ, თავშესაფრები კი მალე გადაიყვება. ამ დროს ერთადერთი გამოსავალი ევთანაზიაა“.

ამ უკიდურეს მეთოდს ზოგიერთი დათვის პატრონი უკვე იყენებს. ორიოდ წლის წინათ საჩხერის გზის გაყოლებაზე მდებარე თითქმის ყველა სახაჭაპურესთან ნახავდით დათვიან გალიას. ახლა მხოლოდ ერთიღა შემორჩა იქაურობას. ამ დათვის მეპატრონე იური გელაშვილი ამბობს, რომ სახაჭაპურეებიდან დათვები სწორედ მაშინ გაქრა, როცა პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ დათვების უკანონოდ ყოლასთან დაკავშირებით ზომებს მიიღებდა. „მე მაინც დავიტოვე, მეთქი რა უნდა მიქნან. და აგერ, არც არავინ არაფერი მიქნა“, – ამბობს გელაშვილი.

ამავე გზაზე მდებარე სხვა სახაჭაპურის მფლობელი ლერი კი დასძენს: „დათვები სად გაქრნენ? ჩააბარეს თავიანთმა პატრონებმა, აბა ტყეში ხომ არ გაუშვებდნენ – იქ ვინმე მოკლავდა. თუმცა რაღა ჩააბარეს... დაკლეს და შეჭამეს. აქ ამის წინ ქორწილი იყო, ჰოდა, ერთი დათვი ქორწილისთვის დაკვალათ“.

არასამთავრობო ორგანიზაციების 2007 წლის მონაცემებით, საქართველოში 30-40 ტყვე დათვი იყო. მას შემდეგ გალიაში გამოწყვდეული დათვების დათვლაზე აღარავის უზრუნია. 

## "უახიოთელი ბამონათქვაების" მიღმა

ნინია კაკაბაძე



არ ვიცი, როგორ უნდა დაიწყოს საუბარი იმაზე, რომ ქვეყნის პრეზიდენტი საჯაროდ, პირდაპირ ეთერში (და, სხვათა შორის, არც პირად საუბრებში) არ უნდა ამბობდეს სიტყვებს „ველური ზანგები“. რამდენადაც უნდა ეცადონ მის გამართლებას, ზედმეტია, იმის განმარტება, რომ პრეზიდენტი ქვეყნის სახეა, ის საქართველოს მოსახლეობის 53-მა პროცენტმა აირჩია და გამოდის, რომ ეს ხალხი და არამხოლოდ, მისი თანამოაზრეა და მსგავს გამონათქვამებს ხმარობს – რაც ცალსახად გაუმართლებელია.

„საქართველოს პრეზიდენტის პრეს-სამსახური წუხს, რომ მიხეილ სააკაშვილის წარმოთქმულ ქართულ გამონათქვამს, რომელიც, როგორც წესი, არ

გამოიყენება და არც ამ შემთხვევაში ყოფილა გამოყენებული რასობრივ კონტექსტში, ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ შეგნებულად მიეცა არასწორი ინტერპრეტაცია და რასობრივი კონოტაცია“, – ნათქვამია პრეზიდენტის პრეს-სამსახურის განცხადებაში.

„ქართული გამონათქვამი“ „ველური ზანგები“ პრეზიდენტის უფლებადამცველების მიერ იდიომურ გამონათქვამად შეფასდა. საინტერესოა, იდიომას განმარტება. „იდიომა – [ბერძ. idioma] – ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუშლელი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემაღვენილი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. მაგ. ქართული გამოთქმები:

სიტყვას ბანზე ააგდებს, ტანს აიყრის და მისთ“. – უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

დიახ, როგორც ადამიანი ვერ ამოიღებს ფიზიკურად სიტყვას და ვერ ააგდებს სახლის ბანზე, არც პარკეტია ადამიანის სხეული, რომ აყარო, ასევე ვერ იქნება ქართველისთვის შავკანიანი ველური. რასაკვირველია, ეს „სიტყვის ბანზე აგდება“, „ტანის აყრა“ და „ველური ზანგი“ იდიომური გამონათქვამებია, რომელთა მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების ჯამს.

გაცილებით უკეთესი გამართლება მოძებნა სიღვიო ბერლუსკონიმ, როდესაც ბარაკ ობამას „მაღალი, ლამაზი და გარუჯული კაცი“ უწოდა. ვინც არ მეთანხმება ამ შეფასებაში, ის იდიოტიაო, – თქვა ბერლუსკონიმ. მსგავსი შემთხვევა იყო პოლონეთში, როდესაც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „გსმენიათ იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, ბარაკ ობამას პოლონელებთან ნათესაური კავშირი აქვს? მისმა კენიელმა ბაბუამ პოლონელი მისიონერი შეჭამა!“ იმავე დღეს რადეკ სიკორსკის პრესმდივანმა განცხადება გააკეთა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის ხუმრობა არ იყო რასისტული ხასიათის. ამ ნათქვამით მან მხოლოდ „რასისტული ხუმრობის მაგალითი მოიყვანა“. საბედნიეროდ, მიხეილ სააკაშვილის განცხადება ბარაკ ობამას პირდაპირ არ შეეხებოდა და თანაც „იდიომური“ იყო, როგორც ერთხელ აკაკი ასათიანმა კონდოლიზა რაისზე თქვა: „ისე გაუკვირდა, რომ ქალი გათეთრდაო“.

სამწუხაროდ, ქართულ ტელემედიაში პოლიტიკოსებისაგან, ტელეხუმარებისაგან თუ ჟურნალისტებისაგან წარმოთქმული მსგავსი გამონათქვამების დეფიციტი ნამდვილად არ არის, მაგრამ ჯერ არც ერთხელ ყოფილა იმის პრეცედენტი, რომ „განმცხადებელმა“ ალიაროს დაშვებული ვერბალური შეცდომა და საჯაროდ მოიხადოს ბოდიში.

ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში საჯაროდ გაკეთებულ რასისტულ გა-

მონათქვამზე საზოგადოება რეაგირებს და შედეგად „განმცხადებელი“ ან თავს იმართლებს, ან ბოდიშს იხდის. ჟურნალისტებს და მედიის წარმომადგენლებს ამგვარი შეცდომები არ ეპატიებათ და ისინი უმეტეს შემთხვევაში სამსახურის გარეშე რჩებიან.

მაგალითად, ვანო ჯავახიშვილი ვერც ერთი განვითარებული ქვეყნის წამყვანი იუმორისტი ვერ იქნებოდა. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით არის. რამდენიმე წლის წინათ თენგო გოგოტიშვილი მათა ასათიანის გადაცემაში – „პროფილი“ – დაღუპული მეგობრის გახსენებისას ერთ ისტორიას მოჰყვა. მისი მეგობარი ტელეკამერით ხელში პარიზის ქუჩებში მანიფესტაციას იღებდა, სადაც, გოგოტიშვილის თქმით, ნამდვილი ფრანგი მხოლოდ 5 პროცენტი თუ იქნებოდა, ძირითადად, „მაროკოელი, შავკანიანი და ათასი ჯურის ხალხი“ ყოფილა. ხალხმრავალი მანიფესტაციიდან უვნებლად გამოსულ ოპერატორს გოგოტიშვილი ამ სიტყვებით

მიანის, არამედ ქართული საზოგადოების პრობლემაა.

საქართველოში პრეზიდენტის რასისტულ (ქართულ, იდიომურ) გამონათქვამზე ყველაზე ხმამაღლა და ბევრს ის მედიასაშუალება, პოლიტიკოსი თუ საზოგადოების წევრი ილაპარაკებს, ვისი საუბარიც სავსეა არმენოფობიური, ჰომოფობიური და რასისტული გამონათქვამებით. ქართულ რეალობაში, უმეტესწილად, არა მაგალითად რასიზმის წინააღმდეგ, არამედ კონკრეტული ადამიანის, ამ შემთხვევაში სააკაშვილის წინააღმდეგ იბრძობებენ და ამ გამონათქვამს სპეკულაციის იარაღად აქცევენ. ყვითელი ბეჭდური მედია, რომლის ფურცლებიც მუდმივად სავსეა ფაშისტური, ამორალური და ქსენოფობიური გამონათქვამებით, დღეს შავკანიანთა დამცველი გახდა. ამის შედეგად კი ნებისმიერი იდეის დისკრედიტაცია ხდება.

ნებისმიერი ქართველისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ უძველესი ევრო-

## ■ ნებისმიერი ქართველისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ

უძველესი ევროპელია (მზიას და ზეზვას შთამომავალი), მისთვის განსხვავებული მუდმივად ველური იქნება.

შეხვდა: „ბიჭო, რამ შეგიყვანა იმ მაიმუნების ხროვაში?“ შემდეგ დარბაზს მიუტრიალდა და დაუკონკრეტა, – „მართლაც სამინელი ხალხი იყო“. ამ შემთხვევაში ხომ პრობლემა არა მხოლოდ თენგო გოგოტიშვილია, არამედ სატელევიზიო სტუდიაში მსხდომი აუდიტორია, რომელიც ამ „სასაცილო“ ამბავს მხურვალე ტაშს უკრავს და თავად გადაცემის ავტორი, რომელსაც თავში არ მოსდის, რომ გადაცემის მონტაჟისას (რომელიც ჩანაწერის სახით გადის ეთერში) ეს „ხატოვანი“ ნაამბობი ამოჭრას. ზედმეტი იქნება მოგვეთხოვა, რომ სტუდიაშივე, ჩანერის დროს გააპროტესტოს მსგავსი რიტორიკა. ეს პატარა მაგალითია იმისა, რომ რასიზმი არა ერთი ადა-

პელია (მზიას და ზეზვას შთამომავალი), მისთვის განსხვავებული მუდმივად ველური იქნება. ეს „ტოლერანტი“ ქართველის ნამდვილი სახეა, რომელთა შორის ძალიან ცოტა ტოლერანტია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ იდეებისთვის ბრძოლა ე.წ. „მიმისტებსა“ და „ანტიმიმისტებს“ შორის მიდის, ერთნი იდიომურ გამონათქვამს ქართული ჟურნალისტიკის უმეტესობას აბრალებენ, მეორენი კი სააკაშვილის რასიზმს ამტკიცებენ. მათი რიცხვი კი ძალიან ცოტაა, ვისაც არ უნდა და რცხვენია, რომ მისი ქვეყნის პრეზიდენტი საჯარო გამოსვლისას პირდაპირ ეთერში რასისტულ გამონათქვამს ხმარობს. ■

# შუალამის ჰაიზში, ზაჩნა ბჰუნისთან ერთად

საფრანგეთის პირველი ლედი – ვუდი ალენის ახალი მუზა.

დავით ბუხრიკიძე



კარლა ბრუნი ფილმ „პარიზი შუალამისას“ გადასაღებ მოედანზე, პარიზი 2010

საფრანგეთის პირველი ლედისა და ყოფილი მოდელის, კარლა ბრუნის კინოდებიუტმა ცნობილი ამერიკელი რეჟისორის, ვუდი ალენის ახალ, ლირიკულ კომედიაში პრესისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ასობით ადამიანი შეიკრიბა 28 ივლისს სენ-ჟერმენის ბულვარის მახლობლად, სადაც ვუდის ალენის ფილმის – „პარიზი შუალამისას“ – გადაღებები მიმდინარეობდა. მეორეხარისხოვან პერსონაჟს, ხელოვნების მუზეუმის კურატორს, სწორედ კარლა ბრუნი განასახიერებს. თუმცა, როგორც ჩანს, მას ჯერ კიდევ დიდი ჯაფა მოუწევს, რომ კამერის წინ ბუნებრივი იყოს.

ფრანგული პრესა ირონიით წერს, რომ „ეპიზოდს, როდესაც კარლა ბრუნის პერსონაჟი „ბაგეტს“ ყიდულობს, 30-ზე მეტი დუბლი დასჭირდა“. ყოფილი ფოტომოდელი და ცოტათი პოპ-

მუსიკაში განაფული კარლა ბრუნი (მან სიმღერების ორი ალბომის ჩანერაც მოასწრო) განუწყვეტილ კამერაში იყურებოდა და ცდილობდა, იმაზე მეტი „ეთამაშა“, ვიდრე მისი პერსონაჟი იმსახურებდა, ანუ უბრალოდ „ბატონი“ ეყიდა.

გამვლელებისა და ჟურნალისტების ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ პრეზიდენტის დაცვამ ქუჩა გადაკეტა. თავად ნიკოლა სარკოზი შორიახლო იმყოფებოდა და თვალს ადევნებდა ჯინსებსა და უბრალო სვიტერში გამოწყობილი, 42 წლის მშვენიერი მეუღლის დამლელ და ხუთსაათიან „გარჯას“ – ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა ერთი ეპიზოდის გადაღებას ჰოლივუდელი ვარსკვლავის, ოუენ უილსონის თანხლებით (იგი ფილმში მთავარ როლს ასრულებს). გარდა ამისა, „პარიზი შუალამისას“ მთელი თანავარსკვლავედის-

გან შედგება: მაიკლ შინი, კეტი ბეიტსი, რეიჩელ მაკ ადამსი, ედრიან ბროუდი, ელზა პატაკი.....

რაც მთავარია, კარლა ბრუნის ეპიზოდურმა როლმა ვუდი ალენის ფილმში ერთგვარად დაჩრდილა ფრანგული კინოს ვარსკვლავი მარიონ კოტიარიც, რომელიც ფილმში ასევე მთავარ როლს ასრულებს. მაყურებელს იგი, შესაძლოა, ახსოვს ედიტ პიაფისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ფილმიდან „გარდისფერი ცხოვრება“ („ოსკარი“ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის).

გასაგები მიზეზების გამო, პრესა ძირითადად კარლა ბრუნის პერსონაჟზე წერს: რომ ის ერთი უსიტყვო და მორცხვი ქალია, მუზეუმის კურატორი, და ცხადია, შესანიშნავად ერკვევა თანამედროვე მხატვრობაში; რომ კოსტიუმს ყველა ეპიზოდში იცვლის, ხოლო სადღაც ფინალში სიგარეტსაც ეწევა....

მოკლედ, პიარ-ტექნოლოგიები არა მარტო მედიით „გაცვეთილ“ და მომაბეზრებელ პოლიტიკოსებს, არამედ ხანში შესულ რეჟისორებსაც სჭირდებათ. და მაინც, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ვუდი ალენის ბოლოდროინდელ მუზეებს – სკარლეტ იოჰანსონსა და პენელოპა კრუსს, მოულოდნელად საფრანგეთის პირველი ლედი შეცვლიდა. სიმართლე მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ეს კარლა ბრუნის დებიუტი არ არის კინოში. დაახლოებით 10-12 წლის წინ შესანიშნავმა ამერიკელმა რეჟისორმა, რობერტ ოლტმანმა ფილმში „მაღალი მოდა“ ახალგაზრდა მოდელი კარლა ბრუნი გაცილებით პატარა ეპიზოდში გადაიღო. ასე რომ, „პარიზი შუალამისას“ მისი მეორე და უფრო სერიოზული კინოგაეგვებაა. ■



# ეცონ ჯონი "სსოვნიცის ფეხმაში"

ცნობილი ანტიუტოპიური რომანი მიუზიკლის ენაზეც აჟღერდება.

## დავით ბუხრიკიძე

ერთ დროს წარმატებული მიუზიკლების შემდეგ („მეფე ლომი“ და „ბილი ელიოტი“) ცნობილმა პოპ-მუსიკოსმა ელტონმა ჯონმა ისევ მოიცალა ჭირვეული, მაგრამ საყვარელი ჟანრისათვის. არც მეტი, არც ნაკლები, ამჯერად მისი მუსიკალური ინტერესი ცნობილი მწერლის ჯორჯ ორუელის პოლიტიკურ, უფრო ზუსტად ანტიუტოპიურ რომანს „ცხოველების ფერმას“ გადასწვდა. ასე რომ, მომავალი წლის ნოემბრის ბოლოს ლონდონში ელტონ ჯონის ახალი და პოლიტიკური შეფერილობის მიუზიკლის პრემიერა გაიმართება.

ტექსტისა და სცენური კომპოზიციის ავტორია ნიჭიერი მწერალი და პუბლიცისტი ლი ჰოლი, რომელთანაც მუშაობის გამოცდილება ელტონ ჯონს უკვე აქვს. ერთად მათ შექმნეს შესანიშნავი და ფინანსურად წარმატებული

მიუზიკლი „ბილი ელიოტი“, რომელმაც 2009 წელს ათ სხვადასხვა ნომინაციაში პრესტიჟული თეატრალური პრემია „ტონი“ დაიმსახურა. როგორც პოლმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ცხოველების ფერმა“ თითქმის იდეალურად შეიძლება მოერგოს სცენურ გარემოს, ისე, რომ არ დაიკარგოს არც წანარმოების იგავურობა, არც მუსიკალური ენა და არც პოლიტიკური სატირა“.

ელტონ ჯონი მიუზიკლის დასრულებას დაახლოებით წელიწად-ნახევარში გეგმავს. მისი პირობაა, რომ უკვე მუსიკის შექმნისას ტექსტი მზად იყოს. სწორედ ამის შემდეგ შეუდგება იგი ცალკეულ მუსიკალურ ნომრებსა და არიებზე მუშაობას. ისე, ნამდვილად საინტერესოა, როგორ ამღერდებიან სერ ელტონ ჯონის მიუზიკლში ჯორჯ ორუელის პრივილეგირებული და ცბიერი ლორები (ანუ პარტიული ელიტა),

დაუნდობელი ძაღლები (პოლიციელები), მუდამ მორჩილი და თვინიერი ცხვრები (ამომრჩეველები) ან შრომით გატანჯული ცხენები (მშრომელი საზოგადოება).

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირში სასტიკად აკრძალული, მაგრამ იატაკქვეშ პოპულარული „ცხოველების ფერმა“ ტოტალიტარული სისტემის ანალიზიცაა და განაჩენიც. წარმატებას, ორუელის აზრით, ყოველთვის აგრესიულები და ძლიერები აღწევენ, რომლებიც გარემო ადვილად დამყოლ და სასტიკ თანამებრძოლებს იკრებენ... და, რაც მთავარია, თავიანთი დემაგოგიით ისინი ყველაზე გულუბრყვილო და პასიურ ადამიანებს იმორჩილებენ.

ცხადია, წლებისა და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემების დაშლის შემდეგ ამ წანარმოების მუსიკალურ-სცენური ვერსია სრულიად სხვაგვარი იქნება. თუმცა, ინტრიგა მაინც ძალაშია: როგორ გადაიტანს მუსიკალურ ენაზე კომპოზიტორი ისეთ ცნობილ ფრაზებს, როგორცაა – „ყველა ცხოველი თანასწორია, მაგრამ ზოგი ცხოველი უფრო თანასწორია, ვიდრე სხვები“. ან, „ჩვენი ნაპოლეონის ხელმძღვანელობით ხუთ დღეში ექვსი კვერცხი დავდეთ“?!

სერ ელტონ ჯონს ტოტალიტარული გამოცდილება ნამდვილად არა აქვს. არც „ლორების“ გარემოცვაში უცხოვრია და არც – „ცხენების“. სამაგიეროდ, სამბას კარგად იცნობს „მეფე ლომიდან“. ასე რომ, „ცხოველთა ფერმაში“, წესით, ყოველგვარი შიშისა თუ ფობიების გარეშე უნდა შეაბიჯოს და კარგი მუსიკაც დაწეროს; უკან, „ფერმაში“ დაბრუნების სურვილი რომ არასდროს გავგიჩნდეს. ■



# ქართული ხალხი სიყაჩაღის წინააღმდეგ!



გიორგი გვაზარია, რადიო „თავისუფლება“

აკადემიაში სწავლა ყოველთვის ტკბილად მახსენდება. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს (ჩემგან), ყველაზე უარგად პედაგოგებს ვიხსენებ. განსაკუთრებით ლეო რჩეულიშვილს – საყვარელ და თბილ მოხუცს, რომელიც ქართული არქიტექტურის ისტორიის კურსს გვიკითხავდა; განუწყვეტილად გვიმეორებდა, ზომიერება ჩვენი კულტურის ძირძველი სახეა, ქართული ძეგლი რუსულისგან და სომხურისგან იმით გამოირჩევა, რომ არც გადაჭარბებულად ჭრელი და არც გადაჭარბებულად ასკეტური... ეტყობა მას მერე დამჩემდა „ზომის“ სიყვარული!

ბატონ ლეოს დღესაც ვეთანხმები. თუკი რამე მამშვიდებს და მაიმედებს ესაა – ქართველებს მალე ბეზრდებათ ერთფეროვნება! ერთფეროვნება, ცხადია, არც მონღოლებს უყვართ, არც ისლანდიელებს. არავის! მაგრამ სამხრეთული ტემპერამენტი, ეტყობა, თავისას შვება; უფრო სწრაფად ხდება ეს ყველაფერი – იყვირებენ, იყვირებენ და ბეზრდებათ!

ეს ერთი განზოგადება.

ახლა მეორე, რომლის საფუძველს ჟურნალ „ლიბერალიზმი“ გამოქვეყნებული უაღრესად საინტერესო წერილი, „გამქრალი გოგობი“ იძლევა. „პროფესორ ზურაბ საბატარაშვილის თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა ორი გოგონას მშობლებს, თუ მესამე ბიჭი არ უჩნდებადათ, გამოუთქვამთ აბორტის გაკეთების სურვილი“...

აბორტის გაკეთების მიზნით სქესის დადგენა საქართველოში, თურმე, ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა! მომკალით და ვერ დავიჯერებ, რომ მონღოლეთსა თუ ისლანდიაში ასე ვერ იტანენ გოგონების დაბადებას!

გავაერთიანოთ ეს ორი განზოგადება და

ვერა ქობალიას სკანდალი გავიხსენოთ. აღმოჩნდება, რომ მეორე, ანუ ქალთმობილურობა (ჰო, გაბრაზებული როცა ვარ, რადიკალური ვხდები) სძლევს ზომიერების ძირძველ ტრადიციას და რომ „საქართველოში ქალი ოდითგანვე დაფასებულია!“ – საზიზღარი სიყაჩაღა, რომელიც ეროვნული კულტურის შექმნელმა მამაკაცებმა შეთხზეს... საქმე ეხება არა ვერა ქობალიას, არამედ იმას, თუ როგორ გამოეხმაურა ქართული მედია, სოციალური ქსელები, ზოგადად ქართული საზოგადოება ამ ქალბატონის დანიშვნას „ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს“ შეფად. ტემპერამენტული ხალხი ვართ და სტრიპტიზკლუბში მინისტრი ქალის ხილვა გულს გვიჩქარებს და წნევას გვიწვეს? არსებობს, ალბათ, რესტორნებში

მოქიფე ქართველი მინისტრი-მამაკაცების სურათები – შალახოს რომ ცეკვავენ, ანდა, მუსიკოსებს რომ უკვთავენ „მიშა მაგარიას!“ მაგრამ ეს სურათები ევექტს არ მოახდენდა. ვერა ქობალიამ თავი მოუყარა ქართულ კულტურაში დამკვიდრებულ თითქმის ყველა სტერეოტიპს – სოციალურს, კულტურულს, ფსიქოლოგიურს... „მინისტრად ქცეული პურის მცხობელი“, „უდიპლომო“, „გადამთიელი“... უამრავი თემაა ქილიკისათვის! მით უმეტეს, რომ ქალბატონმა ვერამაც მშვენივრად მოიროგო მინისტრის როლი და პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმად მას არცადროს უმუშავია კანადურ ტელევიზიაში, შეაფასა როგორც ქვეყნის მტრის ქმედება (მხოლოდ და მხოლოდ).

„გააყაღა! გააყაღა!“ – აბობოქრდნენ ქართველი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მომღერლები, ბოზები. უბრალო ქართველი ობივტელი. დიახ, დიახ, მათ შორის ის კაციც, მომავალი შვილის სქესს რომ ადგენს და გოგონა-ნაყოფს კლავს, ალბათ, გულში ფიქრობდა კიდევ: „ამის დედა ვატირე, დიპლომიც მაქვს, მუშაობის გამოცდილებაც, მითაღლითა კიდევ... ეს გადამთიელი გოგო უნდა იყოს მინისტრი და მე ვალეებში ვიხრჩობოდე?“

თითქოს ვერა ქობალიას მინისტრად დანიშვნა იმისთვის მოხდა, რომ ქართული საზოგადოების ყურადღება რეალური პრო-



# ბავშვობის აბაჯანი



რატი ამალლობელი

ბლემებიდან პოლიციუდის სიუჟეტზე გადატანილიყო (და განა პოლიციუდის სიუჟეტები ყალბი არის?)... ამასობაში იუნესკომ გამოხატა შეშფოთება ბაგრატიის ტაძრის რესტავრაციის გამო, გაგრძელდა სკანდალი განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნების ქცევის გამო, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის საფუძველზეც, შესაძლოა, „კავკასიური სახლი“ ნაირა გელაშვილის გუნდს ჩამოართვან.

მაგრამ ვერა ქობელიას თემა ყველაზე რეიტინგული აღმოჩნდა. მან თვით საქართველოს პრეზიდენტის სკანდალური განცხადებაც კი გადაფარა „ზანგებსა და ველურებზე“. სიყალბის და თაღლითობის წინააღმდეგ ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის ეს ამხედრება იმდენად გადაჭარბებული, გადაძალაშებული (თუ დატკბილული) აღმოჩნდა, რომ პირადად მე (და, ალბათ, სხვებსაც) გული ამიჩუყდა ქალბატონ ვერაზე (მიუხედავად იმის, რომ დღემდე ვერ გამიგია, რა უნდა ამ ქალბატონს „წვენებში“)... გული ამიჩუყდა და ერთი კითხვა დამებადა – ნუთუ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა არ იცოდა, რომ ეს დანიშნა ასეთ რეაქციას გამოიწვევდა ქართულ საზოგადოებაში? სწორედ იმ საზოგადოებაში, რომლის ერთ წევრს არცთუ ისე დიდი ხნის წინ უთქვამს, ორი შვილი და ერთი გოგო მყავსო...

რა იყო ეს? საზოგადოების პროვოცირება? მისგან ფარული აგრესიის ამოფრქვევის ვნება თუ „ძალაუფლების ექსპერიმენტი“, ძალაუფლებისა, რომელსაც, დაიხ, ბატონო, მამაკაცების მიერ შექმნილი კულტურა ქმნის და ბევრად უფრო ძლიერი და შეურყეველია, ვიდრე ზომიერება, გამოხატული ქართულ არქიტექტურულ ძეგლებში.

იმ ძეგლებში, რომლებიც, როგორც ამ კვირაში გაირკვა, შეიძლება განადგურდეს კიდევ; ზომიერი შეცვალოს ბევრმა ოქრომ და გრანდიოზულმა პროპორციებმა, და, რადგანაც გაბრაზება არ გამდის, ისევ პირდაპირ ვიტყვი – ოქროს ფალოსებმა, რომელთა დანახვაზე ზოგიერთი გულუბრყვილო ქართველი პირფარასაც კი იწერს.

„ორი შვილი და ერთი გოგო!“

სტატია გამოქვეყნებულია რადიო „თავისუფლების“ ვებ-გვერდზე [www.tavisupleba.org](http://www.tavisupleba.org)

დაცხა და ვისაც რაიმე შესაძლებლობა აქვს ქალაქიდან გასვლის, სარგებლობს ამ „უფლებით“. ვისაც არ გვაქვს – ვცდილობთ, სტუმრად ვიართო მათთან.

მასხოვს, ბაბუაჩემს მეოცე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სამსახურში წილად ერგო „პატივი“, სახელმწიფოსგან მიეღო 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების მიზნით, ანუ – მოეყვანა კარტოფილი, ხახვი, ნიორი, მწვანილეულობა, პომიდორი და ა.შ. იმ დროს მხოლოდ ამ საბაბით გაიცემოდა მიწის ნაკვეთები.

მან რატომღაც უარი თქვა ნაკვეთზე, შეიძლება შეეშინდა კიდევ, რადგან 37 წლის დახვერტებს თავისი დიდი ოჯახიდან მართო თვითონ გადაურჩა, ისიც იმის წყალობით, რომ ფინეთთან ომის დაწყებისთანავე საბჭოთა არმიამ მოხალისედ ჩაენერა და ამით უშველა თავს, და მას მერე ყველაფრის ეშინოდა.

მოკლედ, ხსენებული შიშების გამო, დავრჩით უაგარაკოდ.

მე კი ამ სიცხეში მუდამ თავს მახსენებს ბაბუაჩემის ხელიდან გაშვებული ის ისტორიული შანსი, რასაც წყლულებითან ახლოს, მიწის ნაკვეთისა და მასზე პატარა, საბჭოთა, სტანდარტული პროექტით არ, ან ვერაშენებული საცხოვრებელი სახლი ჰქვია.

ვინმემ შეიძლება გაიფიქროს: „რა დუნჭიერი ფანტაზიაა, რაღა ძველი აგარაკი, პატარა და უწონო, თუ სურვილი და ოცნებაა, ოცნება იყოს! ცხოვრება და შესაძლებლობები წინ მიდის, რამე უფრო უკეთესზე იფიქრე“-ო.

დაიხ, მას მერე ბევრი რამ მართლაც შეიცვალა, გაჩნდა კერძო საკუთრების არსებობის შესაძლებლობა და პირველი რაც „საქართველოს აგარაკებზე“ მოხდა, ეს ამ პატარა სააგარაკო სახლების გადიდება-გაფართოება იყო. „შეძლებულმა უმცირესო-

ბამ“ შეძლებისდაგვარად შეძლო მათი „მსოფლიოს ახალი კომფორტის სტანდარტების“ მიხედვით რეკონსტრუირება. უმრავლესობის „სააგარაკო ჩონჩხები“ კი დღეს უკიდურესად სევდიანად გამოიყურება. გასული 20 წლის პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ ქვეყნის საზოგადოებრივ-სოციალური განვითარების ისტორია კარგად ჩანს ხსენებულ აგარაკებზე. აქა-იქ თითო-ოროლა, მაღალი ბეტონის ლობით შემოფარგლული სკოლის ხელა შენობა და ირგვლივ მიტოვებული, საბჭოთა სტანდარტებით, ნახევრად აშენებული ათეულობით ტყუბისცალი შენობა-ჩონჩხი. სურათი ასეთი კონტრასტულია.

ბუნებრივია, გემოვნებით აშენებული ყოველი სახლი მხოლოდ და მხოლოდ მახარებს; რასაკვირველია, თუკი მას გარშემო იმხელა ბეტონის ლობე არა აქვს, რომ შესაძლებელია, მოკვდავთათვისაც გამოჩნდეს.

ჩემი სინანულის მიზეზი კი ალბათ ის არის, რომ ამ დანგრეული და მიტოვებული შენობებიდან აღარ მოისმის სააგარაკო ფუს-ფუსი, აღარ კიდია ხეებს შორის ჰამაკები, არსად აღარ ჩანს ბადმინტონის ჩოგნები და მისი ბურთი, რომელიც მეზობლის კარ-მიდამოში იოლად ვარდებოდა, რადგან მათ არ ჰქონდათ მაღალი ბეტონის ლობები.

დაიხ, ჩემი სინანულის მიზეზი აბსოლუტური ლირიკაა ალბათ და უკიდურესად სუბიექტური, რადგან ამ სურათის შემყურეს ბავშვობის დროინდელი, მოუწყობელი, ლალი, ბედნიერების მომგვრელი სააგარაკო სივრცე და სიმშვიდე მომენატრა, რომელიც სწორედ დანგრეული სახლების ხილვისას რეკონსტრუირდება ჩემში და არა „კომფორტული“ და უხილავი ვილების. მოკლედ, როგორც ჩანს, ბავშვობა მომენატრა და არა რაიმე კონკრეტული სახლი ან აგარაკი, რომელიც, სუბიექტური მიზეზების გამო, არც მე და არც ბაბუაჩემს არ გვექონია. **■**

# მიყვარს - ახ მიყვარს



ლაშა ბულაძე, მწერალი

თუ გახსოვთ, ლუის ბუნუელს აქვს ასეთი ჩანართი თავის შესანიშნავ მოგონებებში („ჩემი ბოლო ამოსუნთქვა“): რა მიყვარს-რა არ მიყვარს. სიურრეალისტების თამაში ყოფილა – თითო-თითო აბზაცში ატევდნენ მათთვის საყვარელ თუ საძულველ თემებს, ჟანრებს, ადამიანებს, საკვებს და ა. შ. და ბუნუელსაც ეს თამაში გაუხსენებია თავისი მოგონებების წერისას. მოგვიანებით ქართულ ლიტერატურაშიც გაგრძელდა ამგვარი თამაში – მწერალმა ზაალ სამადაშვილმა თავის ორ მოთხრობაში („სიურრეალისტთა ძველი თამაშის გახსენება“ და „სიურრეალისტთა ძველი თამაშის გაგრძელება“) აღადგინა ბრეტონ-ბუნუელ-დალის და სხვათა ტრადიცია და მკითხველებს კიდევ ერთხელ შეახსენა „ანდალუსიელი ძაღლის“ ავტორების თითქოსდა უცნაური, საინტერესო (და, გარკვეული თვალსაზრისით, ბრძნული და მცირედ თერაპიული) ოინები.

ხოდა, მოდით, ახლა ჩვენც მივბაძოთ სიურრეალისტებს (თუნდაც მხოლოდ ამაში) და ჩვენ-ჩვენი „სიები“ შევქმნათ („შავ სიებს“, ღმერთმა დაგვიფაროს, ნამდვილად არ ვგულისხმობ). ვნახოთ, აბა, რა გამოვა. დღეს მე დავიწყებ.

მაშ, ასე – რა არ მიყვარს: პრეზიდენტ სააკაშვილის წამოცდნები (აქტუალურია!). აგრესიული ქალები. აგრესიული მამაკაცები. ხეპრე და ჯიუტი ადამიანები. სოკოს სუპი. 1992-93-94 წლები. ქობულეთის ცენტრალური ქუჩა. ქართველების შესრულებული რუსული რომანსები. ბუტია, უჭუმორო ხალხი. კობზონი და ლუჟკოვი. XX საუკუნის საბჭოური ოცდაათიანი წლები. უილიამ ბე-

როუზი. კინოფილმი „ბედის ირონია“. ამ ფილმის მომლოდინე ხალხი. რომანი „დოქტორი ჟივაგო“. ჰოკეი. თვითმფრინავის დაშვების პროცესი. ის ადამიანები, თვალღებდახუჭულები, თავის ქანქარით რომ უსმენენ ჯაზურ კომპოზიციებს. შეიძლება ითქვას, ზოგადად, ჯაზიც. ჩოხოსნები. მომლოცველებად ქცეული კომკავშირლები. ქართული საინფორმაციო გამოშვებები. პანაშვიდები (ამას იმიტომ ვწერ, რომ ვიცი – არსებობს ხალხი, ვისაც უყვარს პანაშვიდზე სიარული). საშინელებათა ფილმები. ვესტერნები. მიქელანჯელო ანტონიონის სოც-აქტუალური კინემატოგრაფი. სვეტების წერა. პანთეონები. ხაში. ლიფტები. ცეკვები სპექტაკლებში. მდუმარე ადამიანები. კრიმინალური მენტალიტეტის მქონე ქალები. თამბაქოს მწველნი. ქართული ისტორიული რომანები. ორგზის გადაკოცნა. ტაქსისტების პოლიტოლოგია. მდაბალი ხუმრობა. „სტე-

რილერი“ ჰუმორი. წიგნის ქურდები. და საერთოდ – ქურდბაცაცობა. სიტყვები: „რამეთუ“, „გამამო“. ხალხი, რომელიც რუსულ ან ინგლისურ სიტყვებს თხრის თავის საუბარში. კატები. მავანის მთქნარება, როცა ვლადპარაკობ.

აქ შევჩერდეთ. მგონი, საკმარისია. ახლა – რა მიყვარს:

როცა მავინყდება პრეზიდენტი სააკაშვილი და ყველა სხვა პოლიტიკოსი. ე. შევარდნაძის სიტყვები: „კულტურა გადაარჩენს ერს!“. ტკბილეული. ექიმთან მისვლა. სხვისი პირადი წერილების კითხვა. მწერლების მიერ მწერლებზე დანერგილი ტექსტები. ზალცბურგი (არ ვყოფილვარ, მაგრამ მაინც). კლასიკური მუსიკა. კეთილგანწყობილი გოგოები. დაკვირვებული ხალხი. მოლიერი. ეყენ იონესკო. ადეკვატური მიტინგები. ქართული პოლიფონია. გაბოს რომანები. თომას მანის „რომანი რომანის შესახებ“. ძველი ბერძ-

ნები. ტრანკვილუსი – კეისართა ამბები. ასლან აბაშიძის გაქცევა. ილია ჭავჭავაძის მოთხრობები. ჯავახიშვილის მოთხრობები. კლდიაშვილი. აკაკი წერეთლის გაბურღლული თმა-წვერი. ცივი კატლეტი. თვითმფრინავის დაფრენა. ბუნუელის „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი“. გოეთეს განრიგი. რიჰარდ ვაგნერის ეგოცენტრიზმი. სანყალი ქართველი მეფეები. შარდენის მემუარები. ლიოსას „დეიდა ხულია და ვაი-მწერალი“. სვეტების წერა. არამწველები. სიმსუქნისგან შეჭირვებული ადამიანები. თუნდაც ყეყეჩი, მაგრამ ნიჭიერი ვოკალისტები. სიმშვიდე.

...ჯობს, აქ შევჩერდეთ. ახლა თქვენი ჯერია. □



# მარადონას ნაპიდა



გიორგი ახველიანი, ლონდონი



თუ ჯერ კიდევ არ გადაირიეთ მაგ სიციხეში, კიდევ ერთხელ ვახსენოთ დიეგო მარადონა, რომელიც, უკვე ხუთი დღეა, აღარ არის არგენტინის ნაკრების მწვრთნელი.

ეს მოულოდნელი ამბავია, რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე გერმანიასთან 0-4 წაგების შემდეგ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის უფროსობამ მარადონას განთავისუფლება იუარა. თვით ხულო გრონდონამ, ვისაც ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობა იმ დროიდან უკავია, როცა საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა იყო, მარადონას გასახდელშივე უთხრა, რომ მისი მუშაობით ძალიან კმაყოფილია და სურს, რომ ის ნაკრების სათავეში დარჩეს.

მაგრამ აგერ, ორიოდ კვირა გავიდა და საქმე სხვანაირად შემოტრიალდა.

წინა კვირაში მარადონა ვენესუელაში იმყოფებოდა: როგორც კი მის მეგობარ უგო ჩავესს რაიმე საპაირო სინარულობა სჭირდება, დიეგო იქაა, კოლუმბიასთან ომის ზღვარზე მდგომ პოლკოვნიკ ჩავესს კი წარამარა რალაც სჭირდება.

ჰოდა, იქიდან მობრუნებულ ღმერთისხელას ხულო გრონდონამ შეხვედრა დაუთქვა, სანაკრებო ამბების მომავლის განსახილველად, და იმ ხანმოკლე შეხვედრიდან გამოსულმა მარადონამ განაცხადა, – მე ნაკრების მწვრთნელი ვეღარ ვიქნები, ლალატისა და ინტრიგის მსხვერპლი შევიქმენიო.

თურმე, გრონდონას მოუთხოვია, რომ მარადონას თავისი სამწვრთნელო შტაბი შეეცვალა და ნაკრების სავარჯიშო პროცესის სამართავად ახალი ხალხი მოეყვანა.

ჰოდა, ახლა დიეგო მაგის კაცი არ არის, ვერ მიმხვდარიყო. ასეთი დასკვნა გამოიტანა: შენ იყავიო, როგორც ფასადი გვჭირდებო, და-

ნარჩენები კი უნდა გავყაროთო.

საერთოდ, მთავარი მწვრთნელი კი დიდი რამეა გუნდისთვის, მაგრამ მის მარჯვენა ხელს, თანამეგობარს, ექიმს, ფიზიოებს, სწირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. უიმათოდ გუნდი არც არსებობს, და თუმცა ეს ხალხი ტელევიზორში არ ჩანს, მათ გარეშე მწვრთნელი გუნდს ვერც მართავს და ვერც ამუშავებს. ძირითადად, ეს ხალხი მწვრთნელთან შეხმატკბილებული ხალხია.

ჰოდა, ამ შვიდი კაცის დათხოვნა მოითხოვა გრონდონამ და საბოლოოდ კი, რა თქმა უნდა, ისე გამოვიდა, რომ რვა დაითხოვა.

„მშვენივრად იციან, რომ მე მაგის კაცი არა ვარ, ჩემი მეგობრები და თანამშრომლები გავყარო და თვითონ დავრჩე, – თქვა მარადონამ, – გრონდონასთან ლაპარაკი ხუთ წუთს გაგრძელდა, როგორც კი მან შტატის შეცვლა მოითხოვა, მე ვუთხარი, რომ მივდივარ. სწორედ ამის გაგონება უნდოდათ, რომ მე თვითონ წავედი“.

რა თქმა უნდა, ეს გასაგებია. მარადონას პირდაპირ გაგდებას მოერიდნენ. მსოფლიო ჩემპიონატიდან ნაადრევად გაგარდნის მიუხედავად, ის არგენტინაში არავის გაუკრიტიკებია და საერთოდ, დიეგომ მოახერხა და თავის და გუნდის გარშემო ისეთი აურა შექმნა, რომ საკრიტიკო ძალიან ცოტა დარჩენილიყო.

მაგრამ რეალური სურათი მისი გუნდის სიძლიერისა სხვა იყო, და ჩანს, ფედერაციამ გადაწყვიტა, ახალი გზა ეპოვა.

მარადონას ამ ინტრიგაში მთავარ მოქმედ პირად ნაკრების მენეჯერად მომუშავე კარლოს სალვადორ ბილარდო მიაჩნია.

შესხენებისათვის, ბილარდო ის კაცია, ვისი მწვრთნელობისასაც არგენტინამ მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა და კიდევ ერთი ჩემპიონატის ფინალში გავიდა. რა თქმა უნდა, ის დროება მარადონას სანაკრებო ოქროს ხანა იყო და ის ჩემპიონობაც და ფინალიც ეგებ მისი წვლილი მეტად იყო, ვიდრე ბილარდოსი, ოღონდ ამის პროცენტებს ახლა ვინ დაითვლის.

მარადონას აზრით, ახლა სწორედ ბილარდო მოქმედებდა მის წინააღმდეგ, ჩრდილიდან ხლართავდა ინტრიგას მთელი თვის განმავლობაში, რათა დიეგო ნაკრებისთვის ჩამოეცილებინა.

„ეს სიცრუისა და ლალატის ამბავია, – თქვა თვალსევიდანმა მარადონამ, – სანამ მე და გუნდი წაგებას ვგლოვობდით, ხოლო გრონდონა მოწმეების წინაშე მაქებდა და მადიდებდა, ბილარდო თავის ლალატის გეგმას ამუშავებდა. ისე დახლართეს ყველაფერი, რომ ბოლოს და ბოლოს გრონდონასთან მივედი და მან გამომიცხადა, – ყველანი უნდა დაითხოვო. იცოდნენ, რომ ამაზე არ წავიდოდი. ყველამ მშვენივრად იცოდა“.

მარადონას გადადგომას ქვეყნის პრეზიდენტი კრისტინა კორხენრიც კი გამოეხმაურა – წუხდა, რასაკვირველია, – ჩვენი დიეგოო და ასე შემდეგ.

ნაკრების მწვრთნელად კი დროებით მარადონას ახლო მეგობარი, იუნიორების თავკაცი და ასევე 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი, სერხიო ბატისტა დაინიშნა.

რა იოლია, როცა იცი, კაცი რაზე წავა და რაზე არა. ჰოდა, დიეგოსაც გაუჩალიჩეს. 

# I ♥ TBILISI



დარწმუნებული ვარ, რომ სიარული ერთგვარი სულიერი ვარჯიშია. სიარული გიძლიერებს უნარს, დარჩე მოცემულ მომენტში და გეხმარება, ნაჩუქარი წუთები უფრო სავსედ აღიქვა.

კაბა თოლორდავა

მას შემდეგ, რაც ამ სვეტის წერას შევუდექი, ბევრს ვკითხულობ ფსიქოგეოგრაფიაზე (მარტივად განმარტებული ფსიქოგეოგრაფიის არსი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოქმედებს გეოგრაფიული საცხოვრებელი გარემო – ურბანული თუ რურალური – ადამიანის ფსიქიკასა და ქცევებზე) და ხეტიალის მოყვარულ ადამიანებზე.

მათ მიერ შექმნილ ტექსტებსაც მივეძაღე, ოპიუმის მჭამელი დე ქუჩისით დაწყებული და უილ სელფით თუ ვერნერ ჰერცოგით დამთავრებული. სია ძალიან გრძელი და შთამბეჭდავია, იმდენად შთამბეჭდავი, რომ ხშირად თავს ვაძალებ, სასწრაფოდ დავივინყო ნაკითხული და თბილისში ხეტიალის შედეგად მიღებულ ჩემს შთაბეჭდილებებს დავუბრუნდე.

მეორე მხრივ, საკმაოდ რთულია, თავიდან ამოიგდო, მაგალითად, აი ეს – 1974 წლის ზამთარში გერმანელმა რეჟისორმა ვერნერ ჰერცოგმა 500 მილი გაიარა ფეხით მიუნხენიდან პარიზში მხოლოდ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ეს „ფსიქოგეოგრაფიული რიტუალი“ მის მომავლად მეგობარს და მასწავლებელს, ლოტე აისნერს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებდა. აისნერი 1983 წელს გარდაიცვალა. ამას მხოლოდ ერთი რამის გამო ვყვები – მეც დარწმუნებული ვარ, რომ სიარული ერთგვარი სულიერი ვარჯიშია. სიარული მოცემულ მომენტში დარჩენის უნარს გიძლიერებს და შენთვის ნაჩუქარი წუთების უფრო სავსედ აღქმში გეხმარება.

ასე მიაჩნიათ ბუდისტ ბერებს და ასე ფიქრობს ყველა, ვისაც გრძელ დისტანციებზე სიარულის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ყველაფერ ამას დავუმატებ ერთ ელემენტარულ რამესაც – სიარულის დროს იმაზე მეტს ამჩნევ, ვიდრე ნებისმიერი ტრანსპორტით გადაადგილებისას და სწორედ ესაა, რამაც იმ იდეისკენ მიბიძგა, რომელსაც ახლა გაგიზიარებთ.

მიმაჩნია, რომ ამ იდეის განხორციელება შესაძლებელია და, რაც მთავარია, ძალიან გამოგვადგება თბილისის შემდგომი „გაჯაზებისთვის“. ყველაზე კარგი კი ისაა, რომ ამ პროექტში მონაწილეობას (როგორც ყველა ჩემ მიერ შემოთავაზებულ სრულიად ქალაქურ თამაშსა თუ პროექტში) ისევ და ისევ ყველა თბილისელი მიიღებს, ხოლო პროექტის დამფინანსებელი, იმედი მაქვს, რომ მუნიციპალიტეტი იქნება.

„მე ♥ თბილისი!“ ნამდვილად საკმარისი არაა იმის გამოსახატავად, თუ როგორ გიყვარს შენი ქალაქი. ასეთი „სტიქერის“ მანქანაზე მიკრობით ვერავის მოატყუებ. ქალაქისადმი სიყვარულის გამოხატვას ცოტაოდენი ძალისხმევა მაინც სჭირდება და ამიტომაც აი, რა წინადადება მაქვს: ქალაქის მესვეურები ყველა თბილი-



ფოტო: ლეანა ნაჭვალაძე

სელისთვის ყიდულობენ „იდიოტების“ ფოტოაპარატს, აი, ისეთს, ერთხელ რომ უნდა გადაიღო და მერე გადაადგო. ამის შემდეგ ეს კამერები ურიგდება ყველას, ვისაც ქალაქში ფეხით გადაადგილების უნარი აქვს. მოთხოვნა ასეთია – ერთი დღის (რა თქმა უნდა, შაბათი ან კვირა) განმავლობაში თბილისში ფეხით სიარულის დროს (მანქანებით გადაადგილება გამორიცხებულია. არაა სასურველი მხოლოდ და მხოლოდ ტურისტულ ადგილებზე ყურადღების გამახვილება), ჩვენ ვიღებთ ერთადერთ ფოტოს ქალაქის იმ უბანში, ან ქუჩაზე, ან შესახვევში, ან სადაც მოგვესურება, რომელმაც ყველაზე დადებითი მუხტი შეგვცინა იმ კონკრეტულ მოცემულ მომენტში. ერთადერთ ფოტოს! იმ წამს, როდესაც ვიგრძნობთ, რომ თბილისმა რაღაც განსაკუთრებული წამი გვაჩუქა! ამის შემდეგ ყველა გადაღებული ფოტო ადამიანების იმ წინასწარ შერჩეულ ჯგუფთან უნდა მოხედეს, ვისაც რაღაც გაეგება დიზაინში და არა ფოტოგრაფიაში, ვინაიდან უკლებლივ ყველა ფოტო უნდა იყოს გამოყენებული. ამ ფოტოების კოლაჟებად ქცევა, მერე ბეჭდვა და ბოლოს მისი სხვადასხვა სახის სარეკლამო მასალად ორგანიზება ყველაზე რთული საქმე იქნება, მაგრამ ამ საქმის წარმატებულად დასრულების შემდეგ თბილისელებს ნამდვილად გვექნება იმის უფლება, რომ თამამად განვაცხადოთ, – ქალაქის გაჯაზებაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. ვინც ახლა ამ ტექსტს კითხულობს და დამცინის, დამცინოს, ამის ღირსი ნამდვილად ვარ, მაგრამ ვიდრე თქვენ იცინით, მე კიდევ ერთი რამის გაკეთებას ვაპირებ – შემდგომი თვეების განმავლობაში თბილისის უბნების ჩემებურ ფსიქოგეოგრაფიულ შეფასებას მინდა შევუდეგე. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ შედეგებს ამ სვეტში გაგიზიარებთ. □



თელავი, ყვარალი, ლაგოდეხი  
გორი, ქარალი, ხაშური  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურაკი, ქოგულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**  
**FM 103.0**  
**FM 104.5**  
**FM 101.0**  
**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

